



№ 6 // 2020

ლიცენზირებული –
საზოგადოებრივი აქტინალი

სარედაქციო კოლეგია

ანდრო ბელუპაძე
თავმჯდომარე

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

როინ აბუსელიძე
გიორგი ალიბეგაშვილი
ივანე ამირხანაშვილი
ბალათერ არაბული
კარლო ბარდაველიძე
ლაშა ბაჰრაძე
ნაირა ბეჰიევი
გიორგი ბერულავა
ლევან ბრეგვაძე
გენრი ღოლიძე
გურამ ღოჩანაშვილი
ზვიად კვარაცხელია
გაბა ნახუცრიშვილი
გიორგი სოსიაშვილი
მაია ტურაბელიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიტაშვილი

რედაქტორ-სტილისტი
ქეთევან მერკვილაძე

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი
ქეთი გომართელი

აქტინალი გამოდის
საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხატვრული

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
საკონტაქტო ტელეფონები: 599335133;
599565644
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

მიხეილ ჯავახიშვილი -140		ხრიბია. ასეისტია	55
ამირან გომართელი	3	ნინო დარბაისელი-სტრონი	
პროტოტიპები და		თეთრი თუ ვარდისფერი?!	
პროტაგონისტები		(გალაკტიონის „მარმარილოს“	
(„მინის ყივილი“ და		ინტერპრეტირების ცდა	
„ჯაყოს ხიზნები“)			
პოეზია		ახალი თარგმანები	
ალექსანდრე ჯინჭარაძე	22	ჯონ გრიშემი	67
ნინიკო მშვიდლობაძე	30	მონატული სახლი	
		ინგლისურიდან თარგმნა	
		<i>ნინო თოხაძემ</i>	
პროზა		ფრენკ ო'კონორი	
თემურ ქუეასელი	36	შობის დილა	74
დოკუმენტური მოთხრობები		ინგლისურიდან თარგმნა	
		<i>როსტომ წერეთელმა</i>	

გარეჯანის პირველ გვერდზე:
ვან ეიხი - „არნოლფინის პორტრეტი“;
მეოთხე გვერდზე:
„არნოლფინის პორტრეტის“ დეტალი – სარჩევი;
სამსხვერპლად გაშვებული მარსიასი,
პრაქსიტელის გორალიეფი,
რიზა აბასის ნახატი – „შაჰ-აბას I“

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: <https://www.facebook.com/ciskari1852>

ამირან გომართელი



პროტოტიპები და პროტაგონისტები („მიწის ყივილი“ და „ჯაყოს ხიზნები“)

*„ქართული კალამი ძალიან ჰგავს გოლგოთურ ჯვარს,
რომელსაც ხელით ვატარებთ“
(მიხეილ ჯავახიშვილი, უბის ნიგნაკიდან)*

„მიწის ყივილი“

გრიგოლ რობაქიძემ 1954 წელს, „რადიო თავისუფლების“ ეთერში ასეთი რამ გაიხსენა: „იყო ერთი ქართველი, თავადი, ანარქისტი და თავდადებული მამულიშვილი – ვარლამ ჩერქეზიშვილი. ქართული მას არ ემარჯვებოდა. საქართველოს ბავშვობიდან იყო მონყვეტილი. იცოდა რუსული, ფრანგული და ინგლისური. სიკვდილის წუთებში, როცა ადამიანის მთელი არსი შეირხევა საუკუნეთაგან მოშველებული ფესვებით, მას უეცრად რუსულიც დაავინყდა, ფრანგულიც და ინგლისურიც, მომაკვდავმა ქართულად იწყო ლულლული. აი, რა ძალისა არიან ძირა ფენები ადამიანისა, განსაკუთრებით ქართველისა“ (გრ. რობაქიძე, კრებული – „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“).

ვარლამ ჩერქეზიშვილის სიცოცხლის

მიმწუხრის ჟამმა და მშობლიურ ენაზე ამეტყველებამ, არ შეიძლება, მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილის“ პერსონაჟის, ანდრო კაიშაურის ცხოვრების დასასრული არ გაგვახსენოს, მაგრამ 1954 წელს რადიომიმღებზე ყურმიდებული საბჭოთა მსმენელი ვერანაირად ვერ გაავლებდა პარალელს ვარლამ ჩერქეზიშვილსა და მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილის“ პერსონაჟს, ანდრო კაიშაურს შორის, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ დროისათვის ვრცელი მოთხრობის მხოლოდ დასაწყისი, პირველი ხუთიოდე გვერდი იყო დაბეჭდილი გაზეთ „პოეზიის დღის“ 1928 წლის გამოცემაში. „მიწის ყივილს“ გამოქვეყნება მხოლოდ 1957 წელს ელირსა, როცა მწერლის ქალიშვილმა, ქეთევან ჯავახიშვილმა, სასწაულებრივად გადარჩენილი მოთხრობის დედანი „ცისკრის“

რედაქტორს, ვახტანგ ქელიძეს მიუტანა.

იმ უდავო ფაქტის ფონზე, რომ „მინის ყვილის“ პუბლიკაცია 1957 წლამდე არ მომხდარა, გამაოგნებელი იყო ის ბრალდება, რაც სოციალურ ქსელში, 2020 წლის ნოემბერში, მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების საიუბილეო, 140-ე წლისთავის დღეებში გამოქვეყნდა. მოთხრობა მიხეილ ჯავახიშვილმა ნკვდ-ს დავალებით დაწერაო. გამოგონილი ბრალდებებით

დამძიმებული ეს ტექსტი იმდენად აღმაშფოთებელია, რომ მისი სრულად, სიტყვასიტყვით გამეორება მწერლის კიდევ უფრო დიდი შეურაცხყოფა იქნება. ამიტომ მხოლოდ ზოგად შინაარსს გაგაცნობთ.

ტექსტის ავტორის დასახელებისგანაც თავს შევიკავებ. მართალია, მას სოციალურ ქსელში გავეცი პასუხი („მორიგი ტყვია მიხეილ ჯავახიშვილისათვის“), მაგრამ ყურნალი ფეისბუქი არ არის, აქ დაბეჭდილს ვერ ნაშლი, სამუდამოდ რჩება და არ ღირს ახალგაზრდა კაცის ასე გამეტება. ამასთანავე, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მთავარია მცდარი აზრის უარყოფა და არა მისი ავტორის წინააღმდეგ ბრძოლა.

ფეისბუქზე გამოქვეყნებული „ბრალდების“ ავტორი აცხადებს – ბუკუნისტი-საგან „მინის ყვილის“ 1928 წლის გამოცემა შევიძინეო. რაც არ არსებობს, იმას როგორ შეიძენდა?! მაგრამ ეს სიცრუე იმისთვისაა საჭირო, რომ მასზე აიგოს „თეორია“ მწერლის თანამშრომლობის საბჭოთა ჩეკასთან. „ეს ნაწარმოები ემიგ-

რანტებისთვისაა დაწერილი. ჩამოდით სამშობლო გელით!“, – წერს ფბ პოსტის ავტორი და შემდეგ აგრძელებს: „ელოდ-ნენ ნაგანით, ხიშტით, ჯურღმულებით... ელოდათ 1937 წელი... ყველა უნდა შეეყარათ სათაგურში“. ასეთი სატყუარის როლი ჰქონდა თითქოს დაკისრებული ნკვდ-სგან მიხეილ ჯავახიშვილის „მინის ყვილს“. ეს აზრი მთავრდება დიდად შეურაცხმყოფელი ფრაზით: „მოთხრობის

ნაკითხვის შემდეგ ენის ქვეშ ანკეს იგრძნობთ“.

ვფიქრობ, ამ გაუგონარ მკრეხელობაზე მსჯელობის გაგრძელება არ ღირს. უფრო მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა იყო მიზეზი ქართული პროზის ამ გამორჩეული



ნიმუშის მწერლის სიცოცხლეში გამოუქვეყნებლობისა? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ქვემოთ შევეცდები. მანამდე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ 88 წლის ბერიკაცის, ანდრე კაშორის – ანდრო კაიშაურის მშობლიურ ფესვებთან დაბრუნების სულისშემძვრელი ისტორია.

საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ნოჟანის ბაღში ქართველი ახალგაზრდა 88 წლის ბერიკაცს გაიცნობს. მოხუცი იმ წიგნით დაინტერესდება, რომელსაც მისთვის უცხო ახალგაზრდა კითხულობს:

– პარდონ მესიე, – ბოდიშს ვიხდი, რა ენაზეა დაბეჭდილი ეს წიგნი?

– ჟორჟენ, – ვუპასუხე. – ქართულია. გაგიგონიათ ქართული, საქართველო?

საქართველოს გაგონებაზე, რო-

გორც მთხრობელი გვიყვება, რომელიც, ამავედროულად, ავტორის ალტერ ეგოა, მოხუცი შეკრება, „თითქოს ცეცხლს წაანყდაო. წიგნი სწრაფად დაჰკეცა, თითქმის მომიგდო, წამოდგა და ჯაგჯაგით წავიდა, თითქმის გაიქცა“.

წარსულს გაურბის ანდრე კაშორი, თითქოს სურს, სამუდამოდ გადაივიწყოს იგი, სურს, ცნობიერებას ბურუსი არ გადაარიდოს; ის დევნილია, რუსის მეფეს ებრძოდა; ნაკატორღალია, კატორღიდან გაქცეული, დღემდე მალავს ამ ამბავს და საკუთარ ვინაობას. მხოლოდ ქართველ ახალგაზრდას გაუმხელს, რადგან სჯერა ქართული რაინდობისა. თითქმის რვა ათეული წელია, აღარ იცის, „რაა მამული?!“. მიუხედავად ამისა, ათი წლის ასაკიდან ქართულ გარემოსა და ენას მონყვეტილი, თანდათან, გონების არნახული დაძაბვის ფასად იხსენებს იმ ქართულ სიტყვას, რომელიც პირველად წარმოთქვა. იხსენებს დედ-მამის სახელებსაც: ელენე, სოლომონი და კედელზე აწერს. ცოლად ფრანგი ქალი შეურთავს. შვილებიცა და შვილიშვილებიც ფრანგები ჰყავს. ისინი უყურადღებოდ არ ტოვებენ ბერიკაცს, მაგრამ აღარ სურს აღარაფერი ფრანგული, საკუთარი ოჯახიც კი მისთვის უცხო ხდება. გაუუცხოვდა ყველას და ყველაფერს, შემთხვევით გაცნობილი ქართველის გარდა; აღარც ფრანგული ესმის. მოხუცსა და ფრანგ რძალს შორის ახლა თარჯიმნად ქართველი სტუდენტი ჩამდგარა – ფრანგი რძლის ნათქვამს ქართულად უთარგმნის მოხუცს, მის ქართულს კი ფრანგულად თარგმნის. კაცი, რომელსაც საკუთარი სახელი და გვარი აღარ ახსოვდა, იმ ენაზე ამტყველდა, რომელზედაც პირველად თქვა „დედა!“ ბერიკაცს მხოლოდ ერთი სურვილი აქვს – საქართველოში დაბრუნება!

ვერ აისრულა ანდრო კაიშაურმა ნატვრა. დაუძღურებულმა სხეულმა ვეღარ გაუძლო ძლიერ ემოციას – მშობლების,

მშობლიური კუთხის, მშობლიური ენის გახსენებას. უცხოობაში მიიცვალა იგი. ქართველმა ჭაბუკმა ერთი მაინც შეძლო – ანდრო კაიშაურის ფერფლი მის მშობლიურ ანანურთან მიმოაბნია.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ კითხვას: რატომ არ გამოქვეყნდა პატრიოტული მოთხრობა, რა იყო მასში მიუღებელი კომუნისტური ხელისუფლებისათვის? გამოუქვეყნებლობის უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ პატრიოტიზმს, სამშობლოს დაუოკებელ სიყვარულს, საფრანგეთში მყოფი ქართველი ემიგრანტი ავლენს.

საფრანგეთში იმ დროს საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება იყო ემიგრირებული, მათ კი ბოლშევიკები ქვეყნის მოძულეებად და მტრებად სახავდნენ, მათზე პასკვილებს თხზავდნენ, ფილმებში აშარყებდნენ, ჩეკას აგენტების მეშვეობით ხოცავდნენ კიდეც (ასე მოკლეს პარიზში ნოე რამიშვილი). ამდენად, ემიგრანტისაგან სამშობლოს სიყვარულის ისეთი გულმხურვალე გამოვლენა, როგორც „მინის ყივილშია“ აღწერილი, საბჭოთა ცენზურის მიერ დაუშვებელი იყო.

სხვა, უფრო კონკრეტული მიზეზიც არსებობდა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა სიტუაციას. უმთავრესი ის გახლდათ, რომ, „მინის ყივილის“ პროტაგონისტის, ანდრო კაიშაურის პროტოტიპი ვარლამ ჩერქეზიშვილია. ამას ქეთევან ჯავახიშვილიც ადასტურებს წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილი – ბელეტრისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი“. 20-იანი წლების ბოლოს, როცა მოთხრობა უნდა გამოქვეყნებულიყო, არც ქართული საზოგადოებისთვის და არც ბოლშევიკური ხელისუფლებისთვის, ანდრო კაიშაურის პროტოტიპის, ვარლამ ჩერქეზიშვილის ამოცნობა ძნელი არ იყო. ამის დასტურია თუნდაც ზემოთ მოხმობილი სიტყვები გრიგოლ რობაქიძისა, რომელიც სი-

ცოცხლის ბოლო ჟამს ვარლამ ჩერქეზიშვილის ქართულად ამეტყველებას შეეხება. 1928 წელს რობაქიძე ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იმ პერიოდში ვარლამ ჩერქეზიშვილის აღსასრულის ამაღელვებელი ისტორია ფართო წრისათვის კარგად იყო ცნობილი. ვარლამ ჩერქეზიშვილს, ანარქისტსა და ნაციონალისტს, როგორც ისტორიკოსი დიმიტრი შველიძე აღნიშნავს, „მთელი ცხოვრების მანძილზე დევნიდა რომანოვების რუსეთის ხელისუფლება. სიკვდილის შემდეგ კი მისი სახელის ამოძირკვას ცდილობდა ბოლშევიკური რუსეთის იმპერიის ხელისუფლება, იდეოლოგია და ისტორიოგრაფია“.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ბობოქარი ბუნების კაცი იყო. მისი ცხოვრებისეული გზაც ასეთივეა. კახეთის სოფელ თოხლიაურში დაბადებული ბიჭი, „მინის ყივილის“ პერსონაჟის, ანდრო კაიშაურის მსგავსად, ადრეულ ასაკში მოსწყდა სამშობლოს. მართალია, ამის გამო ქართულად ვეღარ მეტყველებდა, მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე სამშობლოზე არა მხოლოდ მოფიქრალი, არამედ მის ბედ-იღბალზე მზრუნველი იყო.

თავადმა ასლან, იგივე ტატო ჩერქეზიშვილმა იმდროინდელი ქართველობისთვის ერთობ დამახასიათებელი გადანწყვეტილება მიიღო – შვილის სამხედრო პირად აღზრდა გადანწყვიტა. პატარა ვარლამი 1854 წელს მოსკოვის კადეტთა სასწავლებელში გაგზავნეს. ამის შემდეგ, ვიდრე 1918 წლიდან 1921 წლის გაზაფხულამდე, 62 წლის მანძილზე, ვარლამ ჩერქეზიშვილს სამშობლოში ხანგრძლივად აღარ უცხოვრია. რამდენჯერმე მცირე ხნით, არალეგალურად იყო ჩამოსული და, დაპატიმრების შიშით, ისევ საზღვარგარეთ მიდიოდა.

ოცი წლის ვარლამმა, როცა საკუთარი ნების გამოვლენის საშუალება მიეცა, რუსეთის იმპერიის სამხედრო სამ-

სახურზე უარი თქვა და მოსკოვის მინათმონწყობისა და სატყეო მეურნეობის აკადემიაში შევიდა. სწავლამ დიდხანს არ მოუწია, მეამბოხე სულისკვეთების ახალგაზრდა იმპერიის საწინააღმდეგო სამსახურში ჩაება.

1866 წლის 4 აპრილს პეტერბურგში დიმიტრი კარაკოზოვმა იმპერატორ ალექსანდრე II -ს ესროლა. კარაკოზოვს მიაჩნდა, რომ მეფის მკვლელობა ხალხს გამოაფხიზლებდა და დასაბამს მისცემდა სოციალურ რევოლუციას. მეფეს ტყვია კი ასცდა, მაგრამ კარაკოზოვს არ ასცდა ჩამოხრჩობა. ბიძაშვილ-მამიდაშვილებს იშუტინსა და კარაკოზოვს ფარული რევოლუციური ირგანიზაცია ჰქონდათ. ვარლამ ჩერქეზიშვილიც ამ ირგანიზაციის წევრი იყო. სხვებთან ერთად ისიც დააპატიმრეს. ვარლამი ამჯერად იოლად გადარჩა, რვათვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისევ გააგრძელა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა.

1871 წელს, როგორც ნეჩაევის „ნაროდნაია რასპრავას“ წევრი, მეორედ გაასამართლეს და ხუთი წლით ციმბირში (ტომსკი) გადაასახლეს. გადასახლებიდან ევროპაში გაიქცა. თანამშრომლობდა ყველა გამოჩენილ ევროპელ ანარქისტთან, განსაკუთრებით დაახლოებულია პეტრე კრაპოტკინს; მასთან ერთად უკვე საერთაშორისო ანარქიზმის ლიდერადაც გვევლინება.

ევროპაში ფრანგულ ენაზე გამოდის ვარლამ ჩერქეზიშვილის წიგნები: „ფურცლები სოციზლიზმის ისტორიიდან“ (1896წ.) და „ინტერნაციონალიზმის წინამორბედები“ (1899წ.). ეს წიგნები ყველა ძირითად ევროპულ ენაზე, აგრეთვე ჩინეთსა და იაპონიაში გამოიცა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ მარქსისა და ენგელსის კრიტიკა. ამ საკითხს წიგნში („აი, ვინ იყო, ქართველნი, ვარლამ ჩერქეზიშვილი“ 2011წ.) საგანგებო ნაკვეთს უძღვნის დიმიტრი შველიძე –

„ვარლამ ჩერქეზიშვილი ამხელს მარქსიზმს“. ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ნარკვევის ავტორი აღნიშნავს, ამხელდა მარქსიზმის კლასიკოსებსა და მათ მემკვიდრეებს, რომ მიითვისეს გამოჩენილ ევროპელ ფილოსოფოსთა, ეკონომისტთა და სხვა მოაზროვნეთა აღმოჩენა, კანონი თუ მეცნიერული მიღწევა. ვარლამ ჩერქეზიშვილი იმასაც საფუძვლიანად ასაბუთებდა, რომ მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“ გადანერილია ფრანგი ფურიერისტის, ვიკტორ კონსიდერანის ანალოგიური ხასიათის „მანიფესტიდან“.

მარქსისა და ენგელსის პლაგიატობის სხვა არაერთი მაგალითი ჰქონია მოტანილი ვარლამ ჩერქეზიშვილს, რითაც ამ წერილს ვერ გადავტვირთავ. დაინტერესებულ მკითხველს მათი ნაკიტხვა დიმიტრი შველიძის დასახელებულ ნარკვევში შეუძლია.

ჩერქეზიშვილის ბრალდებები იმდენად სერიოზული იყო, რომ მარქსიზმის დასაცავად გამოვიდნენ „საერთშორისო სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტები: კაუცკი, ლიბკნეხტი, პლენხანოვი“.

ბოლშევიკები – ლენინი და სტალინი – ვარლამ ჩერქეზიშვილს ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ებრძოდნენ. სტალინმა 1906-1907 წლების მიჯნაზე გამოაქვეყნა წერილების სერია „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, სადაც უმთავრესი ადგილი ვარლამ ჩერქეზიშვილის კრიტიკას უკავია. სტალინმა ვარლამ ჩერქეზიშვილს ანარქისტების „უებრო ბელადი“ უწოდა, თუმცა პოლემიკურ სტატიებში თავი არც მეცნიერული არგუმენტებით შეუწუხებია და არც მარქსისტების პლაგიატობა უარუყვია. როგორც დიმიტრი შველიძე აღნიშნავს, „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველი ბოლშევიკი ხომ არც ვიკტორ კონსიდერანის „დემოკრატიულ მანიფესტს“ იცნობდა, რომელიც რუსულად არ იყო ნათარგმნი“. ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ბოლშევიკურ საქართველოში ვარლამ

ჩერქეზიშვილის სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული.

ვარლამ ჩერქეზიშვილი წერდა რუსულად, ფრანგულად, ინგლისურად. ქართულად ერთი სიტყვაც არ დაუწერია. მიუხედავად ამისა, წუთითაც არ დავიწყებია საქართველო. ემიგრაციის პირველივე წლებიდან დაიწყო ევროპულ და რუსულ პრესაში სტატიების გამოქვეყნება საქართველოს შესახებ.

1893-1902 წლებში ილიას „ივერიაში“ „ვაზიანის“ ფსევდონიმით ქვეყნდება ვარლამ ჩერქეზიშვილის ასამდე წერილი და კორესპონდენცია. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ამ პუბლიკაციებში იმ პერიოდისათვის ძალზე მნიშვნელოვანი და პროგრესული საკითხები იყო განხილული. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი – ვარლამ ჩერქეზიშვილმა გააცნო საქართველოს მარჯორი უორდროპი.

არჩილ ჯორჯაძემ და მისმა თანამებრძოლებმა ვარლამ ჩერქეზიშვილის დახმარებით გამოსცეს პარიზში 1903 წელს გაზეთი „საქართველო“. ვარლამი მონაწილეობდა ქართული პოლიტიკური ფრაქციების შენევის 1904 წლის კონფერენციაში. მისი დახმარებით გამოუგზავნეს ქართველ სოციალ-ფედერალისტებს იარაღის დიდი პარტია ჰოლანდიიდან. 1907 წელს ვარლამ ჩერქეზიშვილის დიდი ძალისხმევით წარედგინა ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას ქართველი ხალხის პეტიცია (2 ათასამდე ხელმოწერა) იმის თაობაზე, რომ რუსეთმა დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის ხელშეკრულება და ნამოჭრილი იყო საკითხი სახელმწიფოებრიობის აღდგენის თაობაზე. მართალია, ჰააგაში ვერც საქართველოს დამოუკიდებლობა გადაწყდებოდა და ვერც ავტონომიის საკითხი, მაგრამ „პირველად იყო, რომ ქვეყნიერებამ საქართველოზე დაილაპარაკა“ (გრიგოლ რობაქიძე).

ვარლამ ჩერქეზიშვილი თავიდან საქართველოს ავტონომიის მოთხოვნით გამოდიოდა, 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების მერე კი ქვეყნის და-

მოუკიდებლობას უჭერდა მხარს. გრიგოლ რობაქიძე იმასაც აღნიშნავდა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის ანარქისტობაც, საქართველოს დამოუკიდებლობის ნადილით იყო გამოწვეული. ანარქისტები ხომ სახელმწიფოს უარყოფდნენ, როგორც ძალადობისა და პიროვნების ჩაგვრის ინსტიტუტს. „თუ მოიშლებოდა სახელმწიფო წყობილება საერთოდ, მაშინ რუსეთიც, რომელიც პრეისტორიული მამონტივით თავს აწვავს საქართველოს, დაემხობოდა სახელმწიფოებრივი მხრით და, როგორც შედეგი ამისა, საქართველოც თავისუფლად ამოისუნთქვდა. აი, ქვემოცნეული ხაზი ვარლამ ჩერქეზიშვილის პოლიტიკური ბრძოლისა“.

თუ როგორ განიცდიდა ვარლამ ჩერქეზიშვილი სამშობლოდან მოწყვეტას, ყველაზე უკეთ თავად ახსნა 1909 წლის 20 სექტემბერს „დროებაში“ დაბეჭდილ წერილში, რომელიც არა ფსევდონიმით, არამედ საკუთარი სახელითა და გვარით გამოაქვეყნა. „მრავალი წელი – საუკეთესო დღეები ჩემის სიცოცხლისა სამშობლოს გარეთ გავატარე. მთელი ორმოცდახუთი წელიწადი მოწყვეტილი ვიყავი ჩვენ ცხოვრებას. გავრუსდი კიდეცა და ინტერნაციონალისტადაც გადავიქეცი. გავრუსდი, როგორც იტყვიან, თავიდან ფეხებამდე. ვერც კატკოვი და იანოვსკი, ვერც ლეგოტსკი, რომელიც ზმნების შესასწავლად ბავშვებს აყენებს და აკნავლებს, სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდნენ ასეთ ნაყოფს გარუსებისას: მე სრულებით დავივიწყე სამშობლო ენა“.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ერთგულ მეუღლესთან, ფრანგ ქალბატონ ფრიდასთან ერთად, 1918 წელს დაბრუნდა სამშობლოში, სადაც კარგად ახსოვდათ მისი ღვაწლი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ვარლამი აქტიურად ჩაება ქვეყნის ცხოვრებაში. სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი ეფემერული თავისუფლება. სწორედაც რომ, ეფემერული. ამ სამწუხარო ეპითეტს გალაკტიონს დავესესხე. ხომ

გახსოვთ, მისი „მშობლიური ეფემერა“, სადაც მიჯაჭვული ამირანის გმინვა და კვნესა ისმის: „აქ ვილაც კვნესის დიდი ხანია.../ ამირანია? – მივმართავ კლდეებს /და კლდეც გუგუნებს: ამირანია!“. კვლავ მორღვეულია ჩრდილოეთის კარიბჭე, კვლავ მოისმის იქიდან სულისშემძვრელი მწუხარების ზარი – „დარიალიდან ზარავდა ზარა“, „ზამთარს ბილიკი დაუტანია“, რამეთუ ისევ „დაკარგულია გზა მოხვევის“.

ვარლამ ჩერქეზიშვილს 1921 წლის გაზაფხულზე, საქართველოს ოკუპაციის გამო, კვლავ მოუწია უცხოეთში გადახვეწა. სამშობლოს დატოვებამდე, თებერვლის თოვლჭყაპიან დღეს, თბილისელებმა დაინახეს კოჯრის გზაზე თოფით ხელში მიმავალი 74 წლის კაცი, რომელიც ტაბახმელასთან მებრძოლ ქართველ იუნკერთა მისაშველებლად მიემართებოდა. ეს კაცი ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო.

1925 წელს გარდაიცვალა ვარლამ ჩერქეზიშვილი. დაკრძალულია ლონდონის სასაფლაოზე, კარლ მარქსის საფლავის სიახლოვეს. ალბათ, ამ სახით დაუფასეს უცხოელებმა რევოლუციური იდეალებისათვის ბრძოლა, მაგრამ ამ ფაქტში მაინც არის ბედის ირონია – ვარლამ ჩერქეზიშვილი იმ კაცის სიახლოვეს დაკრძალეს, რომელიც, ვარლამისგან განსხვავებით, უსაშველო კოსმოპოლიტი იყო, რომელიც პლაგიატში ამხილა და საფუძვლიანად გააკრიტიკა ქართველმა პატრიოტმა და ანარქისტ-კომუნისტმა.

დღეს ნაკლებად გვაღელვებს ანარქო-სინდიკალისტთა თუ ანარქო-კომუნისტთა იდეები, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის იდეა ყოველთვის ააღელვებს ნებისმიერი ეროვნების მკითხველს, მით უფრო, რომ „მინის ყივილში“ აღწერილი ამბავი არ არის მხოლოდ მხატვრული გამონაგონი. ამან ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი გამახსენა ალბერტ შვაიცერის ბიოგრაფიიდან.

ალბერტ შვაიცერი – თეოლოგი, ფილოსოფოსი, ორლანისტი, ბახის ინტერპრეტატორი, ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში – ნახევარი საუკუნის მანძილზე თავგადადებით იღვწოდა ღვთისა და კაცისგან მიტოვებული აფრიკული ქვეყნის, გაბონის მკვიდრთა სიცოცხლის გადასარჩენად. ექიმის პროფესიის შესწავლაც ამ მიზნით დაიწყო 30 წლის ასაკში.

ალბერტ შვაიცერი ელზასის მხარეში დაიბადა. ელზას-ლოთარინგია ის რეგიონია, რომელიც ფრანგებითა და გერმანელებით არის დასახლებული. ორენოვან სამყაროში აღზრდილი, გენეტიკურად გერმანელი შვაიცერი, თანაბრად ფლობდა ფრანგულს და გერმანულს. წიგნებსაც ორივე ენაზე წერდა. რომ გეკითხათ, ვერ გეტყობათ, რომელი იყო მისი მშობლიური ენა – ფრანგული თუ გერმანული? ეს თავადაც ძალიან აინტერესებდა. ამ კითხვას პასუხი მაშინ გაეცა, როცა სახადით მძიმედ დაავდდა და სიცხიანმა ბოღვა დაიწყო. კაცმა, რომელსაც მსოფლიო მოქალაქეს უწოდებდნენ, სიცოცხლის უმძიმეს წუთებში საშველად დედას გერმანულად უხმო – „Mutti“ (დედა).

„მინის ყივილის“ ანდრო კაიშაურსაც სიცოცხლის ბოლო წუთებში დედა ეცხადება. მთავარი კი მაინც ის არის, თუ როგორ ჰგავს ალბერტ შვაიცერის ცხოვრების ეს მრავლისმეტყველი ეპიზოდი სიცოცხლის მიწურულს ანდრო კაიშაურისა და მისი პროტოტიპის, ვარლამ ჩერქეზიშვილის, ქართულად ამეტყველებას. საოცარია, რა ძალა ჰქონია მშობლიურ ფესვებს, იმას, რასაც მიხეილ ჯავახიშვილმა ხატოვნად „მინის ყივილი“ უწოდა.

„ჯაყოს ხიზნები“

თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის, კინო-ტელე სასცენარო განყოფილების სტუდენტებს

აკაკი ბაქრაძე კინოდრამატურგიის კურსს გვიკითხავდა. ეს ლექციები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კინოხელოვნებაზე საუბრით. აკაკი ბაქრაძის ლექციები ხელოვნების თითქმის ყველა დარგს მოიცავდა – რალა თქმა უნდა, მხატვრულ ლიტერატურასაც.

აკაკი ბაქრაძემ „ჯაყოს ხიზნებზე“ საუბრისას ასეთი რამ თქვა – ამ ნაწარმოებში სამი სიმბოლური სახეა: მარგო, ჯაყო და თეიმურაზ ხევისთავი. მარგო სახეა საქართველოსი, იმ ქვეყნისა, რომელსაც დაცვა და მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა. ამ ნაწარმოებით მიხეილ ჯავახიშვილმა ერთდროულად ყველა გაანაწყენა – ბოლშევიკებიც, ქართული არისტოკრატიაც, საზღვარგარეთ მყოფი დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებასაც და პოლიტიკური პარტიებიც, სოციალ-დემოკრატიულით დაწყებული, დამთავრებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიით, რომლის მთავარი კომიტეტის წევრიც თავად იყო. ამდენად, „ჯაყოს ხიზნებით“ მიხეილ ჯავახიშვილმა საკუთარ თავს, საკუთარ პარტიულ წარსულსაც კი გაუსწორა ანგარიში, რადგან ვერ მოუარეს საქართველოს, ვერ შეინარჩუნეს ქვეყნის დამოუკიდებლობა. თეიმურაზ ხევისთავის პროტოტიპია ნოე ჟორდანი. ჟორდანი ენაბრგვილი კაცი იყო; ჯაყოს პროტოტიპია სტალინი – იოსებ ჯუღაშვილი – მოძალადე, რომელიც იმას დაეუფლა, რასაც თეიმურაზ ხევისთავმა ვერ უპატრონა. გარდა ფონეტიკური მსგავსებისა, ჯიჯაშვილი – ჯუღაშვილი, აკაკი ბაქრაძემ ისიც თქვა, მხედველობაშია მისაღები, რომ ჯუღაშვილების გვარი ოსური წარმომავლობის გვარიაო. უფრო ვრცლად ლექციის შინაარსს ველარ გადმოვცემ, რადგან აკაკი ბაქრაძის ლექციები არასოდეს ჩამიწერია, იმდენად მივყვებოდი ლექტორის აზრთა დენას, ჩანერა არც მიფიქრია. მოგვიანებით, 1980 წელს, აკაკი ბაქრაძემ „ჯაყოს ხიზნების“ შესახებ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა – „მოუხმარებელი,

ანუ ტრაგიკული თავისუფლება“, რომლის სათაურიც რომანის აზრობრივ შინაარსზე მიანიშნებს, თუმც საკუთრივ „ჯაყოს ხიზნების“ პროტოტიპებზე აღარაფერია ნათქვამი.

მერე მე, ჩემს ლექციებზე, ტექსტზე და მიხილ ჯავახიშვილის მოგვიანებით გამოქვეყნებულ ჩანაწერებზე, ასევე, ქართველ ემიგრანტთა პუბლიკაციებზე დაყრდნობით, მცირეოდენი არგუმენტებით ვავსებდი აკაკი ბაქრაძის თვალსაზრისს, თუმც არც ის დამიმაღლავს, რომ რომანის ზემონახსენები, არსებითი და მნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია აკაკი ბაქრაძეს ეკუთვნოდა. რადგან მიხილ ჯავახიშვილის ჩანაწერები ვახსენე, აუცილებლობად მიმაჩნია იმის გახსენება, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა მწერალი „ჯაყოს ხიზნებს“: „ჯაყოს 1924 წ. სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ედებოდა, ხოლო სული იმ დროს სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვა ჩემი სულის“.

აკაკი ბაქრაძეს არ უხსენებია და კარგა ხანს არც მე მქონდა ნაკითხული 1933 წლის ნოემბერში დაწერილი ოსიპ მანდელშტამის ინვექტივა¹ – საბჭოთა ბელადის მამხილებელი ლექსი:

Мы живем, под собою не чуя страны,
Наши речи за десять шагов не слышны,
А где хватит на полразговорца,
Там припомнят кремлёвского горца.
Его толстые пальцы, как черви,
жирны,

А слова, как пудовые гири, верны,
Тараканьи смеются усища,
И сияют его голенища.
А вокруг него сброд тонкошеих
вождей,
Он играет услугами полулюдей.
Кто свистит, кто мяучит, кто хнычет,
Он один лишь бабачит и тычет,
Как подкову, кует за указом указ:
Кому в пах, кому в лоб, кому в бровь,
кому в глаз.
Что ни казнь у него – то малина
И широкая грудь осетина.

მანდელშტამის ამ მძაფრად სატირული და მამხილებელი ლექსის დედანთან მაქსიმალურად დაახლოებული თარგმანი საგანგებოდ ამ წერილისთვის შეასრულა ნინო დარბაისელ-სტრონმა, რისთვისაც ქალბატონ ნინოს უღრმეს მადლობას მოვახსენებ:

ვარსებობთ ისე, რომ ქვეყანა ველარ
გვიგრძენია,
ათ ნაბიჯს იქით ხმის განვდენა არ
შეგვიძლია,
ხოლო თუ სადმე თქმა უჩუმრად არ
არის ძნელი,
იხსენიება უსათუოდ კრემლის
მთიელი.

მსხვილი თითები, ვით მატლები,
აქვს არასუსტი,
ხოლო სიტყვები – ფუთიანი
გირივით ზუსტი.
ტარაკანივით უღვაშებით
მოცინარია,

1. მანდელშტამის ინვექტივაზე საუბრისას, არ შემიძლია, არ გავიხსენო **გაბრიელ ჯაბუშანურის** ვრცელი ლექსი სტალინზე, სადაც სიტყვა **ინვექტივა** სათაურშივე გვხვდება – „**ინვექტივა-მონუმენტი**“. ასეთია სათაური გასაოცარი მამხილებელი ლექსისა. ჩემი აზრით, ჯაბუშანურის ინვექტივა არანაკლებ მძაფრია, თუ მეტი არა, მანდელშტამის ლექსზე. ნიმუშად მოვიხმობ ამ ორასსტრიქონიანი ლექსის პირველი სტროფს: „სამყაროს რისხვა შენთვის ახია/ და რისხვაც გითხარ მე, სიტყვის ლოთმა,/ რამდენი ღერი თმისა გასხია,/ იმდენი კაცის გამძიმებს ცოდვა...“ გ. ჯაბუშანურის ეს ლექსი პირველად მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას „ოქროს სანმისში“ გამოქვეყნდა 1976 წელს.

ხოლო ჩექმები მისი მუდამ
სხივმფინარია.

ირგვლივ კი ხროვა ახვევია
წერილკისრიანთა,
ართობს მონება ამ
ნახევარადამიანთა.
ვილაცა უსტვენს, ვილაც კნავის,
სხვანი ხავიან,
მხოლოდ ის ერთი ვერგობს და
გამჯობხავია.

ის, როგორც ნალებს, ბრძანებაზე
ბრძანებას ჭედავს,
ვის საზარდულში, შუბლში, წარბში,
ვის თვალში სჭედავს.
თუ არ დახვრეტას, გადასახლებას
მოგისჯის ისა,
ფართო გულმკერდი ჩაგინუტებს
იმა ოსისა.

ამბობენ, ლექსი მანდელშტამს ჯი-
ბით დაჰქონდა და ბევრს წაუკითხაო.
მთავარი ლექსში სტალინის პიროვნე-
ბის მიუღებლობა, მეტიც, დიქტატორის
აშკარა სიძულვილია. ბოლო ფრაზას
(„ფართო გულმკერდი ოსისა“) თით-
ქოს ფობიის ელფერი დაჰკრავს, ამი-
ტომ უთხრა გაოცებულმა ბორის პას-
ტერნაკმა პოეტის მეუღლეს, ნადეჟდა
მანდელშტამს: „კი, მაგრამ ეს როგორ
დანერა, ის ხომ ებრაელია?!“ სინამდვი-
ლეში მანდელშტამის მიზანი ოდნავა-
დაც არ ყოფილა ოსების შეურაცხყო-
ფა. მისი სამიზნე ტირანი და ტირანიის
სიძულვილია. პოეტი იმდენად შეძრწუ-
ნებული იყო იმით, რაც ქვეყანაში ხდე-
ბოდა, რომ გაჩუმება არ შეეძლო. აღარ
ანაღვლებდა დიქტატორის აღშფოთება
და გაღიზიანება. რას უნდა გაეღიზიან-
ებინა და გაემწარებინა სტალინი? რა
თქმა უნდა, მანდელშტამის მიერ დახა-
ტულ გროტესკულ პორტრეტს და მამ-
ხილებელ ტონს, მაგრამ, როგორც შემ-
დგომში აღმოჩნდა, კიდევ უფრო მეტად
– ოსად მოხსენიებას.

საიდან მოიტანა მანდელშტამმა იო-
სებ სტალინის – ჯულაშვილის ოსობა?!
ბელადის გვარს ხომ აშკარად ქართული
დაბოლოება აქვს; თავადაც ქართვე-
ლად მიიჩნევდა თავს და კომპარტიისა
და საბჭოების ყრილობათა ანკეტებში,
ეროვნების გრაფაში „ხალხთა ბელადი“
ყველგან, საკუთარი ხელით, გარკვევით
წერდა – ქართველი. საბჭოთა პერიოდ-
ში, გასაგები მიზეზის გამო, დიდად არ
აკეთებდნენ აქცენტს „ხალხთა მამის“
ეროვნებაზე, თუმც სტალინის სიცოც-
ხლეში გამოცემულ საბჭოთა ენციკლო-
პედიებში აღნიშნულია, რომ ამხანაგი
სტალინი ქართველია და ქალაქ გორშია
დაბადებული.

ზედმეტიც კია იმაზე საუბარი, თუ
როგორი ყურადღებით ეკიდებოდა
სტალინი ქართული კულტურის წარ-
მოჩენას, რა დავალება მისცა მალა-
ქია ტოროშელიძეს, თუ საიდან დაენ-
ყო მოხსენება ქართული ლიტერატუ-
რის შესახებ სსრკ მწერალთა პირველ
ყრილობაზე 1934 წელს. ბოლშევიკი
ტოროშელიძე, რომელიც იმხანად სა-
ქართველოს მწერალთა კავშირის ხელ-
მძღვანელი იყო, მოხსენების დაწყებას
ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული
წინამოებით, დანიელ ჭონქაძის „სუ-
რამის ციხით“ აპირებდა. სტალინმა
მოსთხოვა, მოხსენება რუსთაველიდან
დაენყო, განსაკუთრებით გამოეკვეთა
„ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა, ასე-
ვე უფრო საფუძვლიანად განეხილა და
წარმოეჩინა XIX საუკუნის ქართული
მწერლობა. მერე უკვე თბილისში დაბ-
რუნებულ ტოროშელიძეს სერიოზული
მწერლები და მეცნიერები დაახმარეს.
ყრილობაზე ქართულ მწერლობაზე წა-
კითხული მოხსენების შემდეგ ეფექტიც
სასურველი იყო. მეორე დღეს რუსთა-
ველის პორტრეტი კავშირების სახლის
სვეტებიანი დარბაზის პირველ სვეტზე
გამოჩნდა (დანარჩენებზე მსოფლიოს
სხვა გამოჩენილ მწერალთა პორტრე-
ტები ეკიდა); როცა 1936 წელს მოსკოვ-

ში ქართული ხელოვნების დეკადა გაამართვინა, ბელადს მაშინაც საკუთარი ეროვნებისა და საქართველოს კულტურული თვითმყოფადობის წარმოჩენა სურდა. ისიც გავიხსენოთ, 1937 წელს, მსოფლიოს დასაზარად, როგორ აზეიმა მთელ საბჭოთა კავშირს რუსთაველის იუბილე.

რა თქმა უნდა, სტალინს ქართული კულტურის წარმოჩენა იმ ცრუ ინფორმაციის საპირწონედ სჭირდებოდა, რუსულმა ემიგრაციამ რომ გაავრცელა საზღვარგარეთ: ის, რაც საბჭოთა კავშირში ხდება, რუსული დესპოტური ხასიათის გამოხატულება კი არ არის, არამედ ამაში ბრალი უკულტურო ერის შვილს, ქართველ სტალინს მიუძღვისო. რა მოტივაციაც არ უნდა ჰქონოდა სტალინს ქართული კულტურის წარმოჩენისა, ფაქტი ერთია, იოსებ ჯუღაშვილი, საბჭოთა დიქტატორი, რომელიც სიჭაბუკეში ლექსებს სოსელოს ფსევდონიმით აქვეყნებდა და რომლის ლექსშიც ასეთი ფრაზაა – „აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო“, საკუთარ თავს მხოლოდ ამ „ტურფა ივერიის“ შვილად თვლიდა. მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს სტალინი, საყოველთაო ჭეშმარიტებაა – ადამიანი იმ ერს ეკუთვნის, რომლის წარმომადგენლადაც მიიჩნევს თავს.

და მაინც, საქართველოში, გარკვეულ წრეებში, არ წყდებოდა მითქმა-მოთქმა ჯუღაშვილების გვარის ოსურ წარმომავლობაზე. სად შეეძლო მოესმინა ხსენებული ვერსია ოსიზ მანდელშტამს? რა თქმა უნდა, ქართველ მწერალთა წრეში, რომელსაც ის 1920 წელს ტიცციან ტაბიძის მეშვეობით გაეცნო.

ტიციანის უახლოესი წრე „ცისფერყანწელები“ და მათი იდეური მეთაური გრიგოლ რობაქიძე იყვნენ. სხვა მწერ-

ლებიდან მათთან ყველაზე დაახლოებული მიხეილ ჯავახიშვილი გახლდათ. სწორედ მათ დაუმეგობრდა ოსიზ მანდელშტამი ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში.

ქართველ მწერლებთან მანდელშტამის გაცნობა ასეთ ვითარებაში მოხდა:¹ 1920 წლის ზაფხულში ბათუმის ბულვარზე მოსეირნე ტიცციან ტაბიძესა და ნიკოლო მინიშვილთან მოხუცი ებრაელი მივიდა და ჰკითხა – იცნობთ თუ არა პოეტ მანდელშტამსო. დასტურის მიღების შემდეგ ამცნო, მანდელშტამი სპეცრაზმმა დააკავა, დატუსაღებულია და უნდა დაეხმაროთო. მინიშვილი და ტაბიძე მივიდნენ დაპატიმრების ადგილზე. „ვიღაც მანდელშტამი კი გვყავს, მაგრამ შეუძლებელია, თქვენნი ნაცნობი იყოს, სულ არ ჰგავს პოეტს“, – იყო პასუხი.

ბათუმში საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულის, ბენია ჩხიკვიშვილის განკარგულებით მოიყვანეს ტუსალი. შემოდის დაბალი, ხმელ-ხმელი, მელოტი ებრაელი; უკბილოა, ჭუჭყიანი ტანსაცმელი და დაგლეჯილი ფლოსტები აცვია. ჭეშმარიტად ბიბლიური გარეგნობა აქვს. მანდელშტამი ჩამოჯდა სკამის კიდეზე და დაიწყო მოყოლა... „ყირიმში წითლებს გავექეცი, იქ კი თეთრებმა დამიჭირეს, როგორც ბოლშევიკი. ყირიმიდან საქართველოსკენ დავეშვი, აქ ისევ თეთრს მიმამსგავსეს. ახლა თვითონაც არ ვიცი, ვინ ვარ – თეთრი, წითელი თუ რაიმე სხვა შეფერილობისა. ისე კი, მე პოეტი გახლავართ, ვწერ ლექსებს და ყოველგვარ ფერზე მატად მაინტერესებს ტიბულუსი, კატულუსი და რომაული დეკადანსი“.

„მე პოეტი არა ვარ და სასუფევლის დამკვიდრების იმედით არ ვსასოებ თქვენსავით, მაგრამ, მიუხედავად ამი-

1. ო. მანდელშტამის საქართველოში პირველი სტუმრობის შესახებ იხ. ტატიანა ნიკოლსკაია – „Фантастический город“, русская культурная жизнь в Тбилиси. 1917-1921.М. 2000.

სა, პოეტი არ უნდა შიმშილობდეს“, – წარმოთქვა ჩხიკვიშვილმა და მანდელშტამს გადასცა ფურცელი, რომლის მეშვეობით მან სალაროდან მიიღო საკმაო რაოდენობის ფული, რათა ჩაეცვა, დაეხურა და ცოტა ხნით თავი გაეტანა.

ოსიპ მანდელშტამი, თავის ახალშეძენილ მეგობრებთან ერთად, შემდეგ უკვე თბილისში აღმოჩნდა, ხოლო ამავე წლის 26 სექტემბერს თბილისის კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ოსიპ მანდელშტამისა და ილია ერენბურგის საღამო.


ქართველმა მეგობრებმა აზიარეს მანდელშტამი ჩვენს ლიტერატურულ კლასიკასა და ხელოვნებას, ყოფას და ხასიათს. თბილისს შესანიშნავი ლექსი უძღვნა „Мне Тифлис горбатый снится“ („მესიზმრება კუზიანი თბილისი“); ვაჟას შემოქმედებით შთაგონებულმა თარგმნა „გოგოთურ და აფშინა“; მანდელშტამმა ღრმად გაიაზრა ქართული კულტურის თვითმყოფადი ხასიათი, რაც მკაფიოდ აისახა ნარკვევში „ცოტა რამ ქართულ ხელოვნებაზე“ (1922წ.). ის ერთგვარად საყვედურობს კიდეც ქართველ მეგობრებს, „ცისფერყანწლებს“, ევროპული ხელოვნებისადმი ზედმეტი ქედის მოხრის გამო. ამაზე გარკვეულწილად ფიროსმანის მანდელშტამისეული შეფასებააც მიანიშნებს: „ფრანგებს რომ რაიმე სცოდნოდათ ფიროსმანაშვილის არსებობის შესახებ, საქართველოში ჩამოვიდოდნენ, რათა მისგან ფერწერა ესწავლათ“.

1930 წელს მანდელშტამი უკვე მესამედ ჩამოვიდა საქართველოში. პოეტს მეუღლეც ახლდა. ისევ ის წრე მასპინძელთა, ოღონდ აღარ არის ის შინაგანი, სულიერი თავისუფლება, რაც 1920 წელს, პირველი სტუმრობისას, იყო. ახლა ადამიანები ჩურჩულით თუ ეტყვიან სიმართლეს ერთმანეთს, სრულად მოუკრებია ძალა ბოლშევიკურ დიქტატურას, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაც გამოუვლია და 1924 წელს სის-

ხლში ჩამხრჩვალ აჯანყების მცდელობაც. მართალია, ჯერ კიდევ სამი წელია დარჩენილი იქამდე, სანამ მანდელშტამი სტალინზე გამანადგურებელ ინვექტივას დაწერს, სანამ ოსად მოიხსენიებს, მაგრამ, შეუძლებელია, ლექსის დაწერამდე სამი წლით ადრეც დადებითი დამოკიდებულება ჰქონოდა დიქტატორისადმი. ამ დროისათვის უკვე თარგმნილია რუსულად მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“. უდავოა, ოსიპ მანდელშტამს წაკითხული აქვს რომანის რუსული თარგმანი. ამიტომ არის, რომ მანდელშტამის ლექსში დახატულ პორტრეტში უფრო ჯაყოს გარეგნობას ამოვიცნობთ, ვიდრე სტალინისას (ამ საკითხს ქვემოთ დანვრილებით შევეხები). კეთილშობილი კაცი, ბორის პასტერნაკი, რომელსაც, საფიქრებელია, წაკითხული არ ჰქონდა „ჯაყოს ხიზნები“, ამ კონკრეტულ ანალოგიას ვერ დაინახავდა. ამიტომ იყო მისთვის გასაოცარი მანდელშტამის მხრივ ეროვნების შეურაცხყოფა. ასეთი რამ, არც მანდელშტამს და არც „ჯაყოს ხიზნების“ ავტორს ჰქონია აზრად. როგორც ჯავახიშვილის, ისე მანდელშტამის გროტესკის სამიზნე ბოლშევიკი დიქტატორია – იოსებ სტალინი – იოსებ ჯულაშვილი. პროტოტიპზე პერსონაჟის მხატვრული სახის აგება მიხეილ ჯავახიშვილის მწერლური თავისებურებაა. ამის თაობაზე არაერთხელ განუცხადებია: „პროტოტიპი ძლიერ ეხმარება მწერალს... მაგრამ პროტოტიპის პორტრეტის დახატვა არ კმარა. მწერალი მას თავისებურად გარდაქმნის, ზოგ რამეს მიუმატებს, ზოგსაც დააკლებს და ისეთ ვინმეს გამოიყვანს, რომელიც კიდეც ჰგავს დედანს და არც ჰგავს. ასე იქმნება სინტეტური ტიპი“ (მიხეილ ჯავახიშვილი, „როგორ ვწერ“). ამ პრინციპითაა შექმნილი ჯაყო ჯივაშვილის სახე, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის მისი პროტოტიპის – სტალინის ასლი.

მიხეილ ჯავახიშვილს ჯაყო ჯივაშვილის შემთხვევაში სტალინის გარეგნობა არ გამოუყენებია. მოძალადის

სინთეტური ტიპის შესაქმნელად, როგორც ზემომოხმობილ ციტატაშია ნათქვამი, მწერლის გონებაში კიდევ სხვა პროტოტიპი ცოცხლდება – სხვა ფიზიონომიის, სხვა გარეგნობის. ამის შესახებ საგანგებოდ საუბრობს მიხეილ ჯავახიშვილი:



„ჯაყო სულ სხვანაირად წარმოიშვა. 30 წლის წინათ ჯავის ხეობაში უცანური ვინმე შემხვდა – ბრგე, ბანჯგვლიანი, ცბიერი, ხარბი, ამავე დროს მარდი და მოხერხებული. მისი სახელი აღარ მახსოვს. 10 წლის შემდეგ ინჟ. ფიდო ყაზბეგმა ქართულ კლუბში ასეთი ანეგდოტი გვიამბო: ნაყმევმა თავის კნეინას ძღვენი მიართვა.

– გამარჯვება, ჯაყო!
– კნეინას ვახლავარ!
– რასა იქმ, როგორა ხარ?
– ძალიან კარგად ბრძანდები, შენი წირი მე.
– ცოლშვილი როგორა გყავს?
– სულ კარგათა ხართ, გენაცვალე.

– რამდენი შვილი გყავს, ჯაყო?

– თორმეტი გყავს, გენაცვალე მაგ თვალეშია.

– როგორ მოახერხე მაგდენი, ჯაყო?

– მაშა, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! – მიუგო ნაყმევმა.

უკანასკნელ სამ სიტყვაში ამაზე უფრო მწვავე პილპილი ეყარა. ანეკდოტი ჩემს ხსოვნაში ხუთიოდე წუთზე მეტს ვერა სძლებს, მაგრამ ამ უწმანურ ანეგდოტს ჯაველი ოსი ჩაეხლართა და ამ სახემ ჩემი ხსოვნის ერთერთ კუნჭულში დაიბუდა. კიდევ გავიდა ათიოდე წელიწადი და იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, გაშიშვლდა და თვალწინ წამომეჭრა. აი ზოგჯერ რა უცნაურად იბადება ტიპი“.

მიხეილ ჯავახიშვილი შორსაა შიმველი ნატურალიზმისაგან, როგორც ითქვა, ჯაყოს პორტრეტი

არ იმეორებს პროტოტიპის – სტალინის გარეგნობას. ის გროტესკული რეალიზმის მანერითაა შესრულებული. ამ შემთხვევაში უმთავრესი მოვლენის არსია. მიხეილ ჯავახიშვილისთვის პროტოტიპიც და პროტაგონისტიც – იოსებ ჯულაშვილიც და ჯაყო ჯივაშვილიც იმ უხეში ძალის, ანუ ბოლშევიზმის განსახიერებაა, რომელმაც დაიპყრო და დაეპატრონა უხერ-

ხემლო, ფსევდოდემოკრატიული იდეალებით გაბრუებული თეიმურაზ ხევისთავის (1918-21 წლების ხელისუფლების) ამაოიმედად დარჩენილ, უპატრონო მარგოს (საქართველოს).

უცოდველად არც მარგო გამოიყურება. ისიც იოლად დანებდა მოძალადეს. თავიდან იფიქრა, რა ჭირად მინდა მჭლე თეიმურაზი, ჯაყოს ხელში გავლადები და გავიფურჩქნებო. თითქოს ასეც მოხდა, მაგრამ მერე მძიმე უღელი დაადგა ჯაყომ – უშველებელი ტომარა აჰკიდა და ნელში ოთხად მოდრეკილი წისქვილის გზას სულ ჯიკავ-ჯიკავით გაუყენა. ალეგორია ამ შემთხვევაშიც მკაფიო და გამჭვირვალეა. 1921 წელს მოსახლეობის საკმაო ნაწილმა ქვეყნის ოკუპაცია ხელისუფლების უბრალო ცვლილებად მიიღო. ბევრს ხიბლავდა ბოლშევიკების დაპირებები. ბევრი თანამდებობის ხელში ჩაგდება იყო ატაცებული. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ხელახალ დაპყრობას ქართველებისავე ხელშეწყობით (სტალინი, ორჯონიკიძე...) ბოლშევიკების შემოსვლა დაერქვა და სიტყვა „დაპყრობა“ თუ „ოკუპაცია“ კარგა ხნით გადავიწყებული იყო.

ახლა ორიოდ სიტყვა ისევ სტალინის ნაციონალურ იდენტობაზე, უფრო ზუსტად, მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულებაზე ამ საკითხისადმი, არ შეიძლება „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით განვსაჯოთ სტალინის ნაციონალური კუთვნილების საკითხი. სტალინის – იოსებ ჯულაშვილის ქართველობა არასოდეს უარყვია მიხეილ ჯავახიშვილს. სხვაგვარად არანაირად არ იქნებოდა სტალინი ჯავახიშვილის კიდევ ერთი რომანის – „ქალის ტვირთის“ პროტაგონისტის, ქართველის, რევოლუციონერ ზურაბ გურგენიძის პროტოტიპი. ზურაბ გურგენიძემაც საბედისწერო როლი ითამაშა რევოლუციური იდეალებით მოტყუებული ქალის, ქეთო ახატნელის ცხოვრებაში. აქაც მეორდება ქალი-ქვე-

ყანის მარგოსეული მოდელი.

ზურაბ გურგენიძის პროტოტიპი რომ სტალინია, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების არაერთ მკვლევარს აქვს აღნიშნული – ეთერ შარაშენიძე, ლია ყატაშვილი, ლელა წიქარიშვილი. ამას, ტექსტის მხატვრული ანალიზის გარდა, ადასტურებს მწერლის ჩანაწერიც, სადაც ჩამოთვლილია „ქალის ტვირთის“ პროტოტიპების ვინაობა, კერძოდ, ზურაბ გურგენიძის შესახებ მწერალს უწერია: „ზურაბ გურგენიძე (ჯიქი) 26 წ. ბოლშევიკი. სტალინის ტიპი“. არც ზურაბ გურგენიძის შემთხვევაში გამოუყენებია მიხეილ ჯავახიშვილს სტალინის გარეგნობა.

ისე კი უნდა ითქვას, გასაოცარია მიხეილ ჯავახიშვილისა და ოსიპ მანდელშტამის შეუპოვრება – დიქტატორის მხილების დაუკებელი სურვილი. როგორც ითქვა, „ქალის ტვირთში“ მიხეილ ჯავახიშვილმა ჯაყოს შემდეგ სტალინის თარგზე კიდევ ერთი უარყოფითი პერსონაჟის, რევოლუციონერ ზურაბ გურგენიძის სახე შექმნა. არც ოსიპ მანდელშტამმა შეისმინა კეთილისმყოფელთა რჩევა, კერძოდ, როცა ლექსი ბორის პასტერნაკს წაუკითხა, გაოგნებულმა პასტერნაკმა უთხრა: „ეს ლექსი არ არის, ეს თვითმკვლევლობაა. თქვენ არაფერი წაგიკითხავთ! მე არაფერი მომისმენია! აღარავის წაუკითხოთ!“ მაშინაც კი, როცა მანდელშტამმა ბელადს ვრცელი ლექსი – „ოდა სტალინს“ – მიუძღვნა, სადაც, სათაურით თუ ვიმსჯელებთ, თითქოსდა გამოისყიდა „დანაშაული“ მძაფრი ინვექტივის გამო და ბელადის ქართულ გვარზეც კი გააკეთე აქცენტი – „Ты не Сталин – Джугашвили“ – მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შეიკავა თავი. დაკვირვებული მკითხველი ამ ლექსშიც აღმოაჩენს ირონიას სტალინის მიმართ.

ახლა კვლავ იმ საბედისწერო ინვექტივას დავუბრუნდეთ, რომელსაც შეეწირა პოეტი. ოსიპ მანდელშტამი 1934

ნლის 17 მაისს დააპატიმრეს და ურალს იქით, ქალაქ ჩერდინში გადაასახლეს. მანდელშტამის მეუღლე გამუდმებით წერდა წერილებს ნიკოლაი ბუხარინს პოეტის მძიმე მდგომარეობის შესახებ. ბუხარინი მწერლებთან მეგობრობდა. ის განსაკუთრებით აფასებდა ბორის პასტერნაკს. ამბობენ, ბუხარინთან პასტერნაკმაც იშუამდგომლაო. ფაქტი ისაა, რომ ბუხარინმა სთხოვა სტალინს, მანდელშტამის თაობაზე და, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სტალინი დასთანხმდა, ცოლ-ქმარ მანდელშტამებს თავად ამოერჩიათ გადასახლების ადგილი. მანდელშტამები ირჩევნ ვორონეჟს. იმასაც ამბობენ, სტალინი იმიტომ დასთანხმდა ოსიპ მანდელშტამის მდგომარეობის შემსუბუქებას, რომ არ სურდა სსრკ მწერალთა I ყრილობის ფონზე პოლიტიკური მონინაალმდეგეებისთვის სალაპარაკო მიეცაო. ასე იყო თუ ისე, ბელადის წყალობა დროებითი აღმოჩნდა, 1938 წლის მაისში ოსიპ მანდელშტამი ხელმეორედ დაიჭირეს და „გულაგის“ გზას გაუყენეს. დაპატიმრების საბოლოო პუნქტამდე ავადმყოფმა პოეტმა ველარ ჩაალნია და გზაში გარდაიცვალა. მისი დასაფლავების ადგილიც კი უცნობია. არადა, მანდელშტამის ეს საბედისწერო ინვექტივა დღეს ყველაზე პოპულარული, ყველაზე ხშირად განსჯად ლექსია რუსეთის სოციალურ ქსელსა თუ ლიტერატურულ წრეებში. მიზეზი ერთადერთია – ინვექტივის ადრესატი – სტალინი.



რუსეთი ისევ დითირამბს უგალობს საკრალიზებულ ხელისუფლებას; ამიტომ ხელახლა წამოიწია წინ სტალინის პიროვნებამ. რუსეთში, მასობრივი გამოკითხვების თანახმად, უკანასკნელ წლებში, ათ ყველაზე გამოჩენილ პიროვნებათა შორის სტალინი პირველ ადგილზე სახელდება. სტალინის სახელის აღდგენა-აღზევებას ერთადერთი რამ უწყობს ხელს – „დერჟავნიკუ-

ლი“ სულისკვეთება – გამოკვეთილად რუსული ეთნოთვისება, რომელიც ასე ჩამოაყალიბა ბორის აკუნინმა: „სახელმწიფო კი არ ემსახურება თავის მოსახლეობას, არამედ მოსახლეობა ემსახურება სახელმწიფოს – აი, პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყველა პერიოდში იყო მონყობილი რუსეთის შინაგანი ცხოვრება... რუსეთს არაფრად უღირს პირადი თავისუფლების შეზღუდვა“. თუ ამ პოზიციიდან შევხედავთ სტალინის პიროვნებას, მაშინ არაფერია მილიონობით დახვრეტილი, კატორლაში დაღუპული, ნანამები, მშიერ-მწყურვალი და გატანჯული ადამიანი – მთავარია ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ანგარიშს უწევენ, მეტიც – ეშინიათ მისი. სტალინმა სწორედ ასეთი ზესახელმწიფო შექმნა. ეს არის მიზეზი რუსეთში სტალინის სახელის რეანიმაციისა.

მანდელშტამის ლექსის გამო, სტალინთან დაკავშირებით, ჭორი და მართალი ერთმანეთშია არეული. მაგალითად, იმასაც წერენ, თითქოს სტალინს თავიდან მოეწონა ლექსის ის მონაკვეთი, სადაც მის შეუზღუდავ ძალაუფლებასა და ირგვლივ მყოფთა მონურ მორჩილებაზეა ლაპარაკი – „ირგვლივ კი ხროვა ახვევია წვრილკისრიანთა,/ ართობს მონობა ამ ნახევარადამიანთა“. რა თქმა უნდა, ეს სიმართლეს არ შეესაბამება; ასევე არკვევენ იმას, თუ ვინ იყო ოსი, სტალინის დედა ეკატერინე გელაძე თუ ეგნატაშვილი, რომლის უკანონო შვილადაც აცხადებდნენ სტალინს ზოგიერთები. ეს უკანასკნელი ვარაუდი ამჟამად გაგაოცებთ – ჩვენებური ჭორები საიდანღა იციან კეკეს შესახებ?!

ახლა ჭორებს თავი ვანებოთ და ვთქვათ, რომ არსებობს მანდელშტამის ინვექტივის საკმაოდ საფუძვლიანი და საინტერესო ინტერპრეტაცია, რომელიც ილია ვინიციკის ეკუთვნის (ი. ვინიციკის სტატია იხ. <https://gorky.media/context/pochemu-mandelstam-chtoby-oskorbit-stalina-nazval-ego-osetinom/>).

ილია ვინიცკის აზრით, ფრაზას – „ფართო გულმკერდი ოსისა“ – არაფერი აქვს საერთო რასიზმთან – ქვეტექსტი უნდა უკავშირდებოდეს მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“, რომელიც აშკარად ნაკითხული აქვს პოეტს.

„ჯაყოს ხიზნები“ რუსულად 1929 წელს გამოქვეყნდა თბილისში სათაურით – „Хизаны Джако“, 1930 წელს კი მოსკოვში გამოიცა).

ილია ვინიცკის არსებითი მიგნება ის არის, რომ ოსიპ მანდელშტამი სტალინის პორტრეტს, სტალინის გარეგნობის მიხედვით კი არა, ჯაყოს პორტრეტის ანალოგიით ხატავს. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მხატვრული სიტყვის მეშვეობით, ლამის ხელშესახები მკაფიოობით აღწერილი ჯაყოს გარეგნობა:

„ჯაყო ჯივაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოდ და ისე განივრად დადგმულ თეძოებსა და მხარ-ბეჭს, რომ ვინრო ტროტუარი მართო ჯაყოს ძლივს იტევდა.

რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირისახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძგვნილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქო ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულყო.

შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალეზამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალეზს, წინ-წამოყრილ ცხენის კბილებსა და აჭყლეტილ ცხვირს ამოყვოთ თავი.

ერთი მტკაველის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქის ყურები დასცქეროდნენ.

შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ჰქონდა; ცხვირი – მოკლე და აჭყლეტილი; თვალეზი – მსხვილი კაკლის ოდენა და ამოყრილი, თანაც ცოცხალი და ცულ-

ლუტი, მოელვარე და მოუსვენარი; თვალეზს ზედ დასწოლოდა დაბურვილი, ხშირი და გრძელი წარბების ლარი, რომელიც მაღალსა და წინ-წამოვარდნილ კვინიხზე შუაზე გადატეხილიყო.

თავთ ეხურა ყავისფერი ოსური ნაბდის ქუდი, ტანთ ეცვა ოსური შალის გაპოხილი ჩოხა, ხოლო ფეხებზე – ხალვათი პაიჭები, თათრული ქრელი წინდები და ახლად ნაყიდი დაბახანური ჩუსტები“.

სწორედ ამ პორტრეტსა და რომანის პროტაგონისტის გარეგნობის ამსახველ კიდევ რამდენიმე ციტატას (განიერი მხარ-ბეჭი, მსხვილი თითები, გაცვეთილი ცოცხის მსგავსი ულვაშები, გაქონილი ტუჩები...) ემყარება ილია ვინიცკი, როცა ავლებს პარალელს ჯაყოსა და მანდელშტამის ლექსის პერსონაჟს შორის და ასკვნის, რომ ოსიპ მანდელშტამის მიერ დახატული სტალინის პორტრეტი ლიტერატურული წყაროდან – მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“ მომდინარეობს.

სტალინი ტანმორჩილი კაცი იყო და ფართომკერდიან, ზონზროხა ჯაყოსთან არაფერი აქვს საერთო, სტალინის სიმაღლე, როგორც ვახტანგ გურულის წიგნში (იოსებ სტალინი, მასალები ბიოგრაფიისათვის, 1878-1907, 1998, გვ.29-30) არის აღნიშნული 2 არშინი და 4,1 ვერშოკი, ანუ 161, 8 სმ ყოფილა 23 წლის ასაკში. ეს იმ საქმის მასალებშია დაცული, რომელიც ეხება სტალინის დაპატიმრებას ბათუმში 1902 წელს.

ასევე გასაზიარებელია ილია ვინიცკის თვალსაზრისი, რომ სინტაგმაში кремлевского горца. სიტყვა горца კალამბურია და მთიელს კი არა, გორელს გულისხმობს. ჩემის მხრივ დავძენდი, რომ მანდელშტამს არა აქვს საქართველოზე ისეთი ბუნდოვანი წარმოდგენა, რომ, მიუხედავად ჩვენში მთების არსებობისა, ქართველი მთიელად წარმოსახოს და ისიც კარგად იცის, არც შუაგულ ქართლში, დაცემულ ვაკეზე

გაშენებული ქალაქი გორი მდებარეობს მთაში. ასე და ამრიგად, ლექსში, რომლის ობიექტია „კრემლის მთიელი“ თუ „გორელი“, აშკარა ინტერტექსტულობასთან გვაქვს საქმე. პასუხები უნდა ვეძიოთ მანდელშტამისეული ინვექტიურის ასოციაციურ მიმართებაში მიხილვად ჯავახიშვილის მიერ დახატულ ჯაყოს ლიტერატურულ პორტრეტთან და არა ნაციონალურ სიბრტყეში.

ერთ საკითხში მაინც ვერ დავეთანხმები ილია ვინიციკის – სტალინის „წვრილკისრიანებმა“ დაუმაღლეს მანდელშტამის ლექსი, ბელადის გაღიზიანებას მოერიდნენო. ასეთი რამ გამორიცხული იყო. რაიმეს დამალვის უფლება საბჭოთა სპეცსამსახურებს არ ჰქონდათ, მითუმეტეს სტალინისათვის. ეს ერთი და – მეორე: ჩვენი რუსი თუ რუსულენოვანი კოლეგისათვის, ილია ვინიციკისათვის, ბუნებრივია, უცნობია ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ივანე ჯავახიშვილის ნარკვევი ჯულაშვილების გვარის შესახებ, რომელიც აშკარად სტალინის დაკვეთით დაიწერა 1939 წელს. როგორც ჩანს, სტალინმა გადაწყვიტა, საბოლოოდ დასმოდა წერტილი მითქმა-მოთქმას მამამისის ოსური წარმომავლობაზე. ეს მოარული ხმები ბელადის მამის ოსობის შესახებ იმანაც გაამყარა, რომ 1932 წელს ბერლინში, გერმანულ ენაზე, გამოიცა სტალინის ბავშვობის მეგობრის, შემდგომში კი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, იოსებ ირემაშვილის წიგნი „სტალინი და საქართველოს ტრაგედია“ (ქართული გამოცემა, თბილისი, 2006წ.).

იოსებ ირემაშვილი – ბელადის თანაკლასელი გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში, მისივე მეფუარე სვანიძის ქალთან ქორწინებისას – სტალინის მამის შესახებ წერს:

„ბესო – ბესარიონი, შავი ხშირი წარბებითა და მუქი უხეში წვერით, დიდი ტანის, წარმოსადეგი კაცი იყო. ის ქარ-

თულ ჩოხასა და ჩექმებში ჩატანებულ განიერ ლურჯ შარვალს ატარებდა. ეროვნებით ოსი იყო. თავზე რუსული ქუდი ეხურა. კავკასიაში მცხოვრები ყველა ოსივით მძიმე, მოუქნელი ბუნებისა იყო. ოსები საქართველოში ჩამოსახლებული მცირერიცხოვანი ხალხია, რომლებიც თანდათანობით შეეთვისნენ ქართულ კულტურას.

სოსო მამას ყოველთვის გაუბრბოდა. მის ნაადრევ სიკვდილს ბავშვზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია“.

იოსებ ირემაშვილი სტალინის დესპოტურ ხასიათს იმ სისასტიკითა და ძალადობით ხსნის, რასაც ბავშვობაში მასზე მამა ახორციელებდა: „მამისგან სოსომ ადამიანებისადმი ზიზღი ისწავლა. იგი ადრე ასაკში მომწიფდა და დამოუკიდებელ აზროვნებას მიეჩვია. ყველაზე მეტად სოსოს საკუთარი მამა სძულდა. მას დედის იძულებით მონურ შრომაში ადანაშაულებდა. მამამისის დაუმსახურებელმა და სასტიკმა ცემამ სოსო მასავით უხეში და უგულო გახადა. ადამიანები, რომლებიც სხვებზე ასაკის ან ძალის უპირატესობის გამო ბატონობდნენ, მამამისს აგონებდნენ და შურისძიების გრძნობებს აღუძრავდნენ. ადრეული ასაკიდანვე შურისძიების წყურვილი არ ასვენებდა და უმაღლეს მიზნად ექცა“.

იოსებ ირემაშვილის წიგნს ლ. ტროცკიც კი იმონებებს. გენბავთ, ამიტომაც იყო გამორიცხული სტალინისთვის „ოსური თემის“ დამალვა.

ივანე ჯავახიშვილის მცირე ფორმის ნარკვევზე – „ჯულაშვილთა სადაურობისათვის“ – დაწვრილებით აღარ შევჩერდები. მთავარი და არსებითი იმ დავალების მიზანია, რომელიც ივანე ჯავახიშვილს მისცეს. აშკარაა, რომ სტალინისათვის კატეგორიულად მიუღებელია მისი გვარისა და წინაპრების რაიმე კავშირი ოსებთან. ის ქართველია, თავს ქართველად თვლის და მისი სურვილია, ეს დაასაბუთოს და დაამტკიცოს

ყველაზე ავტორიტეტულმა ქართველ-მა ისტორიკოსმა – ივანე ჯავახიშვილ-მა. ივანე ჯავახიშვილის ნარკვევის თა-ნახმად, „სტალინის მამა ლილოელი... გარე-კახელი იყო“. გვარი ჯულაშვილი კი მომდინარეობს ტოპონიმიდან **ჯუ-გაანი**. „სტალინის გვარის წინაპრების ჯუგაშვილების თავდაპირველი სამშობ-ლო ს. ჯუგაანი უნდა ყოფილიყო. უკ-ვე მე-18 ს. დამდეგს რამდენიმე კომლი მათგან თავიანთ სამშობლო სოფლით-გან გადასულა ზოგი ს. მარილისში, ზოგი ს. მარტყოფში. მე-19 ს. დამდე-გისათვის ს. მარილისში დასახლებულ-თაგან სამი მეკომური უკვე მათაანში ყოფილა, მათ შორის ის ჯუგაშვილი ბე-როც, რომლისგანაც უნდა წარმომდგა-რი იყოს ჯუგაშვილი-ბერიშვილებად ნოდებულ იოსებ სტალინის უშუალო წინაპრის შტო“ (ივ. ჯავახიშვილი, „ჯუ-ლაშვილთა სადაურობისათვის“, ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკო-ლაში“, №2-3, 1986).

●
რაც შეეხება თეიმურაზ ხევისთავის პროტოტიპს, ნოე ჟორდანიას, ის და მისი პარტია „ჯაყოს ხიზნების“ შექ-მნამდეც არაერთხელ გამხდარან მიხე-ილ ჯავახიშვილის კრიტიკის ობიექტი. უმთავრესი, რაც მიუღებელი იყო მი-ხეილ ჯავახიშვილისთვის, სოციალ-დე-მოკრატების ორივე ფრთის ეროვნული ნიჰილიზმი იყო. ისინი ქარიყლაპია-სავით წამოეგნენ რუსი მარქსისტების ანკესს და ინყეს ნაციონალური ინტე-რესების გმობა და კოსმოპოლიტიზმის ქადაგება.

ნოე ჟორდანიას ენაბრგვილობას არაერთი მისი თანამედროვე ადასტუ-რებს, კერძოდ – იოსებ იმედაშვილი, რევაზ გაბაშვილი, გერონტი ქიქოძე. გერონტი ქიქოძე შემწყნარეა ნოე ჟორ-დანიას მიმართ და მხოლოდ მის მსუ-ბუქ ენაბრგვილობას აღნიშნავს, „რო-მელიც ხელს არ უშლიდა პოპულარუ-

ლი სახალხო ტრიბუნი გამხდარიყო“ (გ. ქიქოძე, „თანამედროვის ჩანაწერები“).

რევაზ გაბაშვილი სარკაზმსც არ იშუ-რებს იმ პარტიის ლიდერის მიმართ, რო-მელსაც საქართველოს დამოუკიდებლო-ბის დაკარგვაში ადანაშაულებს: „და... და... იცადე... მე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი პარტია მუ... მუ... შაობს რუსე-თის დემოკრატებთან ერთად, ანტანტის მხარეზე“ (რ. გაბაშვილი „რაც მახსოვს“). ასევე ნეგატიურად ლაპარაკობს იოსებ იმედაშვილიც ნოე ჟორდანისა და მის ენაბრგვილობაზე ილია ჭავჭავაძის აუგად მოხსენიების გამო. აშკარად დამცინავია ჟორდანის ენისბორძიკით პასუხი იოსებ იმედაშვილის საყვედურზე: „როგორ ა-ღელვებულხარ და როგორ გუნებაზე დამდგარხარ?! (ი. იმედაშვილი, „მოგო-ნებები“).

ჟორდანისა შემთხვევაშიც იმის თქმა შეიძლება, რომ თეიმურაზ ხევისთა-ვის სახე შორს არის შიშველი ნატურა-ლიზმისაგან. სამართლიანად შენიშნავს ლელა წიქარიშვილი: „თეიმურაზი ერ-თგვარი კრებითი სახეა პოლიტიკური ინტელიგენციის, განსაკუთრებით სო-ციალ-დემოკრატის წარმომადგენლე-ბისა“ (ლ. წიქარიშვილი, „მიხეილ ჯავა-ხიშვილის შემოქმედების სახისმეტყვე-ლებითი ასპექტები“, სადისერტაციო ნაშრომი, 2004). ასე რომ, თეიმურაზ ხევისთავი განასახიერებს მთელ იმჟა-მინდელ პოლიტიკურ ელიტას. ამიტომ იყო, რომ პოლიტიკურმა ემიგრაცი-ამ ლამის მიწასთან გაასწორა „ჯაყოს ხიზნები“ და მისი ავტორი. ამოქმედდა კარგად ნაცნობი, სამწუხარო ქართული პრინციპი – „ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია“.

„ჯაყოს ხიზნების“ გამო აღშფოთ-დნენ არა მარტო სოციალ-დემოკრატე-ბი, არამედ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისეთი წარმომადგენელიც კი, როგორც შალვა ამირეჯიბი იყო.

შალვა ამირეჯიბი – გულმხურვალე პატრიოტი, ეროვნულ-დემოკრატიული

პარტიის დამფუძნებელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, პოეტი (მართალია, არცთუ მნიშვნელოვანი), შესანიშნავი წერილებისა და ესეების ავტორი. გიკვირს, ასეთმა კაცმა როგორ დაწერა ემიგრანტული გაზეთის – „დამოუკიდებელი საქართველოს“ – 1927 წლის მე-10 ნომერში: „მიხ. ჯავახიშვილი განხორციელებული ბოროტებაა. მან იცის მხოლოდ ნაკლი და ადამიანის არც ერთი ღირსება. აქედან წარმოსდგება მისი რომანის ნაკლიც“.

ერთი რამ კი ზუსტად ამოიკითხა შალვა ამირეჯიბმა: – „ჯაყო ბოლშევიკია, რამდენადაც ბოლშევიზმი მდგომარეობს იმაში, რომ უვარგისებმა აჯობონ უკეთესებს და უვარგისებმა მართონ ქვეყანა“.

შალვა ამირეჯიბმა დასავლეთის იმედად ყოფნის თეიმურაზისეულ ილუზიაში, საკუთარი ამაო იმედიც ამოიციო და ამან გაამწარა. ხომ ეგონათ მას და მის რამდენიმე თანამოაზრეს, ჩვენ დავიწყებთ აჯანყებას და დასავლეთი დაგვეხმარებაო. მერე კი, აჯანყების დამარცხების შემდეგ, როგორც სოფიო ჩიჯავაძე-კედია გადმოგვცემს: „პარიზში ყველას არწმუნებდა, პირველსავე დღიდან აჯანყების წინააღმდეგი ვიყავი“ (ს. ჩიჯავაძე-კედია, „ნასმენ-ნახული“).

შალვა ამირეჯიბის აზრით, თეიმურაზ ხევისთავმა „ერთხელაც ვერ აღმართა ხელი ჯაყოს, ანუ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. არადა ჰქონდა სურვილი სილის განწინისა“. მწერალს, იმაზე მეტი სილა რალა უნდა გაეწნა ბოლშევიზმისთვის, რაც მან ჯაყოს სახის შექმნით გააკეთა.

„ჯაყოს ხიზნებში“ საკმაოდ მკაფიოდაა გამოკვეთილი ის პოლიტიკური ილუზია, რაც ჯერ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას, ხოლო შემდეგ იმ პარტიტულ კომიტეტს გააჩნდა დასავლეთის მიმართ, რომელიც 1924 წლის აჯანყებას გეგმავდა და რომლის წევრიც მიხეილ ჯავახიშვილიც იყო. ამიტომ თქვა აკაკი ბაქრაძემ ზემოთ ნახსენებ ლექციაზე, „ჯაყოს ხიზნებით“ მიხეილ ჯავახიშვილმა

ანგარიში საკუთარ პარტიულ წარსულსაც გაუსწორაო.

ვისაც რევოლუციონერების მოგონებები („რაც მახსოვს“) ნაუკითხავს, რომელიც გამსჭვალულია ღრმა კრიტიკითა და სარკაზმით დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი ელიტის, მენშევიკური პარტიის ლიდერების მიმართ, მათი უხერხემლობის, უსუსურობისა და არაფრისმომცემი ფსევდოდემოკრატიულობის გამო, არ შეიძლება, პარალელური არ გაავლოს „ჯაყოს ხიზნების“ იმ პასაჟთან, სადაც თეიმურაზ ხევისთავი, როგორც თანამონაწილე, ისე განსჯის ასეთსავე დამლუპველ, გადამეტებულ დემოკრატიას ქვეყნის იმჟამინდელი ხელისუფლებისა.

ნახუცარ ივანესთან საუბარში თეიმურაზი ასე აფასებს დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდს: „ხომ გახსოვს, რამდენიმე წლის წინათ მთელი ქვეყანა რომ შევსდართ რიხიან ყვირილით და ბაქიობით: მოდი, გვნახეთ და ჩვენგან ისწავლეთ ნამდვილი დემოკრატიული რესპუბლიკის აშენება და ნამდვილი ხალხოსნური წესრიგო?! შუა აზიაში მეორე შვეიცარიის შექმნა განვიზრახეთ. ეს იყო ყირამალა დგომა და საკუთარ ქერქიდან ამოხტომა. ესეც ჩვენი კუდაბზიკურ-აზნაურული მაიმუნობა გახლავთ“.

ქვეყნის მმართველი ელიტის უხერხემლობისა და ფსევდოდემოკრატიულობის არაერთი სხვა მაგალითია რომანში. გნებავთ რევოლუციონერების ზემოთ მოხმობილი ჟორდანის ენისბორდიკით წარმოთქმული ფრაზა შევადაროთ თეიმურაზ ხევისთავის სიტყვებს: „ჩემზე ცუდი არავის ათ...თთქმევინოთ... ჩემი პოლიტიკური მტრები საბაბს ეძებენ ჩემს დას...სამცირებლად და დასამარხად“.

დამოუკიდებლობის პერიოდის მმართველ პოლიტიკურ ელიტასაც თეიმურაზივით სულ იმის შიში ჰქონდა, ისეთი ნაბიჯი არ გადავდგათ, დემოკრატიობა არავინ დაგვიწუნოსო. რუსი ბოლშევი-

კების ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ არსებულ კომინტერნს ეკეკლუცებოდნენ და იმავე ბოლშევიკებს 1920 წელს გაზეთ „კომუნისტის“ დაარსების უფლებასაც მისცეს, რომელიც, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი ქვეყნის წინააღმდეგ აწარმოებდა ძირგამომთხრელ პროპაგანდას.

სოციალ-დემოკრატების ეროვნული ნიჰილიზმი ჯერ კიდევ 1907 წელს მწვავედ გააკრიტიკა მიხეილ ჯავახიშვილი წერილში „ქართველები პარიზსა და ჟენევაში“. უცნაურია, მაგრამ, ფაქტია, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში სწორედ სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პარტია მოვიდა, ის ძალა, რომლის შესახებაც ასე ამბობს რევაზ გაბაშვილი: „ერი არა სწამდათ, ვინრო პარტიული ეგოიზმით იცავდნენ მხოლოდ რევოლუციის მონაპოვარს“.

ერთი საინტერესო ფაქტი ნოე ჟორდანიას ცხოვრებიდან, რომელიც ისტორიკოსმა, პროფესორმა ვახტანგ გურულმა მოამწოდა. დაპატიმრებული ჟორდანიას ანკეტაში ეროვნების გასწვრივ წერია – „Гуриец“ (გურული). არა მგონია, ეს გამომძიებლის თვითნებობა იყოს. ეს იმ კოსმოპოლიტი კაცის ცინიზმს უფრო ჰგავს, ვისთვისაც ეროვნება სასაცილოდ ასაგდები იყო, ხოლო, ბოლშევიკების მიერ მოკლული ილია ჭავჭავაძე – ნაფოტი, რომელიც რევოლუციის დიდ საქმეს ისე შეენირა, როგორც ნაფოტები ცვივიან, როცა ტყეს ჩეხავენ. ასე გამოეხმაურა „რუსული მარქსიზმის შინგაზრდილი თუთიყუში“ – ნოე ჟორდანია ილიას მკვლელობას, რაზეც კარგად უპასუხეს – თუ ილია ნაფოტია, ვინღა ნოე ჟორდანიაო.

თეიმურაზ ხევისთვი ხშირად ადის ნაშინდრის თავმონგრეულ კოშკზე და გასცქერის დასავლეთს, „თითქოს საარაკო საბედოსა და სიცოცხლის ნატ-

ვრას იქიდან მოელოდაო“.

დასავლეთთან დაკავშირებული თეიმურაზისეული პოლიტიკური ილუზიის კიდევ არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ამის აუცილებლობა არ არის, რადგან ეს კარგად მოეხსენება „ჯაყოს ხიზნების“ მკითხველს, რომელიც ხევისთავის პოლიტიკურ სიბეცეში არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნების, არამედ იმ პოლიტიკური ელიტის უმოქმედობას ხედავს, რომელსაც ქვეყნის მოვლა-პატრონობა ევალებოდა. არც აჯანყება უნდა დაეგეგმათ იმ ილუზიის იმედად, ჩვენ დავინწყებთ და დასავლეთი დაგვეხმარებაო. 1924 წლის აჯანყება თავიდანვე განწირული იყო მარცხისათვის. 1922 წლიდან სტამბოლში ჩეკას აგენტები ისხდნენ და პარიზსა და თბილისს შორის საფოსტო მიმონერას აკონტროლებდნენ. 1923 წლის მაისში სამხედრო ცენტრის წევრები – ვარდენ ნულუკიძე, გოგიტა ფალავა, კოტე აფხაზი – დაიჭირეს და დახვრიტეს. ჩამოსვლისთანავე დაიჭირეს ბენია ჩხიკვიშვილი და ვალიკო ჯუღელი. ამის შემდეგ რაღა აზრი ჰქონდა აჯანყებას 24 წლის აგვისტოში? სახალხო გვარდიის შტაბის ყოფილმა უფროსმა, დაპატიმრებულმა ვალიკო ჯუღელმა სერგო ორჯონიკიძეს სთხოვა: ოღონდ ხალხს ხელი არ ახლოთ, სისხლს ნუ დაღვრითო და ის ადგილები დაუსახელა, სადაც იარაღი ინახებოდა, მაგრამ ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს, საქართველოს სისხლი უნდა დადინდეს, რომ რევოლუციის ფასი გაიგოსო.

ასეთი იყო რეალური ვითარება. ამიტომ ედებოდა გულზე ცეცხლი მიხეილ ჯავახიშვილს, როცა ის „ჯაყოს ხიზნებს“ წერდა. ამ რომანს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული უმძაფრესი ტკივილი მსჭვალავს. ის ჩვენი ქვეყნის საბედისწერო მარცხის მხატვრული უკუფენაა.



ალექსანდრე ჯინჭარაძე

გატეხილი ანგელოზი

“Ασμα Ασμάτων “

„ქებათა ქება“

მე ვნახე ადამიანებს როგორ ასახლებდნენ შინიდან
 გარეთ... მათ ჰქონდათ სახლი
 და დაკარგეს, მაგრამ მათ დარჩათ ოჯახი. მე დავინახე
 ოჯახი ყველა მის ნევრში
 ერთად და ცალ-ცალკე.
 პატარა გოგო იჯდა დედის გვერდით. დედა – მამის.
 მამის იქით ბიჭი იჯდა –
 ოდნავ მოზრდილი. ბიჭს მხრები ჩამოეყარა და მიწას
 დასჩერებოდა.
 ქალს თავი ქმრის მხარზე მიეყრდნო. ქმარი სივრცეში
 იცქირებოდა – შორს... შორს...
 პოლიციელმა ოქმი წაუკითხა მთელ ოჯახს, მერე ერთი
 ფურცელი გასახლებულებს გადასცა,
 მეორე შეინახა...
 უხმოდ ტიროდა ოჯახი. ტიროდა ყველა, გარდა პატარა
 გოგონასი. მან არ იცოდა ჯერ ეს
 საზარელი სიტყვა „გასახლება“ თუ „გამოსახლება“. მან
 მხოლოდ იცოდა რას ნიშნავდა
 მისთვის დედა, მამა, ძმა...
 ისინი ტიროდნენ ნელა, მოგუდულად, რადგანაც
 გრძნობდნენ კანონის „ძალას...“
 ერთმა პოლიციელმა მეორეს ხმადაბლა რაღაც
 გადაულაპარაკა.
 „სადარბაზო უნდა დატოვოთ, ხომ იცით რამდენი დრო
 მოგეცით!..“ – უთხრეს მათ.
 ისინი უხმოდ ადგნენ. მათ რხევაში იგრძნობოდა მხოლოდ

მწუხარება და სასონარკვეთა!
 განზე გასულ პოლიციელს გამოველაპარაკე...
 – იქნებ არის სხვა გზა...
 – ეს ჩემი სამსახურია...
 – მე მესმის... მაგრამ ხომ არსებობს რაღაც,
 – სამსახურეობრივ მოვალეობაზე უფრო მაღალი?!
 პოლიციელმა არ იცოდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ის
 რაღაც, რაც უფრო მაღლა დგას, ვიდრე სამსახური, ვიდრე
 წესი და, საერთოდ, ვიდრე რომელიმე სახელმწიფო
 კანონი...
 მათი ბარგი ქვევით ეყარა. ასფალტი აქა-იქ ამოტეხილი
 იყო და სჩანდა წვიმიანი,
 შავი გუბები.
 ისინი მიდიოდნენ ნელა.
 შუაში მამა იდგა. ყველაზე მძიმე ტვირთი ეკიდა ზურგზე.
 დედას ორივე ხელში
 ჩემოდანი ეჭირა. იგი მიდიოდა –
 თავდახრილი, ნელა.
 მოზრდილი ბიჭიც მიათრევდა თავის წილ ჩანთას, ჩანთა
 სველ ასფალტს ედებოდა და
 ისვრებოდა ბიჭის ბარგი...
 პატარა გოგო მიდიოდა ყველაზე დინჯად, ყველაზე ნელა.
 ხელში ანგელოზის ქანდაკება ეჭირა, რომელიც მის ახლოს
 მდგარი ტაძრიდან წამოუღია... ან სულაც, იქნებ
 ანგელოზიც გამოასახლეს ტაძრიდან?! და ამ გოგონამ
 შეიფარა ის...
 უეცრად ხელიდან გაუვარდა პატარას ანგელოზი და
 გაუტყდა... გაუტყდა თავისი ერთადერთი სათამაშო... აი,
 მაშინ კი მოადგა თვალზე ორი მწუხარე ცრემლის წვეთი,
 როგორც ნიშანი ფრთებში გადამტყდარი გატეხილი
 ანგელოზისა!
 მერე იგი დაიხარა. ანგელოზის ნახევარი თან წაიღო,
 ნახევარი კი გუბეში ჩატოვა...
 თვალს რომ მიეფარნენ, ახლოს მივედი და გუბიდან
 ამოწვდილ ანგელოზის ფრთას
 ჩემი მწუხარე გულით ვუგალობე!

სილურჯე

(თოვა)

შინ შემომაქვს შეშა დაღლილი ხელებით.
 – დაბლა დაანყვე, ჯერე გაშრება, ბებია!
 პაუზა.
 ისმის ნაკვერჩხლების ტკაცუნა. გვთბილა. ცეცხლის ალის
 სუნი დგას ირგვლივ. შეშა კი იწვის. ანათებს. იფერფლება.
 ქრება!

გარეთ ცივა. ზამთარია. თოვს. მწუხრდება.
 ბებია თავის საფარძელში ზის. ძვლებს თუ ასვენებს.
 ფანჯრიდან ჩანს:
 სარეცხის თოკზე ორი ჩიტი ზის მობუზული. ნისკარტები
 გულელებში ჩაუყვიათ.
 რა ამოაქვთ გულიდან ნეტა?!
 ეგებ, სულ ერთი პეშვი სითბო...
 – ლაპარაკობენ ნეტა, ბებია?!
 პაუზა.
 – ჩიტებსაც აქ რაცხა ენა.
 – ჰოო, რაცხა...
 ბებია გადის გარეთ, თოვლში.
 ეგებ ბაბუას ლანდს მოჰკრა თვალი?!
 ვხედავ, მუჭში პურის ნამცეცები აქვს. ჩიტები
 ჟრიამულობენ. ბებიას ირგვლივ წრეებს კრავენ. თავს
 ევლებიან.
 მზე ჩადის. ნელა ღამდება. მგზავრის სიმღერა მოიტანა
 შარამ. თეთრ ღამეების უჩვეულო მონყენილობა
 თოვლისფერია.
 თოვამი თვლემს ჩემი სოფელი!
 ნუ გაფრინდებით რა, ჩიტებო!
 ნუ ნახვალთ, რა!
 ო, თქვენ არ იცით, რა ლამაზია, როცა ბებია დგას თოვამი
 და მის უხილავ ფრთებს ფაფუკი თოვლი ეცემა...
 ოჰ, ეს სილურჯის სილამაზე!
 ღამეა. ვწევართ. ბაბუა გვტკივა.
 თოვა დარჩა ჩემს ფიქრებში და ბებიას ჭაღარა თმაში!

ბავშვებთან თამაში

ოდესმე დიდი სახლი რომ
 მომცა, ერთ დიდ წვეულებას გაემართავდი და ამ
 სამყაროში ყველა ბავშვს დავპატიჟებდი. მაგრამ,
 მშობლები გამოუშვებდნენ?! თუმცა, მშობლები ხომ არ
 ეკითხებიან თავიანთ შვილებს, როცა წვეულებებზე
 მიდიან?! ჰოდა, არც ბავშვები დაეკითხებოდნენ!
 და ჩვენი შეხვედრა არ იქნებოდა საქმიანი. არც
 სპეციალურად, სალამოსთვის განკუთვნილი კოსტიუმები
 და კაბები დაგვიჭირდებოდა...
 მხოლოდ მხიარული მუსიკა და ნაირნაირი კანფეტები...
 და ჩვენ ვითამაშებდით „დამალობანას!“
 წარმოიდგინეთ როგორია:
 არის დიდი წვეულება. ვუსმენთ მუსიკას. განვიხილავთ
 ბაღში და სკოლაში მომხდარ თავგადასავლებს და უცებ მე
 ვიხუჭები. ერთი, ორი... და ჩემს დათვლაში ყველა თავის
 ადგილზე გაშემდება. არა, ეს არის იქნება იმგვარი

„დამალობანა“, ვილაც რომ იხილება და კაციშვილი არაა ქვეყანაზე. მაშინ შემეშინდებოდა მე. თანაც, ეს თამაში ხომ უკვე ყველამ იცის?!

ეს იქნებოდა ერთგვარი „თვითდამალობანა“, რადგან გაშეშებული ბავშვები მე თვალახვეულმა უნდა დავიარო და ჩავიხუტო! სათითაოდ, ყველა! და სანამ თითოეულ მათგანს არ ჩავიკრავ გულში, მანამ თვალახვეული დავდივარ... გამოდის, მე ჩემს თავს ვემალები, ისინი კი არ მემალებიან მე?! ეს იქნებოდა სამყაროში ყველა ავადმყოფობის განკურნების ახალი მეთოდი. და ვინც ყველაზე ავად იქნება, ის უნდა დაიხუჭოს ხოლმე! მე კი გთხოვდით, რომ მოგეცათ ჩემთვის პირველად დახუჭვის უფლება და თქვენც მხიარულად დამთანხმდებოდით!

ახლა უყურეთ და თან

წარმოიდგინეთ, თქვენი თვალის ახელა დამოკიდებული იმაზე, რამდენად უფრო მეტ ადამიანს ჩაეხუტებით! მაგრამ, ჯერ ჩემი ჯერია!

ვიხილები და მოვდივარ! – ვიტყვი მე ჩემს გულში, თუმცა, განა ძალიანაც კარგად არ ვიცი, რომ ვერაფრითაც ვერ ვიხილები, ვიდრე ყველა მათგანს არ მოგაგნებთ ხელის ცეცებით?!

უბრალოდ ამით თავს ვიიმედებ...

თქვენ შეგებრალებით და დამიძახებთ – აქ და აქ ვართო. მე გავიბუტები, რომ მხოლოდ ჩემით არ შემეძლება თქვენი პოვნა და გამოგეკიდებით! თქვენ გაიქცევით და ვიდრე დაგენევით, ვიდრე „დამალობანა“ „მგელობანად“, გადაიქცევა, მე თქვენ შემიყვარდებით! გეფიცებით, ასე იქნება!

და ამ სირბილში, ამ მარადიულ თამაშში ჩვენ არასოდეს ვიტირებთ!

– მიყვარხააართ! – დაგიძახებთ მე. და ეს იქნება სიტყვა, რომელსაც ყველა ბავშვი დანებდება. დანებდება და გაჩერდება... მერე დამხუჭველი, თუ დამჭერი, მოვა და გულში ჩავიხუტებთ!

თქვენ კი, პატარა ეშმაკუნები, საკუთარ გულზე დამასტუკებთ. სტუკ, სტუკ, და პატარა ხელებს მომიტათუნებთ მკერდზე... და მე ვიგრძნობ საკუთარი გულისცემას. მერე ხელახლა გაგიშვებთ და თავიდან დავიხუჭები, რომ კიდევ ერთხელ ვითამაშოთ!..

და თქვენც იფიქრებთ, რომ მე ძალიან, ძალიან ავად ვარ და იმდენი ჩახუტება მჭირდება, ვიდრე არ მოვრჩები... ამიტომ არაფერს მეტყვით, უბრალოდ გაილიმებთ და ჩემს თავიდან დათვლას დაელოდებით:

– ერთი, ორი, სამი!..

წერილი ბიძიას

ამ ზაფხულს თბილისში ყოფნის დროს ვერაზე ავედი. ზუსტად იმ იტალიური ეზოს კარი შევადე, ჩვენ რომ ვცხოვრობდით, ბიძი!

ვხედავ, აქ ახლა სხვები ცხოვრობენ. აქ ახლა სულ სხვა ოჯახის ფუსფუსია!

და მე მეტკინა შენი არყოფნა.

აქ ხომ ოდესღაც ჩვენ ვიყავით! აქ ხომ ოდესღაც ჩვენ გვიმღერია!

მერე ქვემოთ ჩავედი, იმ ქალბატონის ჯიხურში, პურს რომ ვყიდულობდით ხოლმე მე და შენ. შენზე მკითხა და, რომ ვუთხარი...

ცრემლი მოადგა მარცხენა თვალზე. როგორ ჰყვარებინარ! ვალის მიცემა დავაპირე, გადასვლის მერე რომ დაგვრჩენია...

არ მინდაო, არ აილო!

ხელზე ხელი მომიჭირა და – კიდევ მოდიო, – ასე მითხრა. და მე მეტკინა, რომ არ იყავი! რომ ერთად ვერ გავუვლიდით ველარასოდეს და პურს ვერ ვიყიდდით მასთან.

მერე ვარაზი გადავჭერი, აი, როგორც მაშინ, მე და შენ, ჩემი უნივერსიტეტის პირველ დღეს, 2012 წლის სექტემბერში... გახსოვს? მიმიყვანე, დამაყენე თსუ-ს ეზოს წინ და მითხარი: „აი, ბიძი, შენი უნივერსიტეტი“.

ვდგავარ და ავცქერი ასწლოვან, მაღალ შენობას, რომელიც ჩემი მარადიული სატრფოა და მერამდენედ მტკივა შენი არყოფნა! მე და შენ ადრე აქ ვიდექით და გვიხაროდა ერთად მაშინ.

ახლა მარტო ვდგავარ. მარტო!

ერთხელ, აქ, ათენის მეტროში, ვიღაც შავგრემან კაცს მიგამსგავსე. გავაჩერე. გამოველაპარაღე, ისე. სულ სხვა სახელი ერქვა თურმე. ის სულ სხვა კაცი იყო და არა შენ. აქ არყოფნა ყოფნას შეეხო და მე ბავშვივით ავტირდი, რომ არ იყავი, ბიძი!

მოვა ზაფხული. მზეებიც მოვა. გაიშლებიან ნაირფერი ყვავილები და მე ვიცი, მარიამობა მეტკინება, როცა შენ არ ჩამოხვალ სტუმრად ჩემს სოფელში.

მეტკინება და ვიტირებ.


მეორე წერილი ბიძიას

*„თუ რომელიმე ადამიანისთვის ლოცვის სურვილით აგვე-
სო გული, ილოცე მხურვალედ და ამ ლოცვით შეენევა მას*

უფალი, რადგან, როცა ღმერთს სურს შეინყალოს ადამიანი, ის შთააგონებს მეორეს, რომ ილოცოს მისთვის“.

წმინდა სილუან ათონელი

გამარჯობა, ბიძია! ჩემს ლოცვას გრძნობ?! ერთმა ჩემმა ადამიანმა მასწავლა, როგორ ვილოცო... მიმართე სახელით და უთხარი მხოლოდ სიტყვა „მიყვარხარო„. ნეტა თუ აღწევს ჩემი გულისთქმა ღმერთამდე, რომ მე რე შენ დაგიბრუნოს?! მომწერე ამაზე. თბილისში რომ ჩავალ, მამა ვიტალის საფლავზე უნდა მივიდე. გახსოვს?! სანთლები დავანთეთ ერთხელ იქ. ავად იყავი ცოტა მაშინ. უკან რომ მოვდიოდით, გვერდით ეზოში ვცხოვრობდით აკი, უცებ მიბრუნდი უკან, როგორც ბავშვი სათამაშოსკენ და ორი ცალი კანფეტი აიღე საფლავიდან – ჩემთვის და შენთვის. და ახლა ვფიქრობ მე: ისიც ხომ ლოცვა იყო, ძია?! კიდე წმინდა შენი მოცემული კანფეტი, ბიძი.



მესამე წერილი ბიძიას

სალამი, ბიძია! აი, მე მერამდენე წერილს გწერ უკვე, დარწუნებული იმაში, რომ უფალი შენ ჩემს კონვერტებს გაუხსნელს გაძღვეს. არა იმიტომ, რომ მან არ იცის, შიგ

რა წერია, თავისთავად იცის, ის ხომ ყოვლისმხედველია, არამედ იმიტომ, რომ პატივს ცემს ჩემს სიყვარულს და მომართებას შენდამი და ეს ლოცვის ერთ-ერთი ფორმაა მხოლოდ.

ბიძი, გახსოვს? – ვერაზე, ჩვენს ძველ ბინაში, ერთხელ შუქი რომ ჩააქრე და ბნელ ოთახში ვინეკით ერთ ხანს ჩუმად და მე ვიფიქრე, რომ ასე იყო უმჯობესი იმ წუთს შენთვის და ჩემთვის. რომ შენ გინდოდა ჩემთანაც კი, მარტო დარჩენილიყავი საკუთარ თავთან. ეს იგივეა, როცა ბავშვები დახუჭობანას თამაშობენ. ერთი იხუჭება. სხვები იმალებიან. შენ დაიხუჭე და თვლა დაიწყე, მე კი არსადაც არ წავსულვარ. არ დაგემალე. იქვე ვინეკი და გელოდი. დათვლა რომ დაგვიწყნოდა, მოგეშველებოდი. ყოველთვის სწორად როდი ვითვლით ადამიანები?! ან იქნებ, უბრალოდ, რაიმე აგტკივებოდა მაშინ?!

და როცა აანთე სინათლე და მიპოვე შენ გვერდით, გავიხარე მე. აბა, ბოლომდე ხომ არ დავეკარგებოდი ერთმანეთს სიბნელეში, არა?!

ამ წერილს ათენიდან გწერ. შორს, შორს ჩვენი სახლიდან. საწოლის თავთან შენი საფლავის მინა მიდევს. ძალიან როცა მიჭირს, ხელს ვკიდებ და იმ დღეს ვიხსენებ, შუქი რომ ჩააქრე ჩვენს ოთახში.

დილით ექიმთან ვიყავი. ჯიბეში შენი მინა მედო. იგი უხილავი ძაფია მე და შენ შორის. მე აქ ერთხელ ვნახე ფრესკა – ქრისტე ბავშვი, ეჭიდებოდა დედის ხელებს და შიშისაგან ფეხსაცმელი გასძვრომოდა ცალ ფეხზე, ხედავდა რა მომავალ ჯვარცმას და ეშინოდა.

მეც მეშინოდა, ბიძი, ექიმთან მისვლის და როცა საავადმყოფოს სკამზე ვიჯექი, ამ მინაზე მეკიდა ხელი, როგორც იქ, იქ, ფრესკაზე, პატარა მაცხოვარს – ღვთისმშობლისათვის. ვიფიქრე იგი დამიცავდა. ამ წერილს რომ წაიკითხავ, შუქი ჩააქრე და დაიხუჭე. მე არ დავიმალები.

მოლოდინი

სადგურზე ვდგავარ დ ველოდები. ბებია მოდის სოფლიდან ქალაქში. დეკემბერდება. ღამეა. ცივა. ათასობით ავტო კივის ჩემ ირგვლივ. მაინც, რომელ მათგანს ჩამოჰყვება ჩემი ბებია?! რომელ ავტოს მოაქვს მისი დაღლილი ძვლების სიმაგრე. წერვული ღიმი. ქმარმომკვდარი გული. თვალები ზეცისფერი?! ვაითუ, ბალახს ჩვეულმა ასფალტს რომ ფეხი დაადგას, შეეშინდეს?!

საცაა მოვა ჩემი ბებია. ავადგამხდარ საკუთარ შვილს ჩამოაკითხავს. გადაღლილ მხრებს მის წინ დახრის.

შენათებს ცისფერ თვალებს. მივა და ყელზე მოეხვევა.
ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ ცაა თითონ თვალები და მზე –
მარადიული მისი ცრემლი?!

ღმერთო, ღმერთო, ოღონდ არ იტიროს რა!

ვდგავარ და ველი. ავტოს ლანდმა ეს-ესაა გაიელვა ჩემ
თვალწინ. მე დავინახე ბებიას დაკორძილი ხელები

სარკმელს მიყრდნობილი და თვალები მისი – აუტანელ
ყოფნას ნაჩვევი, ცისფერი, ცისფერი! მე ის ვიცანი.

მზერით კი არა, გულით მივწვდი. მარტოდენ გული
მინვდება ხოლმე მიუწვდომელს. არ შეიძლება, რომ სხვა
იყოს ის, რომ სხვად ჰქონდეს მსგავსი ხელები!

ამოზურცულ ლურჯ ძარღვებით სულ მთლად

დაქსაქსული. კანი დანაოჭებული. ხელისგულები, თვითონ
ხაზები – მაგარ ბედისწერის. მტევანი რხევისას ნელი,

მოდუნებული. არა მოქმედი, არამედ თავად მომლოდინე.

თქვენ თუ გინახავთ, როგორ ელის ხოლმე ხელი ხელს?!

დავინახე ბებია და უნებურად ავტირდი მე, რომელიც

ნოემბრის ამ ცივ ამინდში, გაყინული ვიდექი და

ველოდი მას ქუჩაში, ავტირდი, რადგან ვიგრძენი, იგი ამ

სწრაფად მოძრავ მასაში, ავტოსადგურის მთელ ამ

ორომტრიალში მე მეძებდა.

მეძებდა: თვალებით, ხელებით, გულით.

მე კი ვიდექი და ველოდი.



ნინიკო მშვიდლობაძე

რეზინის თოჯინები (დედას)

ჩავიბრუნე თვალები უკან...
 ჩავიბრუნე თვალები უკან და
 ჩემი ბავშვობა დავინახე –
 გადაყვლეფილი მუხლებით,
 კიკინებით,
 გულუბრყვილობით.
 რა მიამიტურად იოლია ბავშვობა...
 ღმერთო, ნუ გაათენებ ამ ღამეს დიდხანს;
 ღმერთო, გააგრძელე ეს ღამე დიდხანს,
 რეზინის თოჯინები უნდა დავისიზმრო...
 სულს რომ კარი ჰქონდეს,
 არასოდეს დავკეტავდი...
 ამომივიდოდა სული ნისლივით, ყოველი დილით
 და მთებს ვედებოდი საბურველად.
 სულს რომ კარი ჰქონდეს,
 არასოდეს დავკეტავდი...
 თვალებს უკან ვიბრუნებ,
 თვალებს უკან ვიბრუნებ და
 ჩემს ბავშვობას ვხედავ –
 დედობანას თამაშით ისე გართულს,
 რომ რეზინის თოჯინა ნამდვილი მგონია და თოთო ძუძუს
 ვანოვებ...
 ღმერთო,
 დიდხანს არ გაათენო ეს ღამე;
 ღმერთო, დიდხანს გააგრძელე ეს ღამე,
 რეზინის თოჯინები მინდა დავისიზმრო...

ციკლიდან იავნანები:

ქვრივის იავნანა
(ვუძღვნი შინდისის გმირებს)

მე ვერ გიმღერებ...
დიდიხანია, რაც ველარ ვმღერი...
ნაგილილინებ აი, ამგვარად:
„ეს აკვანი ლებანოზის,
შიგა მწოლი ანგელოზი...“
და დაგაჯერებ, რომ შენ
მართლა ანგელოზი ხარ...
და მამაშენი,
თავისი ხის სუნიანი ხელებით
ამ აკვანს რომ თლიდა,
სწორედ იმაზე ფიქრობდა,
თავისი ბიჭი ანგელოზს
როგორ მიაგავდა
დიდი,
უძიროდ ლურჯი თვალებით...
მე კი,
შრომასშეუჩვეველი ჩემი
ხელებით,
საფენებში უხერხულად გახვეული, აკვანში ჩაგანვინე
და არტახები ვერ შემოგკადრე...
რა ვაჟკაცის საქმეა არტახები...
მე ვერ გიმღერებ...
შემიძლია ნაგილილინო:
„ეს აკვანი ბჟოლისაო,
შიგა მწოლი ბროლისაო...“
და მოგიყვე,
როგორ თლიდა მამაშენი
ბჟოლისგან აკვანს...
როგორ ეფერებოდა და დაჰლილინებდა თან;
მოგიყვე, როგორ ელიმებოდა, როცა
ჩუქურთმები გამოჰყავდა...
არ დაიჯერო, რომ დედებს
სიმღერა შეუძლიათ...
მე ვერ გიმღერებ,
დიდი ხანია,
რაც სიმღერას გადავეჩვიე...
მე მხოლოდ ვილილინო შემიძლია
აი, ამგვარად:
„ეს აკვანი ხარატული,
შიგა მწოლი ჩახატული...“
და გიამბო ამბავი მამაშენზე,

რომელსაც თავისი დაკოჟრილი ხელებით
 რუდუნებით გამოჰყავდა ყველა ჩუქურთმა...
 და თავთან ახლა არნივი გიზის;
 გვერდებზე – ლომი,
 ხოლო ფეხებთან –
 შვლის ნუკრიც კი წამონოლილა...
 მე ვერ გიმღერებ...
 დიდი ხანია, გადავეჩვიე...
 მამაშენი შინდისში დარჩა,
 თან სამუდამოდ...

ჩემი საიავნანო

მე „იავნანას“ შვილებს ვერა,
 ძმისშვილებს ვუმღერი,
 მათთვის ვლიღინებ...
 როცა ოთხი წლის ელენეს ძილისპირული ჩაუდგება
 თავის ბრიალა თვალებში,
 ხელში ამყავს,
 თავს კისერში ჩამიდებს და ძილსდანებებული ხმით
 მიჩურჩულებს:
 „იავნანა მიმღერე, ბაი...“
 და ვინყებ ღიღინს...



ვლიღინებ ამ საოცარ სიმღერას,
 ყველას რომ ამშვიდებს და
 მეც ვმშვიდდები...
 თვალმილულული ელენიკოს მოფხიზლებული ხმა კი
 საამქვეყნოს მარბუნებს:
 „შენ იავნანა არ იცი, ბაი, იავნანა დედამ იცის,

შენ ანგელოზისა მიმღერე...“
 ვჩუმიდები...
 და ჩემი მეგობრის ის სასწაული ლექსი მახსენდება,
 დღემდე რომ მდაგავს და მაშფოთებს:
 „იავნანას ვერ მღერიან ძიძები,
 იავნანა დედამ უნდა იმღეროს...“
 ვინ იცის,
 მერამდენედ ვახერხებ
 სულის შორეულ სიღრმეებში სევდის ჩაბრუნებას და
 ჯადოსნური სიტყვების სამყაროში მერამდენედ
 გადავდივარ:
 „ეს აკვანი ლებანოზის,
 იავნანინაო,
 შიგა მნოლი ანგელოზი,
 იავნანინაო.
 ეს აკვანი ბჟოლისაო,
 ვარდოვ, ნანინაო,
 შიგა მნოლი ბროლისაო,
 ვარდოვ, ნანინაო.
 ეს აკვანი ხარატული,
 ნანი-ნანი-ნაო,
 შიგა მნოლი ჩახატული,
 ნანი-ნანი-ნაო...“
 და ლილინს აღარ, სიმღერას ვიწყებ იმ სიმღერისას,
 რომელიც სადღაც შორს მაბრუნებს:
 ქოხის წინ, მუხის ჩრდილში,
 სადაც არასოდეს მიცხოვრია...
 და მე იმ ჩემი მეგობრის
 ლექსი მახსენდება კვლავ
 და ვინ იცის,
 მონოლილ სევდას, ცრემლებთან ერთად,
 მერამდენედ ვიბრუნებ სულში...
 აკვანს კი იქ, შორეულ ზმანებებში,
 ქოხის წინ, მუხის ჩრდილში არწევს კოჭებამდე
 ნაწნავებიანი
 დედა...
 მე „ანგელოზისას“ ვლილინებ...

ბებოს იავნანა

მთელი ცხოვრება რომ მიუყვებოდა
 შეღმართებს...
 დალარა წლებმა და სევდამ და ტკივილმა...
 ახლა, როდესაც მის ხელებს სუნი აქვს
 ახალამოსული ბალახის,
 შვილიშვილს აძინებს

ისე უჩვეულო იავნანით,
 ისეთი სიტყვებით,
 რომ მინდა მეც ვიყო პატარა,
 ძალიან პატარა და
 გულში ჩამიკრას...
 ის კი ზის,
 შვილიშვილს უმღერის ნანინას
 და ჩუმად ლილინებს:
 „დაიძინე, ჩემო ყველავე,
 ხვალის იმედო,
 დაიძინე, მზის ამოსვლავე,
 ღამის თენებავე.
 იავნანა, ვარდო ნანა,
 ნანა ნანინა,
 ჩემი ფიქრი და ოცნება
 შემოგვევლება.
 დაიძინე, მზეჭაბუკო,
 თვალეცმციმაციმო,
 შენი ძილის დარაჯი ვარ
 მთელი ცხოვრებაო.
 იავნანა, ვარდო ნანა,
 ნანი-ნა-ნინა,
 დაიძინე, გენაცვალე,
 შენ პანანინა...“
 და ვზივარ ფანჯარასთან,
 ისე, რომ ვერ მამჩნევს და ვუსმენ...
 და სული მითბება...
 ის მიუყვებოდა ცხოვრების შეღმართებს...
 და ახლა, როდესაც მის ხელებს
 ახალამოსული ბალახის სუნი აქვს...
 შვილიშვილს აძინებს ფაქიზად
 და ბებოს იავნანას უმღერის:
 „ღმერთო, გამიზარდე სასახელო!“

შიშის იავნანა

როგორ უნდა მტკენოდა...
 მე უცხოს,
 უცნობს...
 და მაინც მეტკინა კი არადა...
 ამოვიკემსე პირი და დავდუმდი,
 რომ ხმა არ გამეღო,
 რომ არ მეყვირა....
 თვალეები შიგნით ჩავიბრუნე,
 რომ აღარ დამენახა,
 აღარ მეგრძნო...

აღარც ფიქრია და აღარც საფიქრალი...
 ნეტავი ხედ ამოვზრდოდი დედამინას...
 სევდად ჩამომანვიმა ყველა ბგერამ:
 ფეხის ხმა ტყეში,
 ფეხის ხმა ტყეში,
 ფეხის ხმა ტყეში...
 და სიბნელე,
 სიბნელე,
 არა მხოლოდ ღამის...
 დედაჩემი დგას და ლოცულობს...
 მე ვფიქრობ და ბგერებს ვიხსენებ:
 ხმები,
 ხმები:
 გინების ხმები, სირბილის ხმები,
 დამტვრეული ტოტების ხმები...
 თვალები შიგნით ჩავიბრუნე და
 ველარ ვხედავ...
 ხელები კი არადა,
 რკინის ხელკეტები მაქვს
 და ხმებს ვიხსენებ:
 გადამტვრეული ძვლების ხმებს,
 ტკივილის ხმებს,
 ცემის ხმებს...
 მე რა ვარ...
 ვინა ვარ მე და
 მაინც მეტკინაზე მეტია,
 რაც მჭირს...
 და მერე იყო შიშის იავნანა:
 ყველაზე შემზარავი იავნანა იავნანათა შორის...
 დედაჩემი ლოცულობს...
 მე კიდევ ხმებს ვიხსენებ...
 მაგრამ აღარაფერს აქვს აზრი,
 მართლა აღარაფერს აქვს აზრი,
 დიახ, აღარაფერს აქვს აზრი:
 ცხრამეტი წლის ბიჭი არაგვმა გადაგვიმალა...
 ჩვენ გადაგვიმალა -
 აგრესიით გულგასენილებს,
 საკუთარი სხეულის მღეჭველებს,
 სხვების სევდის შემჭმელებს...
 აღარაფერს აქვს აზრი...
 პირი ამოვიკემსე...
 თვალები ჩავიბრუნე...
 ნეტავი ხედ ამოვზრდოდი დედამინას...



თემურ ჭკუასელი

ხეობაში ჩაკარგული ნაფეხურები

ფასანაურისკენ ან სულაც სტეფანწმინდისკენ რომ მიწვევს მგზავრობა, ანანურთან უეჭველად ვჩერდები ხოლმე და დიდი ხნის უნახავი მეგობრის დანახვასავით მიხარია ჟინვალის წყალსაცავისთვის თვალის შევლება. ხევსურეთის არაგვის კალაპოტივით ვცდილობ მერე, მზერით მაინც გავძვრე მთებს შორის და იქ გატარებულ დღეებსა და თვეებში საკუთარ ახალგაზრდობას მივაგნო და მივესალმო. ვდგავარ ხოლმე გარინდებულ, გავცქერი ხეობებს, გონებაში კი ფრინველთა დამფრთხალი გუნდით წამომეშლება შორეული მოგონებები. ჯერ ერთი, მერე მეორე, იმ მეორეს მესამე მოჰყვება და ასე თანდათან, წარმოსახვით ვაგნებ ჟინვალის წყალსატევის ფსკერზე და მის გაღმა, მთებში ჩაკარგული საკუთარი ახალგაზრდობის ნაფეხურებს.

ყველაფერი კი მაშინ ხდებოდა, როცა არქეოლოგებად მონათლული უნივერსიტეტის სტუდენტები ორი თვით მომავალი წყალსაცავის ფსკერზე ვეძებდით წინაპართა ნაკვალევს. დროდადრო კი, თავისუფალ დროს მოვიხელთებდით თუ არა, ფშავ-ხევსურეთის ხეობებთანაც ვცდილობდით გაშინაურებას. ჩარგალი, ბარისახო, გუდანი, ხახმატი, დათვიჯვარი, პირიქითა ხევსურე-

თი, დიდებული შატილი და ასე შემდეგ... აი, ამ სახელებს ახსოვდათ ჩვენი იმდროინდელი თავგადასავლები.

ერთხელ ბარისახოს სახინკლეში შევედი. ხახმატში მივდიოდით სტუმრად ბაბუა ალუდაურთან. ოთხნი ვიყავით: თავად ბაბუა ალუდაური, ენვერ ნიჟარაძე, ზურაბ ლოლაძე და მე. სახინკლეში უამრავი ხალხი ირეოდა. ძლივს მივაგენით თავისუფალ მაღალ მაგიდას, ფეხზე მდგომებმა ალყა შემოვარტყით და ველოდებით დაძახილს – მზადაა თქვენი ხინკალიო. თითო ბოთლი ლუდის გარდა, არაფრის დაღევა არ ვაპირებდით. ვილაც ახალგაზრდა შემოვიდა ამ დროს. ბაბუა რომ დაინახა, შემოგველე, ბაბუო, – გახარებულმა დაიძახა და ძმურად გადაეხვია. მათი საუბრიდან მალე მივხვდით, რომ წლები იყო გასული, ერთმანეთი არ ენახათ. ახლავე მოვალ, ბაბუო, – თქვა მერე იმ ახალგაზრდამ და დახლისკენ წავიდა. სანამ უკან მობრუნდებოდა, ბაბუამ მოასწრო და ძუნწად აგვიხსნა მისი ვინაობა. ეგ გუდანელი ხევსურია, ხეობაში რომ ავალთ, ეგ სოფელი გზაზე შეგხვდება. მეშვიდე თუ მერვე კლასში იყო, როცა გუდანიდან ბარისახოში ჩამოსულა და „გიორგი სააკაძე“ უნახავს.

ფილმის ნახვის მერე უკან, გუდანში რომ ბრუნდებოდა, არაგვს გაღმა მეცხვარეები დაუნახავს. იცოდა, რომ მუსულმანები იყვნენ. ისე იყო ფილმისაგან ემოციურად დამუხტული, არაგვი გატოპა, გაღმა გავიდა და იმ ორივე მეცხვარეს ხანჯლით გამოჭრა ყელი, პაატას თავს გწირავთო. დაიჭირეს, რა თქმა უნდა... რამდენი წელი იჯდა, არ ვიცი, მაგრამ ახლა გამოსულაო, – დაამთავრა ალუდაურმა.

სამივე გაცელებული შევცქერით და ხმას ვერ ვიღებთ. მოულოდნელობისაგან პირი გაგვიშრა. ამასობაში ის გუდანელი ხევსურიც ბრუნდება, თან ორივე ხელით ნყვილ-ნყვილად მოაქვს ოთხი ბოთლი ღვინო. მოვიდა, ბოთლები მაგიდაზე დაანყო და მაშინლა უთხრა ბაბუას – ეს ხალხი გამაცანნი, ბაბუ, რა გორის არიანო... ეს ნიჟარაძეაო – ბაბუმ, ეს ლოლაძეო და, სანამ ჩემს გვარსაც მოაყოლებდა, დავასწარი და თავად ვთქვი: ჭკუასელიძე ვარ-მეთქი. „ძე“ დავამატე ყოველი შემთხვევისთვის, ვითომ ჩემი ქართული წარმომავლობა გავაძლიერე ამით. ვიხუმრე, რა თქმა უნდა, ბიჭებსაც გაეცინათ, ცხადია. მხოლოდ იმ ახალგაზრდა ხევსურს არ გაუღიმიდა და ძალზე სერიოზულადაც კი ჩამომართვა ხელი.

სხვათა შორის, საკუთარი გვარის ხუმრობით შეცვლას მოგვიანებით ერთი გარძელება კიდევ ჰქონდა და ბარემ იმასაც მოგიყვებით:

ჩარგალში ვიყავით ჩასული ვაჟაობაზე. იმ დროს უნივერსიტეტის ანსამბლში ჩემთან ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილი მღეროდა. ჰოდა, ასეთი სახელისა და გვარის მქონე კაცზე რაღაც ხომ უნდა მეხუმრა. ავდექი და ასეთი ლეგენდა შევთხზე.

ქართული ლიტერატურის გამოცდას რომ აბარებდა მისაღებ გამოცდებზე, ბილეთში პირველ საკითხად ბარათაშვილის „მერანი“ შეხვდა თურმე-მეთქი. გადარეულა გამომცდელი, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანზე“ ნიკოლოზ ბარათაშვილი უნდა მესაუბროსო? სასიამოვნო მოლოდინით აღსავსეს უთქვამს, აბა, გისმენთ, ყმანვილო, დაინყეთო. ნიკოს კი „მერანზე“ საუბ-

რის ნაცვლად, თუ შეიძლება, ბილეთს გამოვცვლი, პატივცემულოო...

იმდენჯერ მქონდა მოყოლილი ეს თავიდან ბოლომდე ჩემი გამოგონილი ამბავი, თანაც მისივე თანდასწრებით, რომ ბოლოს თვითონაც დაიჯერა და თვითონვე ჰყვებოდა ხოლმე, ასე და ასე დამემართაო.

ჰოდა, მე და ეს ნიკო ვდგავართ ჩარგალში, ვაჟასეულ ეზოში, როცა მოულოდნელად დათო კლდიაშვილსაც მოვკარი თვალი. იმხანად გოგი დოლიძესთან მეგობრობდა, ლამის ქინძისთავით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმული. მაშინვე დავუძახე: დათო, აქეთ-მეთქი. ასეთი შემთხვევა როგორ უნდა გამეშვა ხელიდან, ნიკოლოზ ბარათაშვილი და დავით კლდიაშვილი უნდა გამეცნო ერთმანეთისთვის, თანაც სად, ვაჟას ეზოში. გავაცანი კიდევაც და ერთმანეთს ხელს რომ ართმევდნენ, ორივეს ვთხოვე, სახელი და გვარი სრულად თქვით-მეთქი. ნიკომ დაასწრო და უთხრა, ნიკოლოზ ბარათაშვილიო. ამაზე დათო ოდნავ შეცბა, მერე გაელიმა და დავით კლდიაშვილი, ჩემო ბატონოო. ამათი გაცნობა ჯერ მონელებული არ მქონდა, ერთი დუშელი პირმისაშვილი მოვიდა, ძველი ნაცნობი. იმასაც ვილაც უცნობი ახლდა და, რომ გვითხრა, გაიცანით ეს, ჩემი მეგობარიაო, ჯერ ისევ ნიკომ ჩამოართვა ხელი და ნიკოლოზ ბარათაშვილიო, უთხრა, მერე დათომ – დავით კლდიაშვილიო და ჩემი ჯერიც რომ დადგა, კვლავაც ხუმრობა გადავწყვიტე და ეგნატე ნინოშვილი, ჩემო ბატონო-მეთქი, ვუთხარი. იმ ბიჭს კი, ნაცვლად იმისა, რომ თავისი სახელი ეთქვა, ისტერიკული სიცილი აუვარდა. ის პირმისაშვილიც აიყოლია და მათ დაწყნარებასა და დამშვიდებას კარგა ხანს აღარ დაადგა საშველი. სამი კაცი რომ გაგეცნობა და ზედიზედ გეტყვიან, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დავით კლდიაშვილი და ეგნატე ნინოშვილიო, მესმის, რომ, შეიძლება, თავი ვერ შეიკავო და გაგეცინოს, მაგრამ ისეთი და იმდენხნინი სიცილი, იმ ორმა დუშელმა რომ მოახერხა, ცოტა არაბუნებრივად მოგვეჩვენა. შეგვატყო კიდევაც იმ ბიჭმა. როგორც იქნა,

სული მოითქვა და გვეუბნება, ბოდიშს გიხდით, ბიჭებო, ამდენი სიცილისთვის, მაგრამ თავი ველარ შევიკავე, საქმე ისაა, რომ მე თვითონ დანიელ ჭონქაძე ვარო...

ასე მოულოდნელად გადაეყარნენ ერთმანეთს ნიკოლოზ ბარათაშვილი, დავით კლდიაშვილი და დანიელ ჭონქაძე.

ერთი მე არ ვიყავი მხოლოდ ეგნატე.

ზაფხულის ცხელ საღამოს

სუფთა თბილისური ზაფხულის საღამოს მოხდა ეს ამბავი. სიცხე რომ ღამეებს გვათენებინებდა. ქალაქს ბული ასდიოდა სიციხისგან, ჩვენ – ორთქლი. მზე რომ თრიალეთის ქედზე გადაგორდებოდა და ქალაქში ჩრდილი ჩამონვებოდა, მთელი უბანი მაშინვე ჩვენი კორპუსის უკანა ეზოში იყრინდა თავს. იყო ერთი წიოკი და ყრიაშული. ნარდი, დომინო, ჭადრაკი, პინგ-პონგი, ბადმინტონი და კლასობანა... ეს იყო საღამოს გართობის რეპერტუარი. ამასობაში, ბინდის ჩამონოლასთან ერთად, ლისის ტბის მხრიდან წამოსული გაუბედავი ნიავიც ხელს თუ წაგვანებოდა, მაშინ ხომ საერთოდ სულს ვითქვამდით და ხან ერთი დაიძახებდა ხოლმე: არიქა, არიქა, დაუბერეო და ხანაც მეორე. ამ დროს სახლში მხოლოდ ქალები რჩებოდნენ. დაბნელებოდა თუ არა, იწყებოდა მერე ლოჯიის აივნებიდან მათი გადმოდახილი. ზოგი ქმარს ეძახდა – დაღამდა, ამოდი ანი სახლშიო, ზოგი – შვილს და ზოგიც – ორივეს ერთად.

ერთადერთი, ვისაც იმ საღამოს ეზოში არავისთვის დაუძახია, სხვა დღეებში ყველაზე აქტიური დამძახებელი, შემტევი და ქოთქოთა ლამარა დეიდა იყო. ქმარიც ჰყავდა ლამარა დეიდას და ორი ჩვენი თანატოლი, ჩვენსავით ანცი და ვერცხლისწყალივით დაუდგრომელი ბიჭიც, მაგრამ იმ საღამოს არცერთი არ იყო ჯერ შინ დაბრუნებული. ვახო და გია შინ რომ არ იყვნენ, ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა, რადგან ეზოში ჩვენთან ერთად არ იყვნენ, ესე იგი შინაც არ იყვნენ ჯერ დაბრუნებულები. რაც შეეხება ვალიკო ბიძიას, მართა-

ლია, ეზოში არასოდეს ჩამოდიოდა, მაგრამ ლოჯიის აივანზე უყვარდა ხოლმე გადმოდგომა და იქიდან უბნის კაცებთან გაბასება. იმ საღამოს კი არც ის გამოჩენილა.

ლამარა დეიდამ ერთი-ორჯერ აწრიალებული სახით მაინც გადმოიხედა და – სად არიან შენი ძმაკაცები, ხომ არ იციო, – მკითხა. არ ვიცი, ლამარა დეიდა, არაფერი უთქვამთ, თქვენ ნუ ნერვიულობთ, ჯერ ხომ ადრეა, გამოჩნდებიან, ალბათ, მალე-მეთქი, – დავამშვიდე.

ამასობაში თერთმეტი საათიც გახდა. ეზოს კი ხალხი მოკლების ნაცვლად ემატება და ემატება. მერე ტაქსმა შემოუხვია ეზოში და ლამარა დეიდას სადარბაზოსთან გაჩერდა. მანქანიდან ჯერ ორი ბიჭი გადმოვიდა, ნასვამები იყვნენ, ორივემ მანქანას შემოუარა და მძღოლის მხარეს უკანა კარიდან გათიშული გია გადმოიტანეს, მერე ჩვენ შემოგვხედეს და დახმარება გვთხოვეს – ძმებო, ისეთი გათიშულია, ველარ მოძრაობს და იქნება ცოტა მოგვეხმაროთ, როგორმე სახლში ავიყვანოთო. მაშინვე წამოვხტით და გიაც გამოვართვით. თქვენ წადით, ბიჭებო, რახან აქამდე მოიყვანეთ, მაღლობა და ანი ჩვენ მიხვდებათ-მეთქი. რას ამბობთ, რის მაღლობა, აბა, ასე ხომ არ მივატოვებდითო. კიდევ კარგი, ამან იცოდა, სადაც ცხოვრობდაო, მეორეზე მიგვითითა.

გია რომ სადარბაზოში შევიტანეთ, პირველ სართულზე ჯიქიამ გამოალო კარი და მაგის სახლში აყვანას და წვალეხას, აგერ ჩემთან რომ შემოიყვანოთ დროებით, ჯობია, აქეთ, ლოჯიში მოვასვენოთ. მაგი რომ ახლა ლამარამ ნახოს, გადადგამს კორპუსს წივილ-კივილითო. შემოთავაზება მოგვენონა და ჯიქიას ლოჯიისკენ გადაუხვით. ვიფიქრე, სანამ ლამარა გაიგებს, ამასობაში ვახოც გამოჩნდება და დედამისსაც და უმცროს ძმასაც თვითონ მიხედავსო. რის ვაი-ვაგლახით შევიტანეთ გია ლოჯიაში და ტახტზე წამოვანვინეთ.

სადარბაზოში გამოვედით თუ არა, ზემოდან ლამარა დეიდას წივილ-კივილიც მოგვესმა. იმოდენა ქალი თავპირისმტვრე-

ვით ჩამორბოდა კიბეებზე და თან ბოლო ხმაზე ყვიროდა: სადაა და სადაა, ჩქარა მაჩვენეთ ჩემი გია, ხომარა ცოცხალი და რამე ხომ არ სჭირს. მითხარიო, არ დამიმალოოოო... ბედი ხომ გინდა კაცს, რომელიღაცა პატარა გოგოს აურბენია ეზოდან და უთქვამს, ლამარა დეიდა, გია მოიყვანეს, ქვემოთ, ჯიქიებთან შეჰყავთო. გადაირეოდა ქალი, აბა რა იქნებოდა.

დანყნარდი, ლამარა დეიდა, გიას არაფერი არ სჭირს, უბრალოდ მთვრალია და მოვასვენეთ. ინვეს ცოტა ხანს ჯიქიებთან, ამასობაში ვახოც მოვა და მერე მე და ვახო ამოვიყვანთ სახლში-მეთქი. მე კი ვცდილობ დავამშვიდო, მაგრამ ლამარა დეიდას ასე ადვილად დავაჯერებდი რამეს?! ჯიქურ შეანგრია ჯიქიების კარი და ჩქარა მაჩვენეთ, სად გყავთო. დანყნარდი, ლამარა, რა გჭირს, ვინ არ დამთვრალა. აგერ ნევს ლოჯში, სძინავს. გამოიძინებს, გამოფხიზლდება და ამოვა სახლში, აბა სად ჯანდაბაში წავა, აქ ხომ არ დავიტოვებო. – მეზობელიც ცდილობს დაამშვიდოს, მაგრამ ვულკანს სიტყვებით დაამშვიდებ?! ლამარა დეიდაც მოქმედი ვულკანივით იყო და, სანამ ყველაფერი ბოლომდე არ ამოაფრქვია, ვერაფერი მოვუხერხეთ და ვერ ჩავაქრეთ. ჯერ იძახა, მონამლეს ნამდვილად და სასწრაფო გამოიძახეთო, აიჩემა, მერე ვახოს, უფროს შვილს მიადგა და წყევლა და წყევლა: შენ არ გნახო სახლში ცოცხალი მოსული და დედას რომ სჭირდება, მაშინ რომ იცი გაქრობა და შენ რომ შენი ძმა გიყვარდეს, ხომ იქნებოდი ახლა აქო და... მოკლედ, ესენი და კიდევ რა და რა ბრალდება არ წამოაძახა ვახოს. ბრალდებების მთელი კასკადი ამოაფრქვია, რადგან ამის ამოუნურავი მარაგი ჰქონდა ლამარა დეიდას. ლოჯიაში ორი უბნელი ბიჭი შემოვიდა ამ დროს. წინ რომელიც იყო, იმან მითხრა, ვახოც მოიყვანეს და ისიც მაგარი მთვრალია. ბუინობს და ჩვენ არ გვემორჩილება, წამო მოგვეხმარე, იქნება, შენ დაგიჯეროსო. ლამარას კიდევ ამის გაგონება უნდოდა?! ლამის წაგვლეკა და პირდაპირ ტყვიასავით გავარდა გარეთ. გამოვეკიდეთ ჩვენც. დე-

დამისის დანახვაზე ცოტა კი შეცბა ვახო და ბარბაცისაგან თავის შეკავებაც სცადა ვითომ, მაგრამ ამ ქვეყნის მაინც აშკარად არ იყო. დიდი ნვალებით მაინც მოვახერხეთ მისი ჯიქიებთან შეტყუება. არადა, ნეტა არ გვექნა. ტახტზე გამოტილი ძმა რომ დაინახა, არ ვიცი, რა იფიქრა და რა მოეჩვენა, მაგრამ ისეთი ბლავილი ატეხა, გიას, ძმაო, რა გჭირსო, რომ კაცს გული დაგეწურებოდა. გადაანვა ზემოდან, თან ბლაოდა, თან კოცნიდა და ამასობაში ნელ-ნელა ჩაცხრა და ჩაეძინა. მოვეკიდეთ ხელი, გია კედლისკენ მივნიეთ და ვახო თავშექცევით მივუწვინეთ გვერდით.

მთელი ამ ხნის მანძილზე ლამარა დეიდა, რა თქმა უნდა, წამითაც არ გაჩერებულა, კვლავინდებურად თუხთუხებდა და დროდადრო ისევ მდულარე ლავასავით აფრქვევდა წყევლა-კრულვის ფრაზებს, ოღონდ ამჯერად ვახოს თავი დაანება და ვალიკო ბიძიაზე გადაერთო. თან შვილებსაც ემუქრებდა, აგერ ნახავთ, მოვა მამათქვენი და ბიჭები ხართ, იმას გაეცით მერე პასუხიო. დროდადრო კი ვალიკოსაც ზუსტად იმ სიტყვებით ამკობდა, წუთის წინ ვახოსთვის რომ იმეტებდა. სად ხარ აქამდე, შე უსინდისო, შენ არ დაგინახო სახლში მოსულიო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ასე ურთიერთგამომრიცხავი ფრაზები კიდევ დიდხანს ვისმინეთ ლამარასაგან, მაგრამ ბოლოს მაინც ცოტათი დავანყნარეთ. ჯიქიამაც სთხოვა, თქვენ აბრძანდით სახლში, ქალბატონო ლამარა, ბიჭები იყვნენ აქ, ეძინოთ, გამოშუშდებიან, გამოიღვიძებენ და თავისით ამოვლენ მერე, აბა რას იზამენ, თქვენს აქ ყოფნას კი აბა რაღა აზრი აქვსო.

ლამარა დეიდა, როგორც იქნა, შინ რომ გავისტუმრეთ, ბიჭები ისევ ეზოს დავუბრუნდით. ხალხი შეთხელებულიყო. მერე კიდევ შემოგვეცალა და ასე ნელ-ნელა ჩაცხრა უბანი. ბოლოს სამნილა დავრჩით ეზოში. ის იყო ჩვენც დაშლას ვაპირებდით, რომ დიდი საბარგო ტაქსი შემოვიდა ეზოში და ზუსტად ჩვენ წინ გაჩერდა. ძარა შავი ბრეზენტით იყო გადახურული და კაბინის ორივე მხარეს ტაქსის ემბლემა, შავ-თეთრი

კვადრატები ჰქონდა მიხატული. მძლოლი გადმოვიდა და გვეუბნება, თქვენ აგაშენათ ღმერთმა, აქ რომ დამხვდითო. ერთი ნასვამი კაცი გამომატანეს, მისამართიც მითხრეს ვითომ, მარა ვარაუდით. საათ-ნახევარია დავბორიალობ უბანში, კორპუსებს შორის, მაგრამ ამის პატრონს ვერ მივაგვინი ვერსად. აღარ ვიცი, რა ვუყო, ქუჩაში უპატრონოდ ხომ ვერ დავტოვებ ამხელა კაცს, მოდით, ერთი შეხედეთ, იქნება იცნობთ რომელიმეო.

უკანა მხრიდან მივადექით მანქანას. მძლოლმა ურდული გადახსნა, კარი გამოალო და შეგვახედა. კართან ახლოს, პირდაპირ ხის იატაკზე გადახერხილი მორივით იდო ვალიკო ბიძია და გათიშულს ეძინა.

აუუ, ახლა კი ნაღდად დავილუპეთ, ეს რომ ლამარამ ნახოსო, – შეიცხადა ერთერთმა. არა, ძმაო, თქვენ როგორც გინდათ, მაგრამ მე ამის ნერვები აღარ მაქვს, წავედი შინო. შენ ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო, ლამარა რა შუაშია, ვახოსა და გიას მამა რომაა, ხომ არ დაგავინყდა, მიდი შეხტი ახლავე ძარაზე და ზემოდან მოაჩოჩე-მეთქი. ცოტა კი ვინვაღეთ, მაგრამ მძლოლიც მოგვეხმარა და მშვიდობიანად ჩამოვხსენით ვალიკო ბიძიაც და მივუყვანეთ ისიც ჯიქიას. ღმერთი სამობითაა და აგერ ვალიკოც მოვიყვანეთ, მივუნვინოთ შვილებს-მეთქი. კიდევ კარგი, არ ეძინა ჯერ, ლოჯიისკენ გაგვიძღვა და, რადგან მესამე კაცი ტახტზე ნაღდად ვეღარ დაეტეოდა, ამიტომ ვალიკო ბიძია სავარძელში ჩავსვით, თავქვეშ ბალიში ამოვუდეთ და დავტოვეთ. ისე ღრმად იყო გათიშული, წარბიც არ შეტოკებია.

სადარბაზოში რომ გამოვდიოდით, ჯიქიას ვეუბნები, თუ კაცი ხარ, ზევით ნულარ ამიყვან, ბარემ ლამარას შენ დაურეკე და ვალიკოც რომ შენთანაა, უთხარი. საერთოდაც ადექი და დროებით ბინაც გაუცვალე, მაინც ყველა აქაა, ლამარაც ჩამოვიდეს ბარემ და შენ ზეით ადი-მეთქი, ბოლოს მაინც ხუმრობაზე გადავედი. მიდი, მიდი, გეყოფა ლაზლანდარობაო, ჯიქიამ, ლამარას კი ახლავე დაუურეკავ და ვეტყვიო. ამის მერე რა მოხდა, ეს აღარ ვიცი.

დღეს აღარც ლამარა დეიდაა, აღარც ვალიკო ბიძია, აღარც ვახო და გია და, სამწუხაროდ, აღარც ისეთი თბილისი.

მოგზაურობა ჟანდაბაში

საქართველოში დაბადებულს და გაზრდილს გზაში ბევრი რამ მიკვირდა. მიკვირდა ის, რომ საითაც არ უნდა გამეხედა, ჰორიზონტზე არსად მთების ნასახი არ ჩანდა. მიკვირდა ტრამალების ერთფეროვნება. ქართული მდინარეების პატრონს მიკვირდა, რომ ვოლგასაც მდინარე ერქვა, გამოლმა ნაპირიდან გალმა ნაპირი რომ არ ჩანდა და მატარებლით ლამის ნახევარი საათი გადავდიოდით ხიდზე. გაცეცხული გადავყურებდი ვოლგას, რომელიც ამ სახელს, მდინარის დინებას რომ გულისხმობს, ზედმიწევნით ამართლებდა. იმდენად მდორე იყო, ნაფოტი რომ არ ჩაგეგდო და წყალში მის მოძრაობას არ დაკვირვებოდი, ისე ვერც მიხვდებოდი, ტბასავით იდგა თუ მართლა მდინარეა. აბა ჩვენს მდინარეებს, ამასთან შედარებით, მდინარე კი არა, კისრიტება უნდა ერქვას-მეთქი, – ვფიქრობდი.

ჩრდილოეთ ყაზახეთისკენ მივდიოდით ხუთი მომავალი ფილოლოგი. კვირისთავზე კი იქ, საითკენაც ჩვენ მივდიოდით, ფილოლოგების სამშენებლო რაზმი უნდა ჩამოსულიყო და ჩვენს ხუთეულს იმ რაზმისთვის ბანაკი უნდა მოგვემზადებინა.

ვოლგაზე კი აბა კიდევ რა გითხრათ. გამოლმა ხეზე ასულმა ყაზილარმა გალმა ეზოში ციცაი თუ ვერ დეინახე, ის მდინარე კი არა, ზღვა უფრო მგონია-მეთქი, – დავაკვენი ბოლოს.

მერე ქარავანივით შევცურეთ ყარაყუმის უღიმლამობაში და ჩვენი გაკვირვებაც გაძლიერდა. „ყარა“ რომ შავს ნიშნავდა ყარაჩოხელის, ანუ შავჩოხიანის მაგალითზე, დიდი ხანია ვიცოდი, მაგრამ „ყუმი“ თუ ბნელს ნიშნავდა, ეს კი აღარ. ჰოდა, გარემოს ისეთი პირქუშობა, რომელსაც ორმაგი სიძლიერის მქონე სიტყვა, „შავი სიბნელე“ დაარქვეს, ჩვენს ბუნებაში გაზრდილ ხალხს გაგვაოცებდა, აბა რა იქნებოდა. ყველანი

ფანჯრებს ვიყავით აკრული და თვალს ვერ ვაცილებდით ამ უღიმღამო და უსასრულო ერთფეროვნებას.

ქუთაისელების საყვარელი სიტყვა გამახსენდა, ხშირად რომ გამეგონა მავანის დასახასიათებლად ნათქვამი – დიდი ყუმი ვინმეა, ბიჯო, მაგო.

ეს ეპითეტი მაინცდამაინც საქები რომ არ იყო, ამას ადრეც ვხვდებოდი, მაგრამ ყუმი რომ ბნელს ნიშნავდა თურმე, ეს ყარაყუმის უდაბნო რომ გადავლახე, მხოლოდ მაშინ გავიგე.

ყარაყუმის უდაბნოს ერთფეროვნებიდან თანდათან ყაზახეთის ტრამალების ერთფეროვნებაში გადავინაცვლეთ და ხუთი დღე და ღამე მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა, ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის მთავარ ქალაქში, პეტროპავლოვსკში ჩავალწიეთ. იქ ჩვენმა ერთადერთმა მასპინძელმა, ჩია ტანის კაცმა, იურიმაც ადვილად გვიპოვა და, სატვირთო მანქანის ძარაზე მოკალათებულვებმა, როგორც იქნა, მშვიდობით ჩავალწიეთ მომავალი დისლოკაციის ადგილზე, მდინარე იშიმის პირას გაშენებულ პატარა დაბა იავლენკაში, თუმცა იავლენკას შინაურულად მხოლოდ მეორე დღეს ჩამოვართვით ხელი. იმ საღამოს კი დაბიდან თხუთმეტი წუთის სავალზე რაღაც უსახურ ერთსართულიან ყაზარმასთან მიგვიყვანა ჩვენმა მასპინძელმა. აქ უნდა გავვეშალა მომავალი ბანაკი. ყაზარმაში უნესრიგოდ მიმოფანტული რკინის ზამბარებიანი სანოლები, ლეიბების „შტაბელები“, თეთრად შეფეთილი კედლები, ცისფრად შეღებილი ფანჯრები, ალაგ-ალაგ ჩამსხვრეული მინებით და ბუზებისა და კოლოების ურიცხვი ლაშქარი დაგვხდა. კარგად დავათვალიერეთ ყველაფერი. დავსვი მერე ის ტანმორჩილი იური და, ბიჭების ჩამოსვლამდე, ყველა მოსაგვარებელი საქმე დეტალურად ჩამოვუნერე: ჩამტვრეული მინების ჩასმა, ბუზებისა და კოლოების განადგურება-განდეგნა, შორიხლოს სასადილოსათვის შენობის გამოძებნა, მედპუნქტისთვის ოთახი, ოცდაათი კაცისთვის თეთრეულის კომპლექტების მოტანა და კიდევ სხვა წვრილმან-წვრილმანი.

ცოტა ხანს კიდევ გავჩერდით მომავალ

ბანაკში, მივიხედ-მოვიხედეთ, მდინარე იშიმის ნაპირსაც ვესტუმრეთ და დაბაში ფეხით დავბრუნდით. ის ღამე იავლენკის მხოლოდ-შობილ სასტუმროში გავათენეთ. იმდენად ვიყავი ხუთი დღე-ღამის მგზავრობისგან გადაღლილი, ბალიშზე თავი დავდე თუ არა, მკვდარივით ჩამეძინა. გამთენიისას კი, ჯერ ისევ ძილბურანში მყოფს, ისეთი უცნაური და იდუმალი, ერთფეროვანი და მონოტონური გუგუნი ჩამესმა, ვერაფრით რომ ვერ მივხდი, რისი ხმა იყო, რადგან მანამდე მოსმენილსა და გაგონილს არაფერს არ ჰგავდა. ფილმებში მქონდა მხოლოდ მსგავსი რამ მოსმენილი. გმირი რომ რაღაც გამოუცნობი მოლოდინით აღსავსე და საშიშ გარემოში მოხვდება, სიმძაფრის გასაძლიერებლად იციან ხოლმე რეჟისორებმა მსგავსი იდუმალი ხმიანობის გამოყენება.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ავდექი, მოვწესრიგდი, ჩავიცვი და სასტუმროს ბუფეტში, უფრო სიტუაციის დასაზვერად, ვიდრე სასაუზმოდ წავედი, პირველი, რაც გავაკეთე, იმ გაუგებარი გაბმული გუგუნის წარმომავლობა ვკითხე ქალბატონ მეზუფეტეს, სასტუმროს ყველა კუთხე-კუნჭულიდან უღმობლად რომ ჟონავდა. მეზუფეტეს გაეცინა და მითხრა, მტრედები არიანო. ერთი და ორი მტრედის ლულუნი მანამდეც მქონდა მოსმენილი, მაგრამ ათი ათასობით მტრედის ერთდროული ლულუნი თუ მსგავს ეფექტს შექმნიდა, აბა ამას როგორ წარმოვიდგენდი და როგორ მივხვდებოდი.

ბუფეტის შემინულ დახლზე კი რამდენიმე ცალი მოხარშული კვერცხი და გახუნებული შპალერივით ფერდაკარგული რამდენიმე ნაჭერი ძეხვი იდო. საუზმეზე მაშინვე ხელი ავიღე და სანამ ბიჭებიც ადგებიან, გავალ და ბარემ დაბასაც დავზვერავ-მეთქი, – გავიფიქრე. არც დაბაში ხდებოდა დიდი ამბები. ერთ მოგრძო ქუჩაზე გამოვედი და მთელ დაბასაც პრაქტიკულად ამ ერთ ქუჩაზე მოეყარა თავი. იმ პერიოდის საბჭოთა დაბებისთვის ყველა სტანდარტული შენობა ამ ქუჩაზე იდგა. მორიგეობით მხვდებოდა თვალში წარწერები, აფთიაქი, გასტრონომი, მონკავშირი, ბანკი, საპარიკ-

მახერო, აბანო, უნივერსალი, ქუჩის ბოლოს ცისფრად შემოღობილი საცეკვაო მოედანი და მის მოპირდაპირედ რესტორნის ერთსართულიანი მრგვალი შენობა...

სასტუმროში რომ დავბრუნდი, ბიჭები იმ ლარიბული მენიუთიც კი მაღიანად საუზმობდნენ. საუზმის მერე ბანაკში წავედით და იქაურობის მონესრიგებას შევუდექით. ნაშუადღევს მე ჩანთას წამოვავლე ხელი, წავალ რამეს მოვიტან, ჭამაც ხომ გვინდა-მეთქი. ბიჭები კი ზენრებითა და პირსახოცებით შეიარაღდნენ და ბუზებსა და კოლოებზე მიიტანეს მძლავრი იერიში.

დაბისკენ რომ მივდიოდი, მტრედებისა და ყვავების რაოდენობამ ისევ გამაოცა. ამ ფრინველების შემოსევა იყო გარშემო. მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებ და მტრედებზე ერთ რამეს წინდანივე გეტყვით. იმ ზაფხულს რომელიღაც რაზმში წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა. ქორწილის გადახდა წინასწარვე ჰქონდათ ჩაფიქრებული, თუ ყაზახეთში ჩამოსვლის შემდეგ გადაწყვიტეს, ეს აღარ ვიცი, მაგრამ ქორწილი რომ მართლა ჩატარდა და თანაც ძალიან პომპეზურად, ამას წყალი არ გაუვა. მაშინვე სააგიტაციო თემად გადააქციეს, კომკავშირულ ქორწილად მონათლეს და უამრავი სტუმარიც მოიწვიეს. ჩვენი რაზმიდან მე და თამაზ ტყემალაძე დავესწარიით იმ ქორწილს და სწორედ იქ ვნახე, როგორ შემოაგორეს მაგიდებს შორის მოზრდილი ურიკა, რომელზედაც მთლიანად შემწვარი მტრედების ზვინი იდგა. თითო კაცზე თითო შემწვარი მტრედი, არადა ვიყავით ასე ხუთას კაცამდე.

ცნობისმოყვარეობის გამო ცოტა დავაგემოვნე კიდეცაც, მაგრამ, შემძლია თამამად გითხრათ, მსგავსი გამომშრალ-გამოჩერჩეტებული და გაუგებარი გემო არასოდეს გამესინჯა.

ბიჭებისთვის ჯერ გასტრონომში შევიძინე ზოგი რამ, მერე იქვე, ახლოს, კიდევე ერთ პროდუქტების პატარა მაღაზიასაც მივაგენი. რიგში ჩავდექი, ოთხი ბოთლი შამპანური ვიყიდე და ჩემს უკან მდგომი კაცების რისხვაც დავიმსახურე. მაგ კამ-

პოტს რატომ ყიდულობ, მაგ ფულით ხომ ქვეყნის წითელი პორტვინი მოგივიდოდაო. გამყიდველმა დაუცაცხანა, დაანებეთ ამ კაცს თავი თქვენსავით ლოთი კი არ არის, იცის, რასაც ყიდულობსო. შამპანურის ბოთლებს რომ ჩანთაში ვალაგებდი, იმდენად იყო დამტვერილი, დიდი მიხვედრა სულაც არ სჭირდებოდა, თაროზე შემოდგმის დღიდან რომ აღარავინ შეხებია. მე ვიყავი მისი პირველი და, ალბათ, უკანასკნელი მყიდველი. საყიდლებს რომ მოვრჩი, ბოლოს რესტორანშიც შევიხედე, ბარემ ხორცის ნაჭერსაც მოვახარშვინებ, თუ აქეთ და ბიჭებს წავეულებ, თან მეც რალაცას შევჭამ-მეთქი. ნასაუზმევი არ ვიყავი და გვარიანად მშოოდა. ვიკითხე და, ჩემდა გასაკვირად, ხორციც ჰქონდათ და სხვა ყველაფერიც, თანაც ხარისხიანი. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ იავლენკა ფერმებით იყო გარშემორტყმული და პრაქტიკულად ყოველდღე ერთი ძროხა და ან ხარი იკვლებოდა. ამიტომ იმ რესტორანშიც და საერთოდ ყველგან მუდმივად ახალი ხორცი ჰქონდათ, თან ძალიან იაფად. ისიც აღმოჩენა იყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობა რატომღაც საქონლის გულ-ღვიძლს არ სწყალობდა. მივდიოდი ხოლმე და ბიჭებისთვის პირდაპირ სასაკლაოდან მომქონდა ახლად ამოცლილი, ოხშივარადენილი გულ-ღვიძლი – კილო ოც კაპიკად.

ასე რომ, რესტორანში ხორცის მოზრდილი ნაჭერი მოსახარშად ქვაბში ჩავაგდებინე, თავად კი მაგიდას მივუჯექი, ერთი ულუფა „სალიანკა“ და ერთი ბოთლი ლიმონათი შევუკვეთე. ლიმონათი რომ მომიტანეს და ჭიქაში ჩამოვისხი, გვერდით მაგიდიდან ვიღაც კაცი წამოდგა, მოვიდა და რუსულად მკითხა, ქართველი ხარო?! კი, ქართველი ვარ-მეთქი. ჩემგან დასტური რომ მიიღო, რუსულიდან ქართულზე გადმოვიდა და იერზე გიცანიო, მითხრა. მეც ქართველი ვარ, აქ ვარ უკვე კაი ხანია, ლიმონათის ცეხი გავხსენი. ამ ლიმონათსაც მე ვასხამ, შენ რომ ჭიქაში გისხია და თხოვნა მაქვს ერთი, თუ ძმა ხარ, ნუ დალევ მაგას, დღეს ნუ დალევ და ხვალიდან

შენთვის ცალკე ჩამოვასხამთ, გინდა, აქ მოვიტან და დავტოვებ. მხოლოდ შენ გაგიხსნიან ხოლმე და გინდა, სადაც მეტყვი, იქ მოგართმევო.

გამელიმა. მადლობა გადაუხადა და ჩამოჯდომა შევთავაზე. ჩამომიჯდა კიდევაც და თან დაამატა, ოღონდ ცოტა ხნით, ცეხში უნდა მივბრუნდეთ.

ამ სიშორეზე როგორ ჩამოაღწიე-მეთქი, – ვეკითხები. ფულს გამოვეკიდეთ, – მე უბნება სიცილით. სადაც დავენიე და სადაც გამიჩერდა, მეც იქ დავსახლდი. ხოდა ვნამლავ ხალხს. ალბათ, სამ წელს კიდევ გავერდები, რაღაც თანხას მოვუყრი თავს და დავბრუნდები მერე საქართველოში. ჩემ გარდა, კიდევაც აქ ერთი, რაჭიდან, სამოცდაათ წელსაა გადაცილებული და კია ჯერ ჩიტივით. მაგარია ბესარიონი. აქვე, ახლოს, პატარა ფარდულში, სამწვადე აქვს გახსნილი. მწვადის გემო თუ გინდა გაიგო, მასთან უნდა მიხვიდე. მიგიყვანდი, მარა უჩემოდ მიხვიდეთ, სჯობს მოულოდნელად, უფრო გაუხარდება. აქვეა, აქედან რომ გახვალ, ხელმარჯვნივ, ქუჩის გაყოლებაზე. შენ, ალბათ, ყამირზე იქნები ჩამოსული. შარშანაც იყვნენ ბიჭები, სულ აგურს ითხოვდნენ მშენებლობისთვის. აგურის ქარხნის დირექტორი ჩემგან დავალებულია. ვეხმარები ზოგჯერ. ნახე, თუ დაგჭირდა, შენც ჩაგახუტებ. აგურით ურიგოდ მოგამარაგებსო. ამასობაში სალიანკაც მოიტანეს და ხორცსაც მალე გაგიზადებთო, მითხრეს. ეს ჩემი ახლადგაცნობილი ლიმონათის ჯოჯ ნამოდგა და ბარემ წავალ მეცო. ლიმონათს როგორც დაგპირდი, ამ სალამოსვე მოვიტან აქ, თქვენთვის. აბა შეხვედრამდეთ, – დაამატა და წავიდა.

იმ რაჭველ ბესარიონს მეორე დღეს, სალამოს მივადექით ყველა ერთად. გამხდარი, ჩია ტანის კაცი იყო და ფარდულში ციბრუტივით ტრიალებდა. მოკლე-მოკლე მავთულის შამფურებზე ჰქონდა ხორცი ასხმული და მწვადს მაყალზე წვავდა. იქვე, უზარმაზარ ალუმინის ვარცლში ხახვში, ძმარში და შავ პილპილში ცხვრის ხორცი ჰქონდა ჩაბასტურმებული. ირგვლივ ისე-

თი სურნელება იდგა, გზა სულ სხვა მხარეს რომ გქონოდა, ის მაცდური არომატი მაინც ფარდულს მიგაყენებდა. მავთულის შამფურების სიგრძე რომ შევათვალე-რე, მივხვდი რომ სამ-სამ შამფურს თავისუფლად გავუმკლავდებოდი და ჩვენკენ ზურგშექცევით რომ იდგა, მაშინ ვუთხარი ქართულად, თხუთმეტი მწვადი გვინდამეთქი. გაბადრული სახით, ცქვიტად შემოგვიტრიალდა. უჰ! ისე თქვენ აგაშენათ ღმერთმა, თქვენი ხმის გაგონებამ მე რომ გამახარა. შარშანს აქეთ ქართული აღარ გამიგონია. კია ვითომ ერთი, ლიმონათს ასხამს, ჩვენთანაც შემოაქვს, მარა რათ გინდა, სათოფეზე არ მეკარება. გამომიგზავნის, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვინმე ცეხის მუშას და მწვადი იქით მიაქვსო.

– თქვენ? ყამირზე ხომ? სტუდენტები ხომ? თქვენ გენაცვალოთ ბესარიონი. ისე თქვენმა ოჯახებმა იხაროს, მე რომ გამახარეთ. ახლავე, მწვადიც ახლავე იქნება, ოღონდ არა მგონია თხუთმეტი გეყოთ. იმისთანას მოგართმევთ, რომ თითებს ჩაატანთ. ახლავე გამოვიტან. ცალკე მაქვს კაი ხალხისთვის გადანახულიო. მოკლედ, დატრიალდა ბესარიონი, თან გაუჩერებლად გვესაუბრებოდა. ორმოცდაშვიდი წელიწადია აქეთ ვარ და ორმოცდაშვიდი წელია, ვითომ ყოველდღე მივდივარ აქიდან, მარა ხედავთ თქვენც, აგერ ამ ფარდულს ვერ გავცდი ჯერ. აწი რაღა დროისაა ამის მიტოვება, შევაბერდით ერთმანეთსო.

მწვადი კი მართლაც საოცრება იყო. მართლა პირში დნებოდა. იმ თხუთმეტს კიდევ თხუთმეტი დავუმატეთ და ფულის გადახდაზე რომ მიდგა საქმე, მაშინ კინალამ დავგხოცა ბესარიონ რაჭველმა – მაგი როგორ მაკადრეთო. ე ფარდული, სანამ აქ ხართ, ჩათვალეთ, თქვენია, როცა მოგინდებათ, მობრძანდით და გამახარეთო. ფულს რადგან არ გვართმევდა, ვერიდებოდი მის შეწუხებას და თითქმის აღარ მივდიოდი, შორიდან თუ მოვიკითხავდით ხოლმე. ერთი-ორჯერ მშენებლობაზე ჩვენი ადგილობრივი ზედამხედველი, იური მივიყვანე მხოლოდ და მწვადით გა-

ვუმასპინძლდი. ვიცოდი, რომ მომავალში, ჩვენგან შესრულებული სამუშაოების ნუსხის შედგენის დროს, მისი კეთილგანწყობა აუცილებლად დაგვჭირდებოდა. ამიტომ რესტორანშიც მიმყავდა ხანდახან, ჩვენი სასადილოს სტუმარი ხომ პრაქტიკულად ყოველდღე იყო.

ამასობაში ლიმონათის ჯომ, დაპირებისამებრ, აგურის ქარხნის დირექტორი გამაცნო და მას მერე მშენებლობაზე აგურის ნაკლებობა აღარასოდეს გვქონია, თუმცა, სანამ აგურის საჭიროებამდე მიდგებოდა საქმე, ჯერ იმ გიგანტური ფერმის ფუნ-

საკითხს. ჩვენ, სტუდენტები, საქართველოდან ამ სიშორეზე თქვენს დასახმარებლად ჩამოვედით, თქვენ კი არაფრით არ გვეხმარებით და ხელს არ გვინცობთ. იძულებული ვარ, საკავშირო პრესაში გამოვაქვეყნო ყველაფერი-მეთქი, – დავემუქრე მეურნეობის დირექტორს. ბიჭების ხელფასების გამო ვბუზღუნებდი ამდენს. ის ორი თვე თვალის დახამხამებაში გამოგვეცლებოდა ხელიდან და ანაზღაურების დრო რომ დადგებოდა, რა უნდა გადაეხადათ, როცა საძირკველს არ ვიყავით აცილებული.

ასე იყო თუ ისე, ჩემმა მუქარამ გაჭრა.



დამენტისთვის გათხრილი, პირდაპირი ტხრილი იყო ამოსავსები. იმ ტხრილში ქვები, ლოდები ან ხრეში უნდა ჩაგვეყარა და ზემოდან თხელი ბეტონის ხსნარი დაგვესხა, მაგრამ სად იყო ამდენი ქვა და ლოდი?! საითაც გინდა გაგეხედა, ქვა-ლორლი კი არა, მიწა რომ მიწაა, ისიც ძნელი საპოვნელი იყო. სადაც არ უნდა დაგერტყა ბარი, ყველგან მოწითალო ფერის სილა ამოდიოდა – ეგ იყო და ეგ. ჰოდა, ავტეხე ერთი ვაი-უშველებელი. ლამის პოლიტიკური დანაშაულის ქრილში გადავუძახე ლოდების

დამიბარა მეურნეობის დირექტორმა და ასეთი რამ შემომთავაზა: ჩვენი ბანაკიდან დაახლოებით სამასი კილომეტრის მოშორებით ყოფილა ლოდების კარიერი, ეგრეთ წოდებული ქვის სამტეხლო, რაღაც ძველი კატორღის მსგავსი, სადაც მთელი საბჭოთა კავშირიდან ერთად თავმოყრილ რეციდივისტ-პატიმრებს ამუშავებენ თურმე.

სამასი კილომეტრი სულაც არ იყო შორს. იქაური მასშტაბებით მთლად ყურის ძირად თუ არა, ახლოდ მაინც ითვლებოდა. ჰოდა, ვეუბნები: თუ ასე ახლოს გაქვთ კა-

რიერი, რაღას ელოდებით. მე შენ გეტყვი, ტრანსპორტი გყავთ საძებარი, გაუშვით ტრაქტორები და თვითმცლელები, დატვირთეთ და წამოიღეთ-მეთქი. არაა ასე ადვილად საქმეო, მეუბნება. მართალია, პატიმრები დილიდან დაღამებამდე მუშაობენ იქ და ლოდებს ამსხვრევენ, მაგრამ მანქანების დატვირთვის ვალდებულება არა აქვთ. ადგილზე კი, უსაფრთხოების გამო, სხვა არანაირი დასატვირთი ტექნიკაც არაა. ტრანსპორტს კი გავაგზავნი, მაგრამ ვინ დატვირთავს. გამოდის – ან პატიმრებს უნდა გადავუხადო ფული, ანდა ჩვენ თვითონ უნდა დავტვირთოთ. პირველი გამორიცხულია, მაგისტრის ფულს არავინ გამოგვიყოფს. დარჩა მეორე – ჩვენ თავად უნდა დავტვირთოთ. მე რომ მაგისტრის მუშახელი გამოვყო, გამოდის, იმათაც ფული უნდა გადავუხადო, რომლის არც უფლება მაქვს და, კაცმა რომ თქვას, არც ფული. დანარჩენი, გამჭრიახი კაცი ჩანხარ და გასაგებია, ალბათო, – მითხრა. ქვები გჭირდება?! კი ბატონო, აქვეა, ახლოს. რამდენსაც შეძლებთ, იმდენი წამოიღეთ. ტრანსპორტი გჭირდებათ?! კი ბატონო, მე მოგცემთ, რამდენიც გინდათ. დარჩა დატვირთვა, თუ თქვენი ბიჭები წავლენ და დატვირთავენ, ჩათვალეთ, რომ პრობლემა მოგვარებულიაო, – დაამთავრა, როგორც იქნა.

აბა, რა დიდი გამჭრიახობა სჭირდება მისი ჩანაფიქრის გაგებას. ყველაფერი ცხადზე-ცხადი იყო. რამე რომ მომხდარიყო და ჩვენთვის ხელის არშეწყობის გულისთვის ან ესაყვედურათ, ანდა სულაც დაესაჯათ, ამისგან წინასწარ იზღვევდა თავს. აგერ ბატონო, მე შევთავაზე და თვითონ თქვეს უარიო. იმას კი მივხვდი, რომ დიდი ვირეშმაკა მეჯდა წინ, მაგრამ დამატებით კიდევ რა მზაკვრობა ჰქონდა თურმე ჩაფიქრებული, ეს ცოტა მოგვიანებით შევიტყვე.

ვეუბნები, თქვენი შემოთავაზება გასაგებია, ოღონდ საბოლოო პასუხისთვის დრო მჭირდება, ხვალ შუადღისთვის გეტყვით-მეთქი ყველაფერს. ამაზე შევჯერდით და ბანაკში დავბრუნდი. იმავე საღამოს სასადილოში შევეკრიბე ბიჭები და

მოვუყევი ყველაფერი. სხვა შედეგს არც მოველოდი, მაგრამ მაინც ძალიან გამიხარდა, ბიჭებმა რომ უყოყმანოდ გადამწყვიტეს, წავიდეთ და დავტვირთოთო. არც ის დავინყნია, საგზალი და ბლომად წყალი რომ დავგჭირდებოდა. თან იმითაც დაინტერესდნენ, პატიმრებთან ურთიერთობის უფლება გვექნება თუ არაო. მაგა ყველაფერს ხვალ გავარკვევ, განსაკუთრებული რეჟიმის კოლონია ყოფილა და რაღაც შეზღუდვები, ბუნებრივია, იქნება-მეთქი.

მეორე დღეს მართლაც გავარკვეე ყველაფერი. ადგილობრივი მილიციის განყოფილებას ვესტუმრე და ბევრი რამ საინტერესოც შევიტყვე.

ყველას გსმენიათ, ალბათ, გურული ქალბატონების ერთი საყვარელი გამოთქმა, ქმარს რომ მიაძახებენ ხოლმე: ჯანდაბაში წასულხარო ან ჯანდაბამდე გზა გქონიაო, ანაც ვაი შენ და ჯანდაბაო. ეს ჯანდაბა სოფელი ყოფილა სპარსეთში, საცხოვრებლად უვარგისი, აუტანელი კლიმატით გამორჩეული. ხრიოკი, უსაშველო სიცხე, გამომშრალი ჰავა, შხამიანი ქვენარმავლებით სავსე. ჯანდაბაში წასული კაცი ხშირად ცოცხალი ვეღარ ბრუნდებოდა თურმე უკან, ეს გამოთქმაც ამიტომ გაჩენილა ქართულში, ვაი შენ და ჯანდაბამდის გზა გქონიაო...

როგორც მილიციის განყოფილებაში ამიხსნეს, ჩვენც შაბათს საღვაც, ჯანდაბის მსგავს თუ ჯანდაბაზე უარეს ადგილზე ვაპირებდით თურმე წასვლას – ტრამალებში ჩაკარგულ უკაცრიელ ადგილას, სადაც ქვის სამტეხლო ბუნებრივად შექმნილ ღრმულში, ზღვის დონეზე გაცილებით დაბლა მდებარეობდა. იქაც უსაშველო სიცხე, უსაშველოდ გამომშრალი ჰაერი და უსაშველო გვალვა იცოდა თურმე. წვიმა საერთოდ არ მოდისო, მითხრეს. ერთადერთი დადებითი, რაც იმ ქვის სამტეხლოზე წამოსცდათ, ასთმით დაავადებულთათვის არის მისწრება, რამდენიმე კვირაში ინკურნებიან, მაგრამ მხოლოდ თავზეხელალებული ენთუზიასტები თუ ახერხებენ იქ ჩასვლას და, საკუთარი რისკის, ფასად

რამდენიმე დღით დარჩენასო. ისე კი იმ სამტეხლოზე სამუდამო პატიმრობამისჯილი ხალხის და მათი ბადრაგის გარდა, ირგვლივ ასობით კილომეტრის რადიუსით სულიერის ჭაჭანება არააო. მოთმინებით მომიყვინენ ამ ყველაფერს და არც ის დავინწყებიათ, რამდენჯერმე ეთქვათ, პატიმრებთან ყოველგვარი სახის კონტაქტი კატეგორიულად აკრძალულია და, რომც მოინდომოთ კიდევაც, ბადრაგი ამის უფლებას მაინც არ მოგცემთო.

აი, ამისთანა ჯანდაბაში და რეციდივისტების გარემოცვაში უნდა წავსულიყავით შაბათს დილაუთენია. მანამდე ბიჭებსაც ძირფესვიანად მოუყევი ყველაფერი, რაც მილიციაში მითხრეს. ვერ გეტყვით, რომ რომელიმე მათგანს შიში ან ჭოჭმანი შევატყვე. ასე რომ, შაბათიც გათენდა და მისაბმელიანი ტრაქტორებისა და თვითმცლელების გრძელი ქარავანი დაიძრა ჯანდაბისკენ. მძღოლები მკაცრად გავაფრთხილე, მხოლოდ ერთ რიგად და ერთმანეთისგან თვალთახედვის მანძილზე უნდა გვევლო. ბიჭები ტრაქტორებისა და მანქანის კაბინებში გადავანაწილდით. ბატონი ჩია იური კი თავისი ძველი და ჟანგინი ჟიგულით მოგვდევდა ქარავნის ბოლოში. მეურნეობიდან, მის გარდა, არავინ გამოგვყოლია. ასე რომ, ყველაფერზე თავიდან ბოლომდე თავად ვიყავით პასუხისმგებელი.

როგორც იქნა, ჩავალწიეთ სამტეხლოში. ირგვლივ, ყველგან, კლდოვან ქანებს ჩამოტეხილი მონოლითები ეყარა, რომელსაც ყველა მხრიდან შავუნიფორმიანი პატიმრები შესეოდნენ და მძიმე უროებით ამტვრევდნენ. ის უზარმაზარი ღრმული მათ მიერ ჩამოტვრეული ლოდებით უწესრიგოდ იყო ამოვსებული. რომელიღაც ფანტასტიკური ფილმის კადრს ჰგავდა იქაურობა. ჩვენ რომ კარიერს მივაღებეთ, ბადრაგმა „ატბოიო“ დაიძახა და პატიმრებმაც მიშინვე დაყარეს უროები, ზემოთ, კლდოვან ფერდობებზე აინაცვლეს და ჩვენ დაგვიტემეს ასპარეზი. ჩვენებსაც აღარ დაუყოვნებიათ, სამ ნაწილად დაიყვნენ, სამი თვითმცლელი ერთდროულად მიაყენეს კარიერს და ერთდროულადვე დაიწყეს სამივეს

დატვირთვა. ლომებივით მუშაობდნენ. რა თქმა უნდა, მეც შევეურთდი და ასე გარძელდა შებინდებამდე. დროდადრო ხან სულის მოსათქმელად, ხან წასახემსებლად და ხანაც წყლის დასალევად თუ შევეჩრდებოდით. სალამომდე ოცდახუთი ძარა გავავსეთ, თხუთმეტი თვითმცლელი და ცხრა მისაბმელიანი ტრაქტორი. უკანასკნელი ლოდი რომ შევაგდეთ ბოლო მანქანაზე, პატიმრები ფეხზე წამოდგნენ და ბიჭები შექების ნიშნად ტაშით დააჯილდოვეს, მაგრები ხართო. ბიჭებიც ხელების აწევით მიესალმნენ და მადლობა გადაუხადეს. უკანა გზისთვის რომ გავემზადეთ გადაქანცულები, იური მოვიდა ჩემთან და დამგზავრება შემომთავაზა, რაღაც სალაპარაკო მაქვსო. უარი ვუთხარი. ბიჭებთან მეუხერხულეა, ისინი ტრაქტორით ვამგზავრო და მე მსუბუქი მანქანით ვიარო, თან ისედაც არ მინდოდა მასთან ერთად მგზავრობა, მთელი სამასი კილომეტრი რაზე უნდა მელაპარაკა. ადგა და ბიჭებს თვითონ უთხრა, თემურთან რაღაც საქმე მაქვს, დროებით რომ მოგტაცოთ, ხომ არ გენყინებათო. აბა რომელი ეტყოდა, გენყინებაო. მეც აღარ დამინცია ზედმეტი პრანჭვა-გრეხა, ჩავუჯექი მანქანაში და დავიძარით იავლენკისკენ. სამტეხლოს ღრმულიდან რომ ამოვედით და ტრამალეებზე გავივაკეთ, ვეუბნები, გისმენ, იური, ძვირფასო, მიდი, რა გაქვს სათქმელიმეთქი. სათქმელი არაფერი. იმიტომ გთხოვე ჩემთან ერთად წამოსვლა, რომ გზაში პატივი მინდა გცე. შენ უკვე იმდენჯერ დამპატიჟე, გადავწყიტე, დღეს მე გავიმასპინძლდეო. მერე ცალი ხელი სავარძელს მოხერხებულად გადაატარა და უკანა ჯიბიდან არყის ბოთლი ამოაძვრინა. ტანში გამცრა და გამაჟრჟოლა იმ იაფფასიანი არყის ბოთლის დანახვაზე. არ შემეძლო, ასე, მანქანაში, მამალი ლოთივით... თან არც ჭიქა, არც დასაყოლებელი. აშკარად არ მხიბლავდა უახლოესი მომავალი, რომ იტყვიან, მართლა ყელამდე ვიყავი მისი პატივისცემით, მაგრამ არყის დალევაზე ასე პირდაპირ და გადაჭრით რომ მეთქვა უარი, ვიცი, რომ ნორმალურად არც თვითონ ჩამთვლიდა და არც ისინი, რომლებსაც უეჭველად გოცებულნი მოუყვებოდა მერე

ჩემს ამ ანომალურ ქმედებას, ანუ არყის დაღვებაზე უარის თქმას. პრინციპში, ბატონი ჩია იური ჩემზე რას იფიქრებდა ან ვის რას ჩაუკაკლავდა, ეგ დიდად სულაც არ მალელებდა, მაგრამ აი, მის განაწყენებას და მასთან ურთიერთობის დაძაბვას კი ნალდად ვერიდებოდი. თუ რატომ, ისიც გასაგებად აგისხენით, მგონი. თანაც კაცმა მითხრა, სამაგიერო პატივი მინდა გცეო და მისგან ამ პატივისცემის ჩემთვის ყოვლად მიუღებელი ფორმის მიუხედავად, ზრდილობის გამო, მაინც უნდა გამოიმეხატა მადლიერება. ამის გამო დაღვებაზე მთლად უარის თქმის ნაცვლად, მხოლოდ ჭიქის არქონა მოვიმიზეზე, პირდაპირ ბოთლიდან არ მიყვარს დაღვებამეთქი. რას ამბობ, მაგას როგორ გაკადრებო, ჩემკენ გადმოიხარა, „ბარდაჩოკი“ გადმოხსნა და იქედან იმდროისთვის ტრადიციული, მოზრდილი თლილი ჭიქა გამოიღო, რატომღაც მალენკოვის ჭიქას რომ ეძახდნენ. შევხედე თუ არა, მაშინვე შევამჩნიე, ჭიქას რომ გამჭვირვალობა აშკარად აკლდა, ოღონდ იმას ველარ ვარკვევდი, ეს ჭუჭყის ბრალი იყო, თუ ახლადჩამონოლილი ბინდის.

ნიქარას ზღაპარი ხომ გახსოვთ, საყვარელი ხარის ქედზე შემომჯდარ ბიჭს ღორზე ამხედრებული დედინაცვალი რომ მოსდევს და ეწევა. გადააგდე სავარცხელიო, ნიქარა რომ ეტყვის ამ დროს. მეც იმ სავარცხელივით, ჯერ ჭიქა გადავაგდე, მაგრამ არ მიშველა და ვხედავ, რომ დანჯღრეულ ჟიგულზე ამხედრებული არაყი მაინც მენევა. ჰოდა, ვიფიქრე, სალესი ქვის გადაგდების დროც მოვიდა-მეთქი და ვეუბნები, ჭიქა კი გქონია, მაგრამ მე თქვენსავით ლუკმის დაყოლების გარეშე არყის დაღვებას მოუჩვეველი ვარ-მეთქი. ეგეც ვიცი და ეგეც გავითვალისწინეო. ამჯერად წინ გადაიხარა, სკამის ქვემოდან რალაც უხემ ქალაღდში შეფუთული ნივთი გამოიღო და მუხლებზე დამიღო. გავხსენი და ერთი ცალი აგურივით პური და ერთი ქილა „ტუშონკა“ შემრჩა ხელში. ვხედავ, ისევ ცუდ დღეში ვარ. არც სალესმა ქვამ მიშველა და ისევ მენევა არაყი. ის აღარ ვიცი, მე თვითონ გამახსენდა თუ ნიქარამ ჩამწურწულა. წყალი

ხომ დაგრჩა, წყალიც გადაასხიო. გადავასხი მეც წყალი, ბოლო იმედი და ვეუბნები: „ტუშონკა“ კი მიყვარს, მაგრამ ცივია და ცივი როგორ დავაყოლო-მეთქი.

ახლავეო, იურიმ. გააჩერა მანქანა, კაპოტი გახსნა, „ტუშონკა“ ძრავაში ჩადგა გასაცხელებლად და ეს უკანასკნელი იმედის წყალი ზუსტად წყალივით გადამიწურა. ხუთი წუთიც არ იყო გასული, ქილა ჩვრით ამოიღო, რამდენიმე ადგილზე აშკარად ტაოტიანი ატვიორკით ჩახვრიტა, მერე ერთ ადგილას ჩახია, პირი ამოუწია და „პლასკაგუბციტ“ ის ზედა მხარე საერთოდ ააგლიჯა. კაპოტი დახურა, თავლია ტუშონკა ზედ დაადგა და, ბედნიერი სახით, არყის ბოთლი ჭიქაში ჩააპირქევა. ზუსტად ნახევარი ბოთლი ჩაცალა შიგ და გალიცლიცებული ჭიქა მომანოდა. რალა უნდა მექნა, აღარც სავარცხელი მქონდა, აღარც სალესი ქვა, აღარც წყალი და აღარც რქამოტეხილი ნიქარა მყავდა მშველელად. არყისთვის ვიყავი მოკლედ განწირული. ამ ტრამალებს გაუმარჯოს-მეთქი, ვთქვი და სულმოუთქმელად გამოვცალე ის დევივით ჭიქა.

ღმერთმა იცის, იმ დღის შემდეგ რა დონისა და როგორი ხარისხის სუფრასთან აღარ მოვხვედრილვარ, ვისთან აღარ მიქეიფია, რომელ კონტინენტზე არ მისვამს სხვადასხვა ფერის უძვირფასესი ღვინოები, მაგრამ მათი უმეტესობა დღეს აღარც მახსოვს, იმდენად ღრმად არიან მახსოვრობის ოკეანეში ჩაძირულები.

სადღაც, ჩრდილოეთ ყაზახეთის ტრამალებში, მანქანის ძრავაში გაცხელებულმა „ტუშონკამ“ და ჭუჭყიანი ჭიქით იაფფასიანი არყის სმამ კი სამუდამოდ დამამახსოვრა თავი.

არც მეურნეობის დირექტორის მზაკვრობა დამვიწყებია. ჩვენი დატვირთული ტრაქტორებიდან და თვითმცლელებიდან ბანაკამდე მხოლოდ ნახევარმა რომ მოაღწია და მეორე ნახევარი კი მისი ბრძანებით სადღაც გააქრეს. სად, ის ველარ გავარკვიე და ვერც ის გავარკვიე, ჩია იური იყო თუ არა იმ მზაკვრობაში გარეული.

გაფერადებული დღე

ავანტიურა არასოდეს მსიბლავდა, მაგრამ ერთხელ იმის სურვილმა, რომ საყვარელი ადამიანისთვის სიხარული მეჩუქებინა, საკმაოდ მოზრდილი ავანტიურისაკენ მიბიძგა. გურიაში, ზღვის პირას, იქაური მეგობრების რჩევით და ხელშეწყობით, პატარა ნაკვეთი შევიძინე. შეძენას კიდევ გაუძღვებდა კაცი, მაგრამ წმინდა წყლის ავანტიურაში მაშინ გავეხლართე, იმ ნაკვეთზე რომ სააგარაკე სახლის მშენებლობა წამოვიწყე. არც პროექტი რომ არ გაქვს, არც ფული, არც მისი შოვნის იმედი და სახლის მშენებლობას მაინც წამოიწყებ, ავანტიურაა, აბა რა ჯანდაბაა. ერთადერთი, რაც უხვად გამაჩნდა, იყო სურვილი, რომ საყვარელი ადამიანი გამეხარებინა. ჰოდა, ზუსტად ამ თვალშეუდგამმა სურვილმა და მონდომებამ გაიტანა თავისი. თანდათან ყველაფერი დალაგდა და რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ დაუფარავი სიამაყით შეცქეროდი პატარა, ორსართულიანი სახლის კონტურებს ზღვის ნაპირიდან ოცდაათი ოდე მეტრში. ველარ ვითმენდი, ერთი სული მქონდა, როდის წამოვიყვანდი ნანას მის სანახავად. სწორედ მისთვის ვაშენებდი ამ სახლს და სწორედ მისთვის მსურდა სიხარულის ჩუქება, ოღონდ ეს სიხარული მოულოდნელი უნდა ყოფილიყო, ელდასავით. ამიტომ არაფერი იცოდა ჯერ. სახლის მთლად დამთავრებამდე, ალბათ, ვერ გავძლებდი, მაგრამ გადახურვამდე და ოთახების გაჩენამდეც არ მინდოდა საიდუმლო მშენებლობის გამხელა. ისიც უნდა ვალიარო, თმენა ძალიან მიჭირდა, მაგრამ მაინც ვაჟკაცურად გავუძელი და, როგორც კი სახლი მარსელის წითელი კრამიტით გადაიხურა და ინტერიერიც შესახედავად მეტნაკლებად ასატანი გახდა, მოვიკიდე ნანას ხელი, გურიაში რალაც საქმე მოვიმიზეზე, ჩავისვი მანქანაში და გავწიე ზღვისკენ.

ზღვის პირას რომ გავედით, სალამო იყო უკვე, მაგრამ მზე ჯერ კიდევ ცაზე იყო და ჰორიზონტზე ღრუბლებს დამალბანას ეთამაშებოდა. თვითონ ღრუბლები

კი ისე იყვნენ ანითლებული, გეგონებოდა, რალაცის რცხენითაო. მთავარი გზიდან ვინრო მოხრეშილ გზაზე რომ გადავუხვიე, სად მივდივართო, მაშინ მკითხა ნანამ.

ამას წინათ ვიყავი აქეთ. ზედ ნაპირთან, ფიჭვებში შემალულ პატარა მშენებარე სახლს გადავანყდი. ადგილიც მომეწონა, გარემოც, თვითონ სახლიც და მინდა შენც შეგახედო, ვითომ ექსკურსიაზე ვართ-მეთქი. მალევე გავედით ზღვის ნაპირას, დაბეკნილ სილაზე მარცხნივ მოვუხვიე და ზედ სახლის წინ გავაჩერე მანქანა. ირგვლივ არავინ იყო. მშენებლებიც წინასწარ გავაფრთხილე, არ დამხვდეთ-მეთქი. მხოლოდ ნიავე უბერავდა, მაგრამ ფიჭვების წინებს შრიალის თავი არ ჰქონდათ და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ ჩვენი საუბარი და ზღვის ძალაგამოცლილი და ჩამქრალი ტალღების შრიალი არღვევდა. ჯერ გარედან დავათვალიერეთ, მერე ვუთხარი, წამო, შიგნითაც შევიდეთ-მეთქი. – უხერხულიაო, ნანამ. ვინმემ არ მოგვისწროსო. ვინ უნდა მოგვისწროს, ნანა, გაიხედ-გამოიხედე, გეგონება, უკაცრიელ კუნძულზე ვართ-მეთქი. შემომყვა მერე და ოთახების თვალიერება დაიწყო. შიდა კიბით ზემოთაც ავიდა და იქიდანვე მითხრა, მომწონს, ყველაფერი კარგად აქვს მოფიქრებული ამის პატრონს. ნეტა ოდესმე ჩვენც თუ გვექნება ასეთი, თუნდაც ამაზე პატარა, ოღონდ აუცილებლად ზღვის პირას, როგორც ეს სახლია. იცი შენ, ოცნებად მაქვს გადაქცეულიო...

ზუსტად მაშინ ვუთხარი – ვიცი, რომ შენი ოცნება ზღვისპირა სახლია, ჰოდა, აგერაა, შენს ოცნებას ათვალიერებ ახლამეთქი. თან ვატყობ, ამ სიტყვებზე თავად ისე ავლელდი, ტირილი მომიწდა. მე ვაშენებ – გავაგრძელებ. აქამდე გიმალავდი, მინდოდა უცებ გამეხარებინე-მეთქი.

დაეჭვებული მიყურებს. კარგი, გეყოფა ხუმრობაო, მითხრა მერე. მართლა რომ დავიჯერო და მართლა რომ გამიხარდეს, რას შვრები მერე. გინდა ხომ ძველებურად დაიწყო – აგაგდე თუ არაო. იმ ნაქურდალი ჩემოდნების არ იყოს, კინალამ რომ გადამრიეო...

იმ ჩემოდნების ამბავი კი ასე იყო. ხელის

მონერის წინადლით ვუთხარი, სანამ ხელს მოვანერო, სინდისი არ მაძლევს უფლებას, ერთი რამ არ გაგიმხილო. პროფესიონალი ქურდი ვარ, ხვალამდე დრო კიდევ გაქვს, კარგად აწონ-დანონე, გინდა ასეთ კაცთან ცხოვრება თუ არა და ხვალ დილით მითხარი პასუხი-მეთქი.

რა თქმა უნდა, არ დაიჯერა და გეყოფა მაიმუნობაო, – მითხრა, თუმცა არც მე ვაპირებდი ასე ადვილად დანებებას. ორი ძველებური ჩემოდანი ჰქონდა ნათესავს ჩემთან დროებით დატოვებული. ბინას ეძებდა, დავიჭირავებ თუ არა, ნავილებო, მითხრა. სარდაფში მქონდა ორივე ჩატანილი. ჰოდა, ჩავიყვანე ნანა, მის თვალწინ გავხსენი ორივე. რალაც არეულ-დარეული ნივთები ეყარა შიგ, მართლა ნაქურდალს ჰგავდა და ვეუბნები: აი, ეს ყველაფერი, ბოლო ბინა რომ გავქურდე, იქიდან მაქვს ნამოლებული-მეთქი. მაშინ კი დაიჯერა და ისეთი ტირილი დაიწყო, თავ-ბედს ვინყევლიდი, ეს რა სისულელე ჩავიდინე-მეთქი. ძლივს დავამშვიდე და ძლივს დავაჯერე, რომ ვხუმრობდი და ის ორი ჩემოდანი სინამდვილეში ნათესავს ჰქონდა რამდენიმე დღით დატოვებული. აი, ეს ამბავი გაიხსენა ნანამ. მე კი დავუძახე: ჩამო, ჩამო-მეთქი. ჩავიხუტე მერე და ვეუბნები: – არ ვხუმრობ, სულელო, მართლა შენია ეს ყველაფერი, აქაურობა. შენთვის ვაშენებ, ჩვენი სიყვარულისთვის ვაშენებ. განა ასეთ რამეზე ხუმრობა შეიძლება?! იცი, როგორ მიჭირდა, ამდენ ხანს რომ გიმაღავდი და არაფერს გეუბნებოდი?! მაგრამ მაინც გავუძელი, მაინც შევძელი. აი, ამ წუთისთვის შევძელი. ხომ გითხარი, ერთბაშად მინდოდა გამეხარებინე... მისმინა, მისმინა ნანამ და მერე ზუსტად ისევე ამოუჯდა გული და ზუსტად ისეთივე ტირილი დაიწყო, როგორც ოდესლაც იქ, სარდაფში, ჩემოდნებთან, ოღონდ ის იყო, ეს ორი ტირილი მხოლოდ ფორმით ჰგავდა ერთმანეთს, შინაარსით კი იმდენად განსხვავდებოდა, რომ ამჯერად სულაც აღარ მიცდია მისი დანყნარება. მხოლოდ ჩახუტებული მყავდა და ვიცოდი, რომ მალე თავისით დამშვიდდებოდა.

შეიძლება, უცნაურადაც მოგეჩვენოთ,

მაგრამ იმ სახლში რომელ წელს გავათიეთ პირველი ღამე, აღარ მახსოვს. მხოლოდ ის მახსოვს რატომღაც, 14 აგვისტო რომ იყო და ძალიან ცხელოდა. დანოლის წინ ნანამ ნაჯახი შემოიტანა ოთახში და სანოლთან, იატაკზე დადო. გარემოს უდაბურობის განცდა ამინებდა. ახლომახლო არცერთი სახლი არ იდგა იმ დროს. ასე ვთქვათ, პირველი მერცხლები ვიყავით. ხომ გახსოვთ ასეთი გამოთქმა – „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“. ამ ნათქვამის მიმდევარი მეც ვიყავი, მაგრამ თვალის სინათლედ კი არა, თვალის მოსაკრავადაც არავინ იყო ირგვლივ. დილით ნანას ვეხუმრე, წუხელ ადგომა მინდოდა, მაგრამ შენი ნაჯახი გამახსენდა და სასწრაფოდ გადავიფიქრე, ვაითუ სიბნელეში უცხოდ მოგჩვენებოდი-მეთქი. დილაადრიან აივანზე რომ გავედი და ზღვას გადავხედე, სიმარტოვის ისეთი მძაფრი განცდა დამეუფლა, რომ თავი რობინზონ კრუზო მეგონა და ნანას გავძახე: ეი, პარასკევა, ადე დროზე და ყავა დავლიოთ-მეთქი. – ახლავე, რობინზონო, – ამყვა ხუმრობაში.

მერე დაიწყო დიდი გაფერადების დღეები. ფოთის ბაზარში წამიყვანეო, – მითხრა. იქ სხვადასხვა ფერის საღებავები შეიძინა და, სახლში თუკი რაიმეს შეღებვა შეიძლებოდა, ყველაფერი გააფერადა. რიკოთის უღელტეხილზე ნაყიდი გოდორი და კალათა, დეკორატიული გიდელი. თიხის ერთი ქოთანის ვერცხლისფრად შეღება, მეორე – ოქროსფრად. ბამბუკის პატარა კიბე მქონდა სხვენზე ასასვლელად, ის წითლად შეღება. აივნის მოაჯირს ქვის რიკულები მორჩა, ისინიც სხვადასხვაფრად შეღება და ფანჯრის რაფების ქვემოთ ოთახში ჩამოამწკრივა. რამდენიმე დღის შემდეგ სახლს ველარ იცნობდი, ისე იყო ყველაფერი გაფერადებული.

მერე მიმატოვა ნანამ. იმქვეყნად გადასახლდა. უიმისოდ სახლი ისევ ფერადი იყო, მაგრამ ცხოვრება გახდა შავ-თეთრი. ზაფხულში დამტოვა, ივლისის ბოლოს. ზუსტად იმ დროს, როცა, წესით, იქ უნდა ვყოფილიყავით ერთად, იმ ზღვისპირა, ფერად სახლში. ნაცვლად ამისა, თბილისის ერთ-ერთი

კლინიკიდან გამიფრინდა ჩემი ფერადი ნანა და მეც კარგა ხანს უაზროდ დავბორიალობდი შავ-თეთრად ქცეულ სამყაროში.

ახალ წელს ნანასთან ერთად შევხვდი ლამის სასაფლაოზე. ვიჯექი ასე ეულად მის საფლავთან და ვესაუბრებოდი. მანქანაში კი უკვე ყველაფერი მენყო, კაცს რაც რამდენიმე დღე დასჭირდებოდა. ჰოდა, სასაფლაოდან პირდაპირ ნანას გაფერადებულ და ობლად მიტოვებულ სახლში წავედი და გამთენიისას ზღვასთან ვიყავი უკვე. ზამთრის უკაცრიელ სანაპიროს სულაც არ ჰქონდა საახალწლო განწყობა. ჩემსავით მიტოვებულად და სევდიანად გამოიყურებოდა. სახლში რომ შევედი, ფერადი სიცივე შემომეგება და პირველად სწორედ მაშინ დამეუფლა ის განცდა, რომელიც მერე და მერე ვერაფრით ვეღარ მოვიცილე. შემეზიზნა და შემძულდა იქაურობა. სიყვარულით და სიყვარულისთვის აშენებულმა სახლმა სიყვარული დაკარგა. ვერც იქ ვეღარ გავძელი, გამოვიხურე კარი, ცოტა ხანს მანქანაშივე წაფუძინე და წამოვედი. მალე გავყიდე კიდევაც იქაურობა და მხოლოდ ნანას გაფერადებული ნივთები წამოვიღე სამახსოვროდ.

4 აპრილიც მალე მოვიდა. ნანას დაბადების დღე, პირველად მის გარეშე. საახალწლოდ ყველას დავემალე და მარტოყოფნაში ვეძებდი შევბას, მაგრამ ნანას დაბადების დღეზე, პირიქით, მარტოყოფნის მეშინოდა. სამარხვო სუფრა გავშალე იმ ბინაში, სადაც მე და ნანამ ვეღარ მოვასწარით ერთად ცხოვრება და მისი თექვსმეტი მეგობარი მოვიპატიჟე, თექვსმეტი ექიმი ქალბატონი, ნანას კოლეგები, მის სასთუმალთან რომ ათენებდნენ ღამეებს მორიგეობით. თამადად დავდექი. მინდოდა, ნანას თავდადებული მეგობრებისთვის ერთი ხალისიანი დღე მეჩუქებინა, მაგრამ ყოველ ნათქვამ სიტყვაში მაინც ტკივილი, დიდი გულდანწყვეტა და უსაშველო მონატრება იყო ჩაბუდებული. ჰოდა, ის დღეც რომ მორიგი გლოვის დღედ არ ქცეულიყო, ავდექი და ნანასთან გატარებული წლებიდან თუკი რამ ხალისიანი და მხიარული მახსოვდა, ყველაფრის მოყოლა

დავიწყე. თითქოს ნანაც იქვე, ჩვენთან ერთად იყო და თითქოს თავის მეგობრების სტუმრობით თვითონაც ხარობდა.

პირველად ცემენტის ამბავი მოვყევი.

ახალი შეუღლებულები ვართ მე და ნანა. ის დროა, როცა თბილისში ყიდვით ვერაფერს იყიდდი, ყველაფერი უნდა გეშოვა. ნანას მამა და ჩემი ძვირფასი სიმამრი ნიკალაევიჩი, ანუ მამია კობიძე თბილისის ერთ-ერთი რაიონის კეთილმონყობის სამსახურის უფროსი იყო იმ დროს. მეგობარმა მთხოვა, ხუთი შეკვრა ცემენტი მჭირდება და იქნებ შენმა სიმამრმა გამიხერხოსო. მეგობარს უარი ვერ ვუთხარი, მაგრამ მამიასთვის თხოვნაც მომერიდა და ნანას ვთხოვე, უთხარი მამაშენს, ეგება ხუთი შეკვრა ცემენტი ჩემს მეგობარს აჩუქოს-მეთქი. კარგი, ვეტყვიო, დამპირდა. მისიანებთან გადავიდა სალამოს და სამსახურიდან მოსულ მამიას პირდაპირ შემოსასვლელშივე ეცა – თემურის ცემენტი სჭირდება და იცოდე, უარი არ უთხრაო. სიძეს ცემენტზე უარს როგორ ვეტყვიო, – გაუხარდა თურმე მამიას და თან, ბუნებრივია, უკითხავს, რამდენი უნდაო. აი, აქ მოხდა თუ მოხდა. რამდენი და თხუთმეტი ტონაო. – რამდენიო?! – გამტერებულა მამია, წარმომიდგენიათ, რა დაემართებოდა? ნანა მიყვებოდა მერე, ნერვიულობისაგან პირი ისე გაუშრა, ნერწყვი ვეღარ გადაყლაპაო. – კი მადრამ, რად უნდა ამდენი ცემენტი, სპორტის სასახლეს აშენებსო?! – უკითხავს. ნანა კი მიმხვდარა, ეტყობა, რაღაც კარგად ვერ ვთქვიო და სიტუაციის გამოსწორებას შეეცადა თურმე: – არა, არა, მამა, შემეშალა, თხუთმეტი კი არა ხუთი ტონაო. ათი ტონა ცემენტი უცებ მოაკლო და ვითომ დაამშვიდა მამამისი, თუმცა სალამოს წამოსაყვანად რომ მივაკითხე, ნიკალაევიჩის დამშვიდებისა არაფერი ეტყობოდა. მორიდებით და დაეჭვებით მკითხა, ცემენტი გდომებია და გამარკვევე ერთი, თუ კაცი ხარ, რამდენი გინდაო. – ხუთი შეკვრა-მეთქი, რომ ვუთხარი, ამოისუნთქა კაცმა. ოჰ, ნანა, ნანა, არ გადამიყვანა კაცი ჭკუიდანო?!

როგორ გადააქცია ნანამ სულ რაღაც 250 კილო ცემენტი 15 ტონად, მაგი რომც გეკითხათ, მაინც ვერასოდეს ახსნიდა, თუმ-

ცა ჩემთვის ხომ ამას არავითარი ახსნა არ სჭირდებოდა. უბრალოდ ნანა იყო და იმიტომ.

აი, ჯერ ეს ამბავი მოგუყუევი ქალბატონებს და მერე კატის ისტორიებზე გადავდი.

ჩვენმა დათომ, სანამ საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდოდა, ერთ მშვენიერ დღეს სახლში კნუტი მოგვიყვანა და სახელად „ფიბი“ დაარქვა. იმხანად, მგონი, ახალი ნაკითხული ჰქონდა ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“. იმ მოთხრობის გმირის, ჰოლდენ კოლფილდის დას ერქვა ფიბი-მეთქი. დათომ მალევე დატოვა საქართველო და მე და ნანას კი სულ რამდენიმე თვეში კნუტის ნაცვლად მოზრდილი კატა შეგვჩა ხელში. თავიდან ნანაც ფიბის ეძახდა, მაგრამ მერე, ცემენტისა არ იყოს, ეს ფიბი როგორ გახდა გუცი, მაგის ახსნაც, ალბათ, მხოლოდ ნანას თუ შეეძლო.

ასე იყო თუ ისე, მომიჯდა ერთ მშვენიერ დღეს გვერდით და შემომაპარა, მალე ზღვაზე მოგვინევს წასვლა. გუცის აქ ხომ ვერ დავტოვებთ, თან უნდა წავიყვანოთ. აქ კია სულ სახლში გამოკეტილი, მაგრამ იქაც ხომ ვერ გამოვკეტავთ. გარეთ კი გადაეყრება სხვა კატებს, დაორსულდება და დაყრის კნუტებს. წინასწარ გაფრთხილებ, მერე მე იმ კნუტებს ვედარაფერს მოგუხერხებ. გამოორიცხულია გადაყრა, დახრჩობა და რალაც ეგეთები, გეყოლება ყველა სახლში. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა გუცის სტერილიზაცია გავუკეთოთ. გავუკეთოთ მერე, რად უნდოდა ამას ამხელა შესავალი; შენ ისიც გეცოდინება უკვე, სად უნდა მივიყვანოთ-მეთქი. რა თქმა უნდა, ვიცი. სადაც აცრაზე დამყავს, სტერილიზაციასაც იქვე გაუკეთებენო.

ჩავსვით ერთ დღეს გუცი გალიაში და წავიყვანეთ საოპერაციოდ. ყოფილ კამოს ქუჩაზე იყო ვეტერინარული კლინიკა. ზედ კლინიკის წინ გავაჩერე მანქანა და ვეუბნები ნანას: – მიდი, შენ შედი, მე აქ, მანქანაში დაგელოდები, იქ რალაც გადასახდელი იქნება, ალბათ, ბარემ ეგეც გაარკვიე და მითხარი-მეთქი. – კარგიო, გადავიდა მანქანიდან და გალიაც თან გაიყოლა. ცოტა ხანში უკანვე მობრუნდა, გაღებულ ფანჯარასთან

მომადგა და შენუხებული სახით მეუბნება: – წარმოგიდგენია, თემური?! გუცი რომ კაცი ყოფილიყო, მაშინ მისი დაკოდეა სულ ხუთი ლარი დაჯდებოდაო, მაგრამ ქალია და სტერილიზაცია თურმე ორმოცდაათი ლარი ღირს... რა ვქნათო, – მეკითხება.

– რა ვიცი, ნანა, რა ვქნათ, შენ თუ ოჯახის ბიუჯეტს ასე უფრთხილდები, მიდი, გუცი გამოიყვანე და გუცის ნაცვლად მე შევალ-მეთქი, – ვუთხარი. იცინა, მაგრამ რა იცინა. ასე გავამხიარულე მოკლედ, ნანკა, ორმოცდაათი ლარიც მივეცი, რალა თქმა უნდა და გუცის შთამომავლობასაც წყალი გადავუნურე.

ჩავედით ამასობაში გურიაში. პირველივე დღეს ეზოში მოსეირნე ამ ჩვენს სტერილიზებულ გუცის ხვალი კატის ნაცვლად მოზრდილი ნაგაზი გამოეკიდა. გუცის იმდენად შეეშინდა, რომ თავქუდმოგლეჯილი გავარდა სადღაც და მორჩა. იმ დღიდან აღარც გამოჩენილა. უნდა გენახათ, ნანა რა დღეში ჩავარდა. ტყე-ტყე დადიოდა და ეძებდა. ხან მომტირალი ხმით უხმობდა, ხანაც მოფერებით, მაგრამ ამაოდ, გუცი არსად ჩანდა. მე ვანყნარებდი და ვუხსნიდი, კატებმა ასე იციან, მით უმეტეს შეშინებულზე, დაბრუნებით კი აუცილებლად დაბრუნდება-მეთქი. როდის, თემური, როდის, ცხრა დღეა უკვე გასული, რაც გაქრა, წარმოგიდგენიაო?! ნანა, ცხრა დღე შენთვისაა, გასული, თორემ შენ ფიქრობ, კატამაც იცის დღეების თვლა-მეთქი?! ვამშვიდებ ისევ, იქნება დღეების თვლა მართლაც ასწავლე და მე მიმალავ-მეთქი. ვცდილობ, ცოტათი მაინც გავამხიარულო. ამაზე ვითომ ოდნავ გაიღიმა, მაგრამ დიდი არაფერი, ცხვირპირი მაინც ჩამოსტიროდა.

ერთ საღამოს აივანზე ვარ გამოსული, თვითონ ოთახში რალაცას აკეთებს, რამდენჯერმე დავუძახე, მინდოდა მეთქვა, მაცივარში ნაბელლავი დევს და გამომიტანე-მეთქი. ვეძახე, ვეძახე, მაგრამ გაგიგონია?! ვერაფრით ვერ გავაგონე, მერე ავდექი და კატასავით დავიკნავლე. უნდა გენახათ, როგორ ტყვიასავით გამოვარდა. მე რომ გამეცინა, მერე კი მიხვდა ჩემს ოინბაზობას და

მუშტები დამიშინა, მე კიდევ ეგ მინდაო?!

გუცი კი მართლა დაბრუნდა. ნანას გათვლები თუ სწორი იყო, მეათე დღეს დილაადრიან გამოჩნდა. სახლის წინ, ფანჩატურში ვიჯექი, ჩუმად შემოიპარა, ტრადიციულად ფეხზე გამეხახუნა და ძალაგამოცლილი ხმით ნაიკნავლა, „დილა მშვიდობისაო“. ამდენი დღის ნაშიმშილევი სულმთლად გალუულიყო.

ეს გუცის ისტორია რომ დავამთავრე, მერე ისიც გავიხსენე, ერთ-ერთ წვეულებაზე რომ ცოცხალი გადავანოდე და ხმამალლა რომ მისაყვედურა, თემურ, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ცოცხალს არ ვჭამ, რით ვერ დაიმახსოვრე ამდენი ხანიო... ისე დამანამუსა, თითქოს ერთი თვის წინ ხუთი შეკვრა ცემენტი მან კი არა, მე გადავაქციე თხუთმეტ ტონად.

– ნანა, შენ თუ ცოცხალს არ ჭამ, მაშინ მე რას მერჩი-მეთქი, – ხმამალლა ვუპასუხე. ამაზე თვითონაც ბევრი იცინა სუფრის სხვა წევრებთან ერთად და მერე ხშირად უყვარდა ამ ისტორიის მოყოლა, ასე ვუთხარი და ასე მიპასუხაო.

ამ ცოცხალთან დაკავშირებით ერთი ამბავიც გამახსენდა და ბარემ იმასაც მოგიყვებით.

საკმაოდ წამოჩიტილი დილა იყო, მაგრამ ძილისგან თავის დაღწევას არ ვცდილობდი. უქმე დღე იყო და ვნებვირობ ჩემთვის სანოლში. ნანა კარგა ხნის ამდგარია და დროდადრო ყურსმირვეული ხმაურით ვხვდები, რომ სამზარეულოში ჩალიჩობს რალაცას. ცოტა ხნის შემდეგ კი ისეთმა მადის აღმძვრელმა არომატმა შემიღიტინა ნესტოებში, რომ ველარ მოვითმინე და მაშინვე წამოვხტი. აშკარად მოხარული ხორცის სუნის იყო, ათას სხვა სუნში რომ გამოვარჩევდი. იმდენად მხიბლავდა ეს არომატი, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა, მშიერი ვიყავი თუ მაძლარი, მაშინვე იმ ხორცის დაჭაშნიკების სურვილი მიჩნდებოდა, ამიტომ წამოვხტი და სამზარეულოსკენ წავედი.

საძინებლიდან გავედი თუ არა, ნანაც მაშინვე დავინახე. ხელში ლანგარი უჭირავს და ლანგარზე ახალ მოხარულ დედალს

ორთქლი ასდის. ჯერ ვიფიქრე, ჩემთან მოაქვს-მეთქი. გამიკვირდა კიდევაც, ამ დილაადრიან მთელი დედალი რად მინდოდა-მეთქი. თურმე სადა ხარ. ერთი კი შემომხედა, მერე სადარბაზოს კარი გამოალო და მოხარულ დედლიანად სადღაც წავიდა. წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა?!

– რას შვები, სად მიხვალ და სად მიგვაქვს ეს დედალი-მეთქი, – იმხელა ვიყვირე, ის ლანგარი თავის დედლიანად ლამის ხელიდან გაუვარდა. სადარბაზოში მეც რომ გავედი, მეუბნება, – რა გაღრიალებს, გამისკდა გული, აგერ მეზობელთან შევდივარო.

ის ჩვენი მეზობლები ერთი კვირით სადღაც წასულიყვნენ, ძალლი კი სახლში დაეტოვებინათ და ნანასთვის უთხოვიათ, ხანდახან შეხედო. თან შვიდი დედალი დაუტოვებიათ, ყოველდღე თითო დედალი მოუხარშე და შეუტანო. ნანას იმ ძალლთანაც დიდი მეგობრობა აკავშირებდა, ისევე უყვარდა, როგორც ნებისმიერი ცხოველი, ჩემი ჩათვლით. ამის გამო სთხოვეს სწორედ მას და არა რომელიმე სხვა მეზობელს.

როცა ეს ყველაფერი ამიხსნა, მერე კი დავწყნარდი, მაგრამ მანამდე ხომ ჩემი დამემართა. როგორი სანახავია, დილით, რომ ადგები და დაინახავ, როგორ მიდის შენი მეუღლე სადღაც მოხარული დედლით ხელში.

მეოთხე თუ მეხუთე დღეს კი მეუბნება, იცი, თემური, საოცრება ხდება. მე კი ვუხარშავ ყოველ დილით დედალს და შემაქვს, მაგრამ ძალლი ეტყობა, ისე განიცდის პატრონების წასვლას, რომ არც ერთისთვის პირი არ დაუკარებიაო. ამან ჩემზედაც იმოქმედა, ბუნებრივია, მაგრამ მაინც ვეხუმრე, – ჰოდა, თუ ასეა, დანარჩენს ნულარ შეუტან, მოხარულ და მე შევჭამ-მეთქი. გაგიჟდი, მაგას როგორ ვიზამო?! მეზობელი რომ დაბრუნდა, შვიდივე დედალი ხელუხლებლად დახვდათ იატაკზე, ლოჯიაში. მე კი ავი ძალლის ანდაზა ნანაზე გადავაკეთე, „ავმა ნანამ დედალი არც ძალლს აჭამა და არც ქმარსო“. ამაზეც ძალიან იხალისა.

ერთი ასეთი ამოჩემებაც ჰქონდა. სადმე რომ მივდიოდი, სულ წვრილმან დეტალებში რომ მქონოდა ყველაფერი ახსნილი, სად

მივდიოდი და რატომ, სახლიდან გასვლის წინ, კარებთან აუცილებლად მკითხავდა: – როდის მოხვალ, თემურ?! თავიდან არაფერი, რაღაცას ვპასუხობდი ხოლმე, უფრო ხშირად იუმორით, მაგრამ მერე და მერე ეს კითხვა უკვე მალიზიანებდა. ავუსხენი კიდევაც რამდენჯერმე, არ გინდა, ნუ მეკითხები-მეთქი. მერე ვიყვირე, ვიჩხუბე, ვთხოვე, შევეხვეწე... გაგიგონია?! მაინც მეკითხებოდა სახლიდან ყოველი გასვლის წინ: „როდის მოხვალ, თემური?!“


არაფერმა რომ არ გაჭრა, ავდექი და ერთი მოთხრობა უნდა მოგიყვე-მეთქი, ვუთხარი. როგორც შენ გაქვს ამოჩემებული და სახლიდან გასვლის წინ ყოველთვის მეკითხები, როდის მოხვალ, თემურო, იმ მოთხრობაში პირიქით, ქმარი რომ სახლში მოვიდოდა, ცოლი აუცილებლად ეკითხებოდა, სად იყავი, ალექს?! იმ ქმარმაც ათი ათასჯერ სთხოვა, გემუდარები, ნუ მეკითხები ამას შემოსვლისთანავე, მაცალე შინ შემოსვლა, მოშინაურება და მერე ყოველგვარი შეკითხვის გარეშე მე თვითონ მოგიყვები ყველაფერს, სად ვიყავი და რას ვაკეთებდიო. – მერეო?! რა ქნა, მაინც ეკითხებოდაო?! – დაინტერესდა ნანა. – შენ როგორ გგონია, დაანებებდა თავს-მეთქი?! – შევუბრუნე კითხვა. – არა მგონიაო, მითხრა. – მართალი ხარ,

არაფრით არ მოიშალა იმ ქალმაც შენსავით-მეთქი. ერთხელაც, კიდევ რომ ჰკითხა, გადაირია ის კაცი და საერთოდ გაიქცა სახლიდან. გაიქცა და სრული თორმეტი წელიწადი სახლისკენ აღარ გაუხედავს. თორმეტი წლის მერე კი ისე მოენატრა ოჯახი, ადგა და დაბრუნდა. კარი ცოლმა გაუღო, სიხარულისაგან იკივლა და ქმარს კისერზე ჩამოეკიდა, კოცნა და კოცნა, კი-

ნალამ დაახრჩო. ბოლოს გული რომ იჯერა, უკან გაინია, ქმარს შეხედა და ჰკითხა, სად იყავი, ალექს?!

სიცილით ნანამაც იცინა ამაზე, მაგრამ სახლიდან ჩემი ყოველი გასვლის წინ მაინც მეკითხებოდა: „როდის მოხვალ, თემურ?!“

ბოლოს კი მაინც გადავაჩვიე. სულ ერთი ფრაზით, რომელიც რომელიღაც ფილმიდან დამამახსოვრდა. როდის მოხვალ, ერთხელაც რომ მკითხა, მოვტრიალდი და ღიმილით ვუთხარი: „მე რომ მოვალ, იცოდე, ექვსი საათი იყოს-მეთქი“. გაეცინა და



იმის შემდეგ, რამდენჯერაც სახლიდან გავიდოდი, სანამ კარს მომიხურავდა, იდგა, მიყურებდა და იღიმებოდა. ჩემი ნათქვამი „ექვსი საათი“ ახსენებოდა, ალბათ.

მოკლედ, ვყვები და ვყვები ამ ამბებს. ვიხსენებ და ვიხსენებ, ერთიმეორის მიყოლებით. ვცდილობ, რომ ნანას მეგობრებმა, ამ ფრიად სათნო და კეთილმა ქალბატონებმა, რაც შეიძლება ხალისიანად იგრძნონ თავი.

თან ამაში რაჭიდან მეგობრის გამოგზავნილი ტვიშიც გვარიანად მეხმარება. იმდენად სასიამოვნო და ფაქიზი ღვინო იყო, რომ ცოტ-ცოტას ყველა სიამოვნებით წრუპავდა.

ჰოდა, სუფრა შუანელს იყო უკვე გადაცილებული, როცა ერთ-ერთმა ქალბატონმა, ნანას ყველაზე სტაჟიანმა მეგობარმა, თქვა, მეც მინდა ნანაზე რაღაც მოგიყვებო. ჩვენ, გოგოებმა, ეს ამბავი ყველა ზეპირად ვიცით, მაგრამ იმაშიც ღრმად ვართ დარწმუნებული, შენ რომ არ გეცოდინებაო, – მითხრა. იმიტომ, რომ ყველამ ვიცოდით მისი ხასიათი, თვითონ ამ ამბავს არასოდეს მოგიყვებოდაო.

ნანას რომ საოცრად უყვარდი, ეს ყველამ ვიცოდით, გოგონებმა. არ გენყინოს, ცოტა არ იყოს, ვბრაზდებოდით კიდევაც, ვინაა ასეთი ეს თემური, ასე რომ გადაგვირია დაქალიო. მართლა, არ გენყინოს, ახლა ჩვენც ყველას გვიყვარხარ. ნანას კი მართლა საოცრად უყვარდი და იმასაც ყველა ვხვდებოდით, რომ ამ სიყვარულით ბედნიერი იყო. თქმით ეს არასოდეს უთქვამს, მაგრამ თქმა რად უნდოდა, ისედაც ყველაფერი ამაზე მეტყველებდა. შენი ხსენება, მისი სახის გამომეტყველება, ყველაფერი, ყველაფერი ისედაც ამას ამტკიცებდა და უსიტყვოდ ლაპარაკობდა. ის ამბავი კი ხომ, საერთოდ... ახლა რომ ვყვებიო.


ზამთარია. იყინება თბილისი. ჩვენც ვიყინებით. ყველას გვახსოვს ის დრო, არა სინათლე, არა გაზი. შენ სადღაც, გასტროლებზე ხარ, უცხოეთში. ჰოდა, გამოგვეცხადა ერთ დილით ნანა სამსახურში დიდი ქვაბით. ლობიო მოიტანა მოსახარშად და ლობიოსთვის მთელი საკმაზიც თან მოაყოლა. ჩვენ მაშინ დილმის ბოლოს, რკინიგზის საავადმყოფოში ვმუშაობდით. ერთი გაქუცული ნავთქურა გვედგა საორდინატოროში და იმით ვთბებოდით. იმ ნავთქურაზე დადგა ნანამ ლობიო მოსახარშად. ამაღამ თემური ჩამოდის და რაღაც საჭმელი ხომ უნდა დავახვედრო. სახლში არც ნავთქურა მაქვს, გაზიც გათიშულია. აღარ ვიცოდი რა მექნა, მერე ჩვენი ნავთქურა გამახსენ-

და და ყველაფერი აქ წამოვიღეო. ლობიო, როგორც იქნა, მოიხარშა და ნანამ რომ მისი შეკმაზვა და ამოლესვა დაიწყო, უეცრად გაჩერდა და იყვირა: – ვაიმე, დავიღუპე, ქინძი დამვიწყებიაო. ავტეხეთ ჩვენ ხორხოცი, გვეგონა ქვეყანა იქცეოდა და ამას თურმე ქინძი დავიწყებიაო. დიდი ამბავი, თემურიმ თუ უქინძო ლობიო მიირთვა და თუ გინდა სანადღეოს დაგიდებთ, საერთოდ ვერც კი მიხვდება მაგასო, – ვუმტკიცებთ. გვისმინა ნანამ, გვისმინა და ცოტა რომ ჩავწყნარდით, მერე გვითხრა: – ეჰ! წარმოდგენა არ გაქვთ თქვენ, ვისზე ლაპარაკობთო. წამოდგა მერე, პალტო მოიცვა, ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და წავიდა. ქინძის მოსატანად წავიდა იმ ყინვაში. შენი გულისთვის წავიდა. ტრანსპორტიც არ მოძრაობდა. ფეხით წავიდა დილმის ბაზარში. თითქმის ორი საათის მერე დაბრუნდა და ერთი კონა ქინძი მოიტანა გათოშილმა.

ამ ფრაზით დაამთავრა ნანას მეგობარმა თხრობა და აშკარად ეტყობოდა, რომ საკუთარი მონაცხლით თვითონვე იყო აღელვებული. მე კი, აბა, რა გითხრათ, გვარიანად გამიჭირდა თავის შეკავება, რომ ტირილი არ დამეწყო. ცრემლის ზღვა მქონდა თვალის უბებზე მომდგარი და, ჰა და ჰა, გამოარღვევდა ჯებირებს. არადა, უკლებლივ, ყველა გაჩუმდა და მე შემომცქერის, თან თანაგრძნობით და თან ცნობისმოყვარეობით. მე კი, პირიქით, მზერას ვარიდებ ყველას, ვზივარ თავჩაქინდრული და ვცდილობ და ვწვალობ, იქნებ მოვახერხო და ეს ზღვად მომსკდარი ცრემლი როგორმე უკანვე ჩავიბრუნო. არ მინდა, აღარ მინდა ნანას დაბადების დღე მორიგ პანაშვიდად გადავაქციო. აღარ მინდა, მაგრამ, იქნებ, ამისხნას ვინმემ, როგორ გამეძლო იმისთვის, რომ ნანამ, მარადიულ ქვეყანაში გადასულმა ნანამ, ასე მოულოდნელად, ასე უბრალოდ, სულ ერთი კონა ქინძით კიდევ ერთხელ მაჩუქა სიყვარული და ამჯერად ზღვისპირა სახლის ოთახები კი არა, აპრილის წვიმიანი დღე გამიფერადა.

ჰოდა, ვერა! ვერ გავუძელი!

ნინო დარბაისელი-სტრონი



თეთრი თუ ვარდისფერი?! (გალაკტიონის „მარმარილოს“ ინტერპრეტირების ცდა)

გასულ წელს გალაკტიონის „არტიტული ყვავილების“ ასი წელი შესრულდა. როგორ ველოდი ამ თარიღს! მეგონა, პოეზიის საყოველთაო ზეიმად იქცეოდა, გამოვიდოდა „არტიტული ყვავილების“ სპეციალური, საენციკლოპედიო გამოცემა, ტექსტით, კომენტარებით... მთელი სამეცნიერო აპარატურით, ლექსიკონით, თარგმანებით, წერილებით, ბიბლიოგრაფიით, ფერადი ილუსტრაციებით, პოლიგრაფიულად საუკეთესოდ გაფორმებული...

ჯერ კიდევ რამდენი გვესწავლება სხვათაგან ამ მხრივ!

ჩანს, ეს ისევ მომავლის საქმეა.

ამ კრებულის ზოგ ლექსზე ადრეც დამინერია, ზოგზე ნაფიქრიც ბევრი მქონდა, მასალებიც – მოძიებული, ვაპირებდი და ამ დრომდე ვერა და ვერ მოვახერხე.

„მარმარილო“, რომელიც 1915 წლით თარიღდება, ერთი მათგანია.

გალაკტიონის სიმბოლისტურ-რომანტიკული ქმნილებანი რომ ამოუხ-

სნელი საიდუმლოებებითაა სავსე, ეს ხომ ძველი ამბავია, მაგრამ აქ კიდევ სხვა რაღაცები ხდება.

ძნელი წარმოსადგენია პოეზიის მოყვარული, რომელსაც ამ მომხიბლავი ლექსიდან ყველაფერი ესმის და ვერც უნდა გაიგოს, თუმცა გაგებას კი მუდმივად უნდა ესწრაფოდეს. ასეთია სიმბოლისტური ესთეტიკით პირობადებული, ავტორისეული ჩანაფიქრი.

გავიხსენოთ და გულისყურით წავიკითხოთ ლექსი:

მარმარილო

აჰყვე კიბეებს, სადაც სფინქსი ქვებს ეფერება
და შიშში გრძნობდე, რომ ახლოა ბედნიერება, –
ოჰ! რამდენია სიცოცხლეში ასეთი წამი!
სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი,

და ვან-დეიკის ლანდებივით
მწვანდება ღამე...
ოჰ! რამდენია, რამდენია ასეთი
რამე!

აჰყვე ვარდისფერ საფეხურებს და
აჰყვე ისე,
რომ შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს
ყრმა დიონისე;
გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია
თქვენი მსგავსება:
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის
მოთავსება,
ერთგვარი სახე, ერთი ცეცხლი და
სითამამე...
ოჰ! რამდენია, რამდენია ასეთი
რამე!

აჰყვე ოცნებით მარმარილოს თლილ
საფეხურებს,
სადაც ყოველ მხრით პრაქსიტელის
თვალი გიყურებს;
ცა სიყვარულის და სიცოცხლის
ძვირფასი თასი
და ყოფნა ასე, მოლანდება ასი
ათასი,
რომ შენს გვირგვინზე წაშლილია
შავი ნაპრალი...
ოჰ! რამდენია, რამდენია ამგვარად
მთვრალი!

1915



ლექსის პირველი სიტყვაა „აჰყვე“.

ადრე, ერთი პერიოდი, იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ლექსის დასაწყისშივე კორექტურა გაიპარა, ასოები გადაადგილდა და უნდა წერებულყო არა „აჰყვე“, არამედ „აჰყევ“, ვიცოდი რა, თუ რარიგ შემოქმედებითად უდგებოდა, როგორ ანიჭებდა პოეტურ სემანტიკას რაიმე, შემთხვევით გაჩენილ კორექტურებს გასული საუკუნის ათი-ოციანი წლების პოეტთა ერთი წყება.

აჰყვე (შენ მას) – რა ჰქნა? – მეორე სერია, მეორე კავშირებითი... მაგრამ ამ

ფიქრს სხვა ზმნები უშლიდა ხელს („იდგეს“, „გრძნობდე“).

კავშირებითი კილოთი სხვა ლექსიც დაუნყია გალაკტიონს.

აქ სამი ტაეპისგან შემდგარი წინადადება, რომელიც უცნაური, უჩვეულო სინტაქსური ნყოფისაა, მარტივად, ამბობს, რამდენი წამია ცხოვრებაში, რომ მარმარილოს კიბეებზე ადიოდე, ნახო, სფინქსი რომ ქვებს ეფერება და დაგეუფლოს შემაშინებელი გრძნობა ბედნიერების სიახლოვისაო, ანუ საუბარია ბედნიერების სიახლოვის წინასწარგრძნობის რალაც წამზე, მაგრამ რა შიშნამძღვარებული, მოახლოებული ბედნიერება უნდა იყოს ეს? შეხვედრა საოცნებო ქალთან? – ეს არის კითხვა, რომელიც, ალბათ, პირველ რიგში, ბუნებრივად გაუელვებს ადამიანს. არადა, ამდენი მასკულიური პირი ერთად კი, ალბათ, არც ერთ ლექსში არ დაუსახელებია გალაკტიონს და სწორედ ქალის ჭაჭანება არ ჩანს ამ ტექსტის ზედაპირზე, თუმცა იგრძნობა. მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ ერთი-ორგან გამოჩნდება კიდევ, თუმცა არა „იგი“ – ერთადერთი შორეული და საოცნებო.

ჩემი ფიქრით, ამგვარი უჩვეულო, კავშირებითიკილოიანი ზმნა ლექსის დასაწყისშივე – ქართული ხალხური პოეზიის ერთი ციკლის ლექსებს უნდა უკავშირდებოდეს, არ ვიცი, რა სპეციალური ტერმინით მოიხსენიებენ ამ ციკლს ჩვენი ფოლკლორისტები, ჩვენ კი პირობითად „ნატვრის ლექსები“ ვუწოდოთ. ამ ტიპის ლექსები, ხშირ შემთხვევაში, იწყება სიტყვით – ნეტა, ნეტავი, ნეტამც (მაგ. „ნეტავი გოგო მე და შენ ყანები მოგვცა ზიარი“, „ნეტავი ვიყო მე ვარდი, შენ წინა გავიშლებოდე, /პატარა ჩიტად მაქცია, უბეში ჩაგიჯდებოდე“) შემდგომ სინტაქსური პარალელიზმები მოსდევს. ლიტერატურული წყაროებიდან მაგალითად აკაკის „ღამურას“ შემოვამატებდი: „ნეტავი ჩიტად მაქცევდეს, /გამომბამ-

დეს ფრთებსაო“. შეიძლება დასაწყისი „უნეტავოდაც“ არსებობდეს (მჯერა, უპირველეს ყოვლისა, აქ მკითხველს მთიელი ხვარამზის „ვერცხლის თასა-დამც მაქცია“ გაახსენდება). მოხმობილ მაგალითებში ზმნა სხვადასხვა მწკრივშია, მაგრამ საერთო ისაა, რომ „ნეტა“ ტექსტის დასაწყისშია დაფიქსირებული თუ ტექსტის გარედან მოქმედია, ზმნის რომელიმე კავშირებიანი მწკრივის ფორმას მოითხოვს.

ეს ყველაფერი დამჭირდა იმ, ალბათ, ისედაც ცხადი გარემოების ხაზგასასმელად, რომ გალაკტიონი ამ ლექსში რაღაც გარემოში მოხვედრაზე ოცნებობს.

იმ გარემოში ყრმა დიონისე, პრაქსიტელი, ვან დეიკი და სხვა რაღაცები ერთად უნდა პოულობდეს ადგილს. მარტო ანტიკური სამყაროს ნიშნები რომ გვექონდეს, ვიფიქრებდით, ანტიკური საბერძნეთისკენ მიუწევსო გული, მაგრამ მაშინ ვან დეიკი რაღა შუაშია? სად შეიძლება ასეთი დაშორებული ეპოქების ქმნილებანი ერთად იყოს, გარდა ადამიანის წარმოსახვისა? თან ადამიანისთვის, პოეტისთვის ასერიგად შიშნარევი ბედნიერებასავით საოცნებო იყოს იქ მოხვედრის წამი?

ლექსში „მარმარილო“ რამდენი სახეცაა, თითქმის იმდენივე კითხვა იყრის თავს. მივყვეთ ტექსტს და თანმიმდევრულად ჩამოვწეროთ ამ კითხვათა ის ნაწილი, რომელიც ამჯერად ექცევა ჩვენი რეცეფციის არეში:

1. რა კიბეებია ისეთი, რომ აჰყვე, იქ სფინქსი იყოს და ქვას ეფერებოდეს;

2. რას ნიშნავს – „სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი“?

3. რას ნიშნავს – „ვან დეიკის ლანდებივით მწვანდება ლამე“?

4. როგორ უნდა მოხდეს, რომ „შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს ყრმა დიონისე“?

5. რანაირად უნდა მოხერხდეს, რომ ყოველი მხრით „პრაქსიტელის თვალი“ გიყურებდეს?

6. რას უნდა ნიშნავდეს – „ცა სიყვარულის და სიცოცხლის ძვირფასი თასი“?

7. როგორ შეიძლება მოლანდება იყოს ასი ათასი?

8. რას უნდა ამბობდეს, რომ „შენს გვირგვინზე ნაშლილია შავი ნაპრალი“...



ვიდრე უშუალოდ კითხვებზე პასუხს შემოგთავაზებდეთ, ჯერ ცოტა თვალი მოვაგლოთ გასული საუკუნის დასაწყისის ქუთაისურ ამბებს, ან რომ ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა შეუძენია.

პავლე/პაოლო იაშვილი შეძლებული აზნაურიშვილის ოჯახიდან იყო, აფთიქარ მამამისს, ჯიბოსაც ჯიბეში ფული არ აკლდა. „ჯიბოს ჯიბით“ ცისფერყანწლეებიც კარგად სარგებლობდნენ და იაშვილების პურადი სახლი ხომ მათი თავშეყრის ძირითადი ადგილი იყო, ოღონდ ეს ოდნავ მოგვიანებით. მანამდე კი, 1913 წელს, პაოლო პარიზში გაემგზავრა და არც მეტი, არც ნაკლები, მთლად ლუვრის ხელოვნების სასწავლებელში დაიწყო მხატვრობის სწავლა, თუმცა იქ დიდხანს არ გაჩერებულა, მხატვრობის შესწავლას თავი დაანება, ცოტა ხანს მუზეუმი ათვალიერა, მერე პარიზულ შემოქმედებით ბოჰემას აჰყვა და ერთ წელიწადზე ცოტა მეტში ისევ ქუთაისს დაუბრუნდა, ნანახ-გაგონილის, რეალობისა და წარმოსახვის უცნაური ნაზავით გონებასავსე. ცხადია, კარგად, სიღრმისეულად ვერც იქ მიმდინარე კულტურულ პროცესებსა და დინებებში გაერკვა, რაღაც ზედაპირული, ამორფული ინფორმაცია ჩამოიყოლა, პირადი ნაცნობობის ნამდვილ ამბებსა თუ მითებთან და რამდენიმე ბეჭდურ გამოცემასთან ერთად და ეს ამორფულობა მერე კიდევ დაეტყო ცისფერყანწლეებსა და ჟურნალში გამოქვეყნებულ მათ მანიფესტს.

არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის რეალური კულტურული კონტექსტი,

რომელშიც ჩვენთვის საინტერესო მოვლენა, ლექსი „მარმარილო“ შეიქმნა. დღევანდელი მკითხველისთვის სულ წამის საქმეა ინტერნეტით ნებისმიერი ინფორმაციის, ვიზუალური მასალის მოპოვება, იმ დროს კი პარიზიდან ჩამოსული ადამიანი ორიოდ რეპროდუქციას ან ლითოგრაფიას და ბროშურასაც თუ ჩამოაყოლებდა, რა გასაკვირია, რომ მისი ზეპირი ნაამბობი იმდროინდელ ქუთაისში ინფორმაციის ხანგრძლივ, თავანკარა წყაროდ აღიქმებოდა. პარიზის შესახებ გალაკტიონს იმ დროს უფრო ახლო, ცოცხალი წყარო, რამდენადაც მისივე მდიდარი ბიოგრაფიული რეალიებიდანაა ცნობილი, არ მოეპოვებოდა, მათ შორის განხეთქილებამდეც – დრო კიდევ რჩებოდა.

●
აი, უკვე მერამდენედ მემართება ასე – თან მინდა, ჩემი სავარაუდო მიგნებები გავუზიარო მკითხველს, თან არ მინდა, გალაკტიონის ლექსის დე-საკრალიზაცია, დე-პოეტიზაცია გამოვიწვიო მასში. ერთი იმის იმედი მაქვს, რომ ხელოვნების სივრციდან გასვლას არ ვაპირებ, მეორე მხრით კი, მინდა, მკითხველს ვენდო, რომ როცა ამ წერილის კითხვის პროცესი დასრულდება, გალაკტიონის მრავალგანზომილებიან პოეზიას არ შეხედავს მხოლოდ იმ ერთადერთი რაკურსით, რომელსაც აქ ვთავაზობ.

საერთოდ, მიჩვენია ხოლმე, წერილი ისე ავაგო, რომ მკითხველისთვის წასაკითხად სახალისო იყოს, ინტრიგით დავიწყო, თემა განვავითარო და კვანძის გახსნა ბოლოს მოვახერხო, მაგრამ ამ გამონაკლის შემთხვევაში ასე არ გამოვა. მინდა თუ არა, საჭიროა, ამთავითვე ითქვას, რომ გალაკტიონის ეს ლექსი წარმოადგენს გალაკტიონის ოცნებას – პაოლოს თვალთ დანახულ, დამახსოვრებულ და იქნებ ფანტაზიით შევსებულ ლუვრზე.

პირველივე გაკვირება და ურწმუნო-

ბა სწორედ იმ მკითხველისგან მელის, რომელიც ლუვრში ნამყოფია. დღეს კი ასეთი, ჩემი წარმოდგენით, საქართველოში მრავალი იქნება, კორონამდე ისე იყო გაადვილებული მიმოსვლა. ყველასთვის აშკარა ამბავი ისაა, რომ გალაკტიონი ამბობს – აჰყვე ვარდისფერ მარმარილოსო. ლუვრის შესასვლელის და ძირითადი შენობის სართულთა კიბეები კი ნამდვილად მარმარილოსია, მაგრამ ეს მარმარილო ვარდისფერი არაფრით არ არის – თეთრია. აქედან რაღა ნაბიჯი უნდა გადადგა! წლების მანძილზე, ვიდრე გზები გაიხსნებოდა ან უფრო ადრე, ინტერნეტი გაჩნდებოდა, პარიზში მიმავალს ვის არ ვთხოვე, კარგად დაკვირვებოდა მარმარილოს კიბეების ფერს, იქნებ ვარდისფერი მაინც გადაჰკრავდა, მაგრამ თეთრია და მორჩა!

რომ არა ეს გარემოება, მასალა ისეთი საინტერესო მქონდა მოგროვებული, ეს წერილი ჯერ კიდევ როდის უნდა დამეწერა. მგონი, ზემოთ ვთქვი, რომ ვაპირებდი დანომრილ კითხვებს მივყოლოდი და ასე გავსულიყავი ბოლომდე. კითხვები კი დიდი გულმოდგინებით დავნომრე, მაგრამ ზემოთ პაოლოზე წინასწარ ნათქვამსაც ვერ დავჯერდები, იქიდან ერთ კითხვას ამთავითვე უნდა გავცე პასუხი, რადგან სწორედ იმ კითხვამ მომცა სითამამე, ლექსის სხვა რეალიებს შევხებოდი. ეს არის კითხვა, ნომერი სამი – რას ნიშნავს „ვან დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე?“ მანამდე კი ცოტა ხნით დავუშვით ფარდა, შევცვალოთ დეკორაციები და ერთ ინტერმეცოს მივაღვენოთ თვალ-ყური.

●
აქ ერთი ავანტურული რომანი მინდა გავიხსენო. სად გალაკტიონი, პოეზიის მწვერვალი, „მარმარილო“ და სად – ავანტურული რომანი, არა? აქ, ალბათ პირველი, რასაც მკითხველი გაიფიქრებს, ისაა, რომ გალაკტიონისავე

პროზაულ ნაწერებში მივაგენი რაიმე ისეთს, მარმარილოს ქარაგმის გახსნაში რომ დამხმარებოდა.

ხომ ცნობილია, რომ მან ცხოვრებაში რამდენჯერმე სცადა, პროზაც დაენერა და სწორედ ისეთი შედეგი მიიღო, როგორსაც მისი ორთოდოქსი მოყვარულები წარმოიდგენდნენ. მე კი აქ სულ სხვა რამეს – გასული საუკუნის ოციან წლებში მოთხრობებად დანყებულ და რომანად დამთავრებულ ნაწარმოებს, მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ ვგულისხმობ. კერძოდ, იმ მომენტს, რომელიც ლუვრში კვაჭის ვიზიტს ეხება:

„როცა ლუვრის ელინურ დარბაზში შევიდნენ და ღვთაებრივი სკოპასი დაათვალიერეს, მირონი და პრაქსიტელი, როცა იხილეს ზეციური აფროდიტები და ვენერები – მილოსელი, ჩაკუნტული, უფეხონი, უხელონი და უთვალონი, მეტის მღელვარებისგან გატენილმა კვაჭმა წამოძახა:

– ნეტავ რომელ ხელს გაუკეთებია აი მშვენიერი ქალები!

ბესო, ერთი შეხე მაი უთავო და უხელო ჩაკუნტულ ვენერას. დაადე ხელი თეძოზე და გეიგე, ცოცხალია მაი თუ მართლა მარმარილოა?..

რაო, ხელის ხლება არ შეიძლებაო? კაი, მარა... ღმერთო, მიშველე! რავა გააკეთა ისეთ ვინცხა ქვის მთელმა ბერძენმა აი ქალები, რომე მაი ქვას ცოცხალ ხორცის სუნი და სითბო ადის!

ბესო, ნა, გენაცვა, გეიგე, რავა გაჰყიდიან აი, ამ ვენერას, მილოსელს? კაი რამე ყოფილა, ალბათ ვინცხა პოლონელის ან რუსის თავადი მილოსსკის ცოლი იქნებოდა. თუ ათას ფრანკზე მეტი არ დაგიფასეს, ვიყიდი და ჩემს ბინაზე კიბესთან დავდგამ, მოტეხილ ხელებსაც გავაკეთებებ, ერთ ხელში ყვავილებს ან ყანწს ჩავუდებ, მეორეში ელექტროს ლამფას დავაჭერიებ. მე შენ გეტყვი, ვერ დაამშვენებს კვაჭანტირადის სასახლეს თუ?!

[...]

აი, განთქმული პანთეონი. იმის წინ რომ ბრინჯაოს ძეგლი სდგას, საფრანგეთის სახელოვან მოქანდაკე როდენის ნამუშევარია. იგი გამოჰხატავს ადამიანს, რომელიც აზროვნებს.

ბრინჯაოს ბუმბერაზი ადამიანი იჯდა. ფეხი ფეხზე გადაედო, ნიკაპი მუშტზე დაებჯინა და ისე მძლავრად, ისეთის ჟინითა და ნებისყოფით ჰფიქრობდა, რომ ფეხის ძარღვებიც კი დაჭიმული ჰქონდა, თითქოს ფიქრი იმ ძარღვებსაც აწვდებო, თითქოს ძალას ატანდა და იშველიებდაო.

კვაჭი ბრინჯაოს ადამიანს დააცქერდა და სთქვა: – რაცხა დიდ კომბინაციას აიმასქნებს აი კაცი. ნეტა მაჩვენა აგი, კაი ამხანაგი გამევიდოდა“.


ამ თავისთავად თავშესაქცევ ფრაგმენტში რამდენიმე ფაქტობრივი ცდომილებაა, რომლის მიზეზიც ისევ და ისევ ქართველ და არა მხოლოდ ქართველ ხელოვანთა საოცნებო ლუვრისა და მასში მოთავსებული ქმნილებების შესახებ მეხსიერების ცდომილების ან არასწორი ინფორმაციის შედეგი უნდა იყოს. გამონვლილვითი განხილვა ჩვენს საკითხს ბევრ არაფერს შემატებს, ამიტომ ორიოდ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან დეტალზე შევაჩეროთ ყურადღება.

თავიდანვე მოქანდაკეთა ჩამონათვალში „ღვთაებრივი სკოპასი, მირონი, პრაქსიტელი“ – პირველი და მესამე (რომელსაც გალაკტიონიც მოიხსენიებს ლექსში) მართლაც, მოქანდაკენი არიან, მირონი კი, რომელიც შესაძლოა, სულაც ტექსტში გაპარული კორექტურის შედეგადაც გაჩენილიყო, საერთოდ არ არსებობს. ასეთ ან მსგავსი სახელის მოქანდაკეს ანტიკური ხელოვნების ისტორია არ იცნობს, სამაგიეროდ, არსებობს სახელი მირინა (Myrina), რომელიც წარმოადგენს ტოპონიმს. ლუვრში მართლაც ინახება „აფროდიტე მირინადან“ – ტერაკოტის ფიგურა, ქანდაკება, სადაც აფროდიტე

ნახევრად შიშველია წარმოდგენილი.

რაც შეეხება ვენერა მილოსელს, კვაჭი რომ ყიდვას და მიბმულ ხელში ყანწის დაჭერინებას უპირებდა, იგი ადრე, კარგა ხანს, ზემოთ ნახსენებ პრაქსიტელს კი მიეწერებოდა, მაგრამ მის ავტორად უკვე ალექსანდრე ანტიოქიელი სახელდება.

და მაინც, ამ ყველაფერზე მეტად ჩვენთვის საინტერესო მეჩვენება როდენის „მოაზროვნის“ შესახებ ავტორის ინფორმაცია, კერძოდ, ეს მოკლე წინა-



დადება, რომ „განთქმული პანთეონის წინ ბრინჯაოს ბუმბერაზი ადამიანი იჯდა. ფეხი ფეხზე გადაედო“.

უცნაური და დაუჯერებელია, მაგრამ ფრანგი მოქანდაკის, როდენის ნამუშევრები, ოფიციალური ინფორმაცი-

ის თანახმად, ლუვრში არ არის. ისინი მოთავსებულია პარიზშივე, ოლონდ როდენის მუზეუმში. შესაბამისად, „მოაზროვნე“ ლუვრში არ მდგარა. იგი დგას როდენის მუზეუმის წინ. ძალიან რომ არ გავიგრძელოთ ეს ინტერმეცო, მოკლედ ვიტყვი, რომ „მოაზროვნის“ შემთხვევაში აქ სამ ცდომილებასთან გვაქვს საქმე: 1 – ის არ დგას ლუვრში, არც ორიგინალი და არც მისი რეპლიკა (28 არსებობს); 2 – ის არ არის ბუმბერაზი, სულ 73 ინჩია, რაც ჩვენებურ საზომებში 1,85 მეტრია, მაგრამ მჯდომარე ადამიანი ფეხზე წამომდგარიც კი რომ წარმოვიდგინოთ, პროპორციის წესების თანახმად, ერთი მესამედი უნდა დაფუძნდეთ და რალაც 2,4 მ გამოგვივა. ქანდაკებისთვის კი ამას ბუმბერაზი ნამდვილად არ ეთქმის; 3 – მთავარი კი ისაა, რომ მოაზროვნეს „ფეხი ფეხზე გადაედო“ და სინამდვილეში როდენის ქანდაკებას ფეხები სწორად და ტოლად, პარალელურად უდგას მიწაზე და მათ შუა საკმაო მანძილიცაა.

მე მსჯელობა იმ ლოგიკისკენ კი არ მიმყავს, რომ რაკი ჯავახიშვილის ამ ავანტურულ რომანში ლუვრთან დაკავშირებული ამდენი უზუსტობაა, გალაკტიონიც იმავე უზუსტო წყაროთი სარგებლობდა (გალაკტიონის მარმარილო გაცილებით ადრე, 1915 წელსაა დაწერილი), არამედ ამ ორ მოვლენას შორის ტიპოლოგიურ კავშირს ვხედავ – ორივე ხელოვანის საოცნებო ლუვრის შესახებ

გასული საუკუნის დასაწყისში და შემდგომაც საქართველოში ინფორმაცია მწირი და არაზუსტი მოგვეპოვებოდა, ხოლო გასაკვირი არაა, რომ ლუერს, როგორც უმაღლესი ხელოვნების სავანეს, ადამიანური წარმოსახვა მიანერდა უმაღლესი ხელოვნების არაერთ ისეთ ნიმუშსაც, როგორც მასში რეალურად მოთავსებული არ იყო.

ამოიწურა ინტერმეცოს დრო, დავუბრუნდეთ ისევ მთავარ წარმოდგენას!



დავუკვირდეთ, ეს შთამბეჭდავი და იდუმალი სახე როგორ მელოდიურად უღერს:

„და ვან დეიკის ლანდებივით მწვანდება ლამე“

ვან/ მწ-ვან

და/დე-იკის/დე-ბივით/ დე-ბა – როგორი გალაკტიონისებური, მსუბუქი ალიტერაციაა, არადა, მე მჯერა, რომ ეს სახე ნამდვილად გაუგებრობის წყალობით შეიქმნა.

ვან დეიკი – ასეთი მხატვარი არ არსებობს, არსებობს ვან დაიკი (Van Dyke) – რუბენის მოწაფე და თანაშემწე, შემდგომში ინგლისის მეფის კარის მხატვარი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ინგლისურ სკოლას. მისი ნამუშევრები მართლა ინახება ლუერში. იგი არასდროს ყოფილა გატაცებული მწვანე ფერით, ლანდებით ხომ – მით უმეტეს. იგი ძირითადად პორტრეტისტი იყო, რეალისტი, ხატავდა სამეფო ოჯახის წევრებსა და დიდგვაროვნებს, სტატიკურ პოზაში, შენობაში თუ ცხენზე ამხედრებულს. ლუერში დაცულ ინგლისის მეფის, ჩარლზ პირველის სავსებით რეალისტურ პორტრეტზე (1637) მეფე ტყისპირას კი დგას ცხენით, დღისით ან უფრო დილით, მარადმწვანე ხეების ფონზე. მაგრამ ამ ტილოზე, თუ არ ჩავთვლით ზოგადად, პორტრეტული მხატვრობისთვის ნიშნულ, ლამის საყოველთაოდ ცნობილ სიმბოლიზმს,

არაფერია საძებნი ლანდისმიერი. ზოგადად კი მას ფერთა პალიტრა მოზომილი, ბალანსირებული აქვს. მის შემოქმედებაში ვერც ერთ ფერზე ვერ იტყვი, რომ იგი პრევალირებს.

მაშ, რა ლანდებზეა საუბარი ლექსში?

ხომ არ იმალება ვან დაიკის უკან უღერობრივად მისივე მინამსგავსი სახელის მქონე სხვა მხატვარი?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეს რომაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია ყველაზე და ყველაფერზე, ეს გალაკტიონსა და მის თანამედროვეებს არც დაესიზმრებოდათ. ვერც მსოფლიოს მუზეუმების ხილვის ფუფუნება ჰქონდათ (პ. იაშვილის პარიზული მომენტი – ბედნიერი გამონაკლისია) და რეპროდუქციებითა და ყურისმოკვრით იქმნიდნენ წარმოდგენას.

ლანდებს, თანაც მწვანედ ხატავდა არა ვან დეიკი/დაიკი, არამედ უღერადობრივად მართლაც მისი მსგავსი სახელის მქონე მხატვარი, ჩრდილოური რენესანსის წარმომადგენელი, ვან ეიკი (Jan Van Eyck). ლუერში მისი ერთადერთი ქმნილებაა – „მმართველ როლინის მადონა“ (1435). დღემდე სხვადასხვა მუზეუმში მისი სულ ოცდახუთამდე ნამუშევარია შემორჩენილი, ხოლო მისი ქმნილებებიდან ყველაზე ცნობილი, შედეგად აღიარებული ნამუშევარი, რომელმაც სათავე დაუდო სარკულ, ორმაგ გამოსახულებას ე.წ. „ორმაგ პორტრეტს“ და მისტიკურ მხატვრობას, არის „არნოლფინის პორტრეტი“, სადაც კედელზე დაკიდებულ მრგვალ სარკეში არა რეალობა, არამედ იმათი „ლანდური“ გამოსახულებანი ირეკლება, ვინც წინა პლანზეა გამოსახული – არნოლფინი და მისი მწვანეკაბიანი საცოლე და ისინი კედელზე დაკიდებულ ამ სარკეში არეკლილნი, „დანახულნი არიან“ ზურგიდან, ოღონდ წინასწარმეტყველურად, „მომავალში“, სხვა ორ ფიგურასთან ერთად, რომელნიც ძირითად სურათში არ არიან ასახულნი. არ-

ნოლფინის საცოლის ხასხასა მწვანე კაბა სარკეშიც ამფერადვეა გადასული და მწვანე – მთელს ამ ქმნილებაში მკვეთრად დომინანტური ფერია. ეს ქმნილება, რომელსაც საოცარი თავგადასავალი დაჰყვა და სხვადასხვა ქვეყნის მონარქიდან მონარქამდე ბევრი იმოგზაურა, სახვითი ხელოვნების ისტორიაში დღემდე მიჩნეულია ყველაზე მისტიურ ფერწერულ ტილოდ, მაგრამ... აქ არის ერთი დიდი „მაგრამ“!

არნოლფინის აღნიშნული ქმნილება ლუვრში არასოდეს ყოფილა. იგი მოთავსებულია ლონდონის ნაციონალურ მუზეუმში...

ხომ არ აღმოვჩნდით ფაქტობრივ-ლოგიკურ ჩიხში?

სად პარიზი, ლუვრი და და სად ლონდონის ნაციონალური მუზეუმი?

შევეცდები, ჩიხიდან გამოსავალი მოვძებნო: საქმე ისაა, რომ ვან ეიკი მსოფლიოს სახვითი ხელოვნების სამყაროში ცნობილია თავისი მთავარი ქმნილებით, სწორედ არნოლფინის პორტრეტით. ეს არის მისი, ასე ვთქვათ, „მაგნუმ ოპუსი“, ახსენებენ თუ არა მის სახელს ნებისმიერ სხვა ქმნილებასთან დაკავშირებით, მოაყოლებენ – „არნოლფინის პორტრეტის“ ავტორი.

ზუსტად ძნელი დასადგენია, სანყისი წერტილიდან, ლუვრიდან, ინფორმაციის მიმდებამდე – გალაკტიონამდე გადანოდების რომელ საფეხურზეა ეს ტრანსფორმაცია, გაუგებრობა მომხდარი, მაგრამ ერთი რამ აშკარად ჩანს: გალაკტიონ ტაბიძემდე ვან ეიკი უკვე „გა-ვან-დეიკ-ებულია“, რადგან, ჯერ ერთი, ლექსში ეს მომენტი ჟღერდობრივად დ-ბგერის ალიტერაციაზეა აგებული, მეორეც, კორექტურა რომ ყოფილიყო, არათუ მის შემდგომ გამომცემლებს, არამედ თავად გალაკტიონს შეეძლო სხვა გამოცემებში ჩასწორება.

რაკი მხატვრის სახელში ეს აშკარა ცდომილებაა, ჩნდება არცთუ მცირე რეალური საფუძველი, რომ მარმარილოს

კიბეთა ვარდისფერობა მსგავს ცდომილებად ჩაითვალოს, თუმცა აქ მიზეზი შეიძლება, პაოლოს შეცდომითი ნათქვამი, მისი მეხსიერების ცდომილებაც იყოს ან გალაკტიონის მხატვრული ხერხი, რეალობის გასხვანაირებისა. ყოველ შემთხვევაში, თითქმის ყველა ის რეალია, რაც ლექსში იკითხება, ლუვრის ექსპონატებს წარმოადგენს. ვარდისფერკიბიანში იქნება თუ უვარდისფერკიბიანში, მსოფლიოს სხვა არც ერთ მუზეუმში არაა თავმოყრილი ერთად ყველა ის ექსპონატი, რომელსაც გალაკტიონი პირდაპირ ახსენებს ან შემოაქვს სიმბოლიზმის ესთეტიკის კვალობაზე, მხატვრულად ტრანსფორმირებული.

მივყვეთ დანომრილ კითხვებს (მესამე ნომერი-აქ გამოტოვებულია, რადგან ზემოთ უკვე ვახსენეთ):

1. შესასვლელიდანვე დაწყებული, სფინქსების ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა ლუვრში, მაგრამ მათგან გამორჩეულია ზომით სხვებზე აღმატებული „ტანისის დიადი სფინქსი“, რომელსაც, წესისამებ, ლომის ბრჭყალებიანი თათები უნდა ჰქონდეს, მაგრამ წინა ერთი თათი ბრჭყალებიანად მომტვრეული აქვს, თითქოს, მოსაფერებლად მონაზებულნი, მართლა ეფერებაო ქვას.

2. რას ნიშნავს „სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი?“ – ლერწამი არის მასალა, რომლისგანაც, ტრადიციულად, უხსოვარი დროიდან აულოსი/ავლოსი (ბერძ) სალამური, ანუ ფლეიტა მზადდებოდა, რადგან ლერწმის ლეროს შიგ ბუნებრივად აქვს ღარი. ქართული ეთნოგრაფიული მასალების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ჩვენშიც სალამური ძირითადად ლერწმისგან მზადდებოდა. პრინციპში, ასეა დღემდეც. გავიხსენოთ „სალამურო ლერწმისა“. (ამ ლექსის შექმნიდან ძალზე გვიან საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია გედის ძვლის სალამურიც).

სალამური დიონისოს ატრიბუტიცაა. მას ხშირად სალამურით ხელში გამო-

სახავდნენ, თუმცა გენით ატეხილი ლერწმის რეკა ამ მხიარული ღმერთის კონოტაციებს ვერ ერგება. უფრო სწორად, ერგება კიდეც, თუმცა არა პირდაპირ! ვინაა ბერძნულ მითოლოგიაში ისეთი, ვისთვისაც სალამური-აულოსი რაღაც, ნეგატიურ ისტორიას უკავშირდება („გენით ატეხილი“), ატეხილის, როგორც ცუდად გააქტიურებულის, ზომიდან გადასულის გაგება დღემდეა შემორჩენილი ქართულ დიალექტებსა თუ ზეპირ მეტყველებაში)?

დიდ მუზეუმებში ასეთი წესია დამკვიდრებული – რაიმე კოლექციისთვის სრულყოფილი სახის მისაცემად, მიღებულია ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ძეგლის ე.წ. „რეპლიკის“, ანუ ზუსტი ასლის მოთავსება. ლუვრში, ანტიკურ დარბაზში ინახება არაერთი ორიგინალი თუ რეპლიკა თემისა. ერთია „ათენა და მარსიასი“ – რეპლიკა ფრაგმენტისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნის ძეგლიდან, თუმცა, განსხვავებით მრავალი რეპლიკისაგან, იგი ლუვრისთვის კი არ არის შექმნილი, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეშია გადაღებული ორიგინალიდან.

იგი შთაგონებულია მითით, თუ როგორ გაჩნდა ე.წ. „ორმაგი აულოსი“, ანუ ორმაგი სალამური.

ერთხელ ქალღმერთი ათენა შეწუხდა, რომ ლოყები ებერებოდა თავისივე შექმნილი საკრავის აულოსის-სალამურის დაკვრისას და მიწაზე მოისროლა იგი. დიონისეს ამალის მხიარულმა წევრმა, მუსიკის მოყვარულმა სატირმა მარსიასმა ხრიკი იხმარა, ცეკვა-ცეკვით მიეპარა სალამურს, მიწიდან აიღო, დაიწყო მასზე დაკვრა და თან ბაქიბუქი: აპოლონზე უკეთესი მუსიკოსი მე ვარო და იმდენად გაკადნიერდა, რომ გაბედა თავად ღმერთის, მუზათა წინამძღოლის, აპოლონის, გამოწვევა მუსიკალურ შეჯიბრში და, ცხადია, სამინლად, ტრაგიკულად დამარცხდა.

ღმერთთან დაპირისპირების ამ კად-

ნიერი, უდიდესი დანაშაულის გამო დამარცხებული მარსიასი ხელებშეკრული ჩამოკიდეს ხეზე და ცოცხლად გაატყავეს. ბერძნული მითიდან წამოსული ეს მძაფრსიუჟეტიანი თემა საუკუნეთა მანძილზე მრავალჯერ დამუშავდა ქანდაკებასა თუ სახვით ხელოვნებაში. ლუვრში დაცული მრავალი ქმნილება ასახავს ამ სცენის სხვადასხვა ვერსიას, ზოგან თავად აპოლონი ატყავებს ხელებით ჩამოკიდებულ მარსიასს, ზოგან იგი შესცქერის და მისი ხელქვეითები არიან ამ საქმით დაკავებული. მათ შორისაა ზემოთ ნახსენები ქანდაკება, რომელიც გამოსახავს სიკვდილს დამარცხებული, აგონიაში მყოფი მარსიასისა. ეს მაფიქრებინებს, რომ სულში გენით ატეხილი ლერწმის რეკა – ეს არის ხელოვანის ტრაგიკული დამარცხება ხელოვნების ღმერთის წინაშე.


4. ყრმა დიონისე, პოეტის წინაშე ლანდად მდგარი.

ლუვრში, ანტიკურ დარბაზში, დიონისეს რამდენიმე ორიგინალური ქანდაკებაა. ერთი შავი მარმარილოსია, კიდურებმოტეხილი, ერთი თეთრი და სრულყოფილია, მაგრამ არც ერთი არ არის იმ ასაკისა, რომ ყრმა გვენობინა, თუმცა იქვე არსებობს გვიანდელი, სავარაუდოდ, რომაული რეპლიკა საბერძნეთში, ოლიმპზე დაცული ქანდაკებისა, რომლის ავტორიცაა ლექსში ნახსენები პრაქსიტელი. ქანდაკება ორიგინალურია და ჰერმესს ხელში ყრმა, ანუ „ინფანტი“ დიონისე უჭირავს... რა შეიძლება ითქვას ამ სახეში ნახსენებ სხივზე, როგორც ნათლის გამოვლინებაზე? – „შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს ყრმა დიონისე“. სხივზე ლანდად როგორ უნდა იდგეს ყრმა დიონისე?

აქ მხოლოდ ფრთხილი ვარაუდის დონეზე შემიძლია ვთქვა, რომ რაკი სახელთა და ფაქტთა სხვა ასეთი უზუსტობები გვაქვს, შესაძლოა, ქანდაკება, რომელიც ჰერმესს უჭირავს ყრმა დიონისე, გალაკტიონის წარმოდგენაში დაფიქ-

სირდა, როგორც დიონისე – ჰელიოსის ხელში, ჰელიოსი კი, მოგეხსენებათ, მზის ღმერთია, მას, ტრადიციულად, სხივოსანი გვირგვინით გამოსახავდნენ. სხივი მისი ატრიბუტია.

5. ყოველ მხრით პრაქსიტელის თვალი გიყურებსო, ამბობს გალაკტიონი. მართლაც, ლუვრში დაცულია მთელი კოლექცია ორიგინალებისა და რეპლიკებისა, რომელიც მსოფლიოს უდიდეს მოქანდაკეთაგან ერთს პრაქსიტელს (ძვ.წ. IV)



ეკუთვნის, ამავე დარბაზში, კედელზე, შესასვლელის პირისპირ, მოთავსებულია პრაქსიტელის ავტოგორელიეფი – მისი

სახე – მისი მზერა მიმართულია პირდაპირ, დარბაზში შემომსვლელებისაკენ.

6. რას უნდა ნიშნავდეს: „ცა სიყვარულის და სიცოცხლის ძვირფასი თასი“. აქამდე თითქმის მთელი დრო ეგვიპტურ და ანტიკურ დარბაზებს – ქვედა სართულებს არ ავცილებივართ (ვან დეიკ-დაიკის ხსენებას თუ არ ჩავთვლით), არადა, ლუვრის უმდიდრესი კოლექცია დღემდე სიდიდით პირველია მსოფლიოში. რა მიიპყრობდა ქართველის განსაკუთრებულ ყურადღებას ისლამური კულტურის დარბაზიდან?

აქ არის მოთავსებული ბოლო პორტრეტი შაჰ აბას პირველისა (რიზა აბასის ნამუშევარი, სპარსული სტილი, კალმით ნახატი, ალაგ ფერია დადებული), მორთხმით მჯდომარე შაჰ აბას პირველს თავისი სასმელის მიმრთმევი ქალი მისჯდომია გვერდით, ხელში თასით, ნეტარებენ, ბაღში მსხდომარენი ხეს არიან მიყრდნობილნი, ზემოდან ლურჯი ცა დაჰყურებთ... პორტრეტის ბოლოს, იქ, სადას ავტორის ხელრთვაა, იკითხება ტექსტი: „დაე ცხოვრებამ მოგანიჭოს სამი ტური: ტური შენი სატრფოსი, ტური დინებისა (ყამთა დინებისა, ცხოვრებისა? სხვა რას ახასიათებს დინება? – ნ.დ.) და ტური თასისა. 1627“.

მოსიყვარულე წყვილს თავზე მართლაც ცა ადგას და სიცოცხლის ძვირფასი თასი – ქალს

უჭირავს ხელში.

7. როგორ შეიძლება მოლანდება იყოს ასი ათასი? ამაზე პასუხი მარ-

ტივად მეჩვენება, როცა გამახსენდება ლუვრში – მსოფლიოს უმდიდრეს მუზეუმში ექსპონანტთა უამრავობა, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მოლანდება – ოცნებითი, ოცნებისმიერი წარმოსახვაა.

8. და აი, დაგვრჩა ბოლო, ყველაზე ბუნდოვანი სტრიქონი ლექსისა: „შენს გვირგვინზე წაშლილია შავი ნაპრალი“... ჩემი ვარაუდი აქ ასეთია.

ლუვრში ინახებოდა მსოფლიოში უმდიდრესი კოლექცია საფრანგეთის და სხვა მეფეთა გვირგვინებისა და დედოფალთა ტიარებისა. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, როგორც ზოგი ისტორიკოსი აღნიშნავს, მონარქიის აღდგენისათვის ყველა შესაძლო გზის გადასაკეტად, მუზეუმის ფინანსური პრობლემების მომიზეზებით, მაშინდელმა მმართველობამ მიიღო გაუგონარი, ვანდალური გადანყვეტილება, თვლები ამოეთხარათ გვირგვინებიდან და გაეყიდათ აუქციონზე. ასეც მოიქცნენ. ამ ჯაჯგურში თითქმის ყველა გვირგვინი დაზიანდა, ზოგი გაიბზარა და გატყდა, ზოგი დაიშალა, მყიდველები მსოფლიოში უმდიდრესი და უცნობილესი იუველირები აღმოჩნდნენ. მათ თვლები აინტერესებდათ, ლითონი და თავად ნაკეთობა – არა. აუქციონზე კონკურენტადაც არავინ გამოუჩნდათ. საბოლოოდ, შემოსული თანხა ნამდვილად სასაცილომდე მცირე აღმოჩნდა.

გავიდა წლები. მუზეუმის მესვეურები დანყნარდნენ, ზოგნიც შეიცვალნენ და მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მოინდომეს იმ თვლებამოყრილი გვირგვინებისთვის თუნდაც სამუზეუმო ფორმის აღდგენა. თანხა, რისთვისაც ის ვანდალური აქტი ჩაიდინეს, ორიოდ გვირგვინის აღსადგენადაც არ იყო საკმარისი, თუმცა პროცესი მაინც დაიწყო. ამჟამად აღდგენილია გვირგვინთა კოლექცია, მაგრამ გვირგვინებს უაზროდ გაყიდული და დაკარგული, ძვირფასი თვლების ნაცვლად, ძირითა-

დად მათი ანალოგები, შუშის თვლები უზის. ეს არის ძალზე ცნობილი ისტორია, რომელსაც გიდეებიც უყვებიან დამთვალეიერებლებს და ბუკლეტებშიც შეტანილია. გვირგვინზე შავი ნაპრალის წაშლა ამის გათვალისწინებით, მის გარეგნულ აღდგენას, თუმცა არა ძველი, რეალური დიდებულების დაბრუნებას უნდა მიანიშნებდეს.

მე ერთ ხაზს გავყევი და ისიც – ნაწილობრივ. ხელშეუხებელი დაგტოვე ამ ლექსის არაერთი მხარე. თუნდაც ყრმა დიონისესთან თავის შედარება რად ღირს:

*გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია
თქვენი მსგავსება:
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის
მოთავსება,
ერთგვარი სახე, ერთი ცეცხლი და
სითამამე...*

ვინმე მკვლევარს უთუოდ ექნება ეს თვალნათლივი მომენტი გამოყენებული სადმე, იმის ნათელსაყოფად, რომ ახალგაზრდა გალაკტიონი ეხმიანება დიონისური და აპოლონური სანყისების შესახებ ნიცშეანულ თეორიას და საკუთარ თავს სტიქიურ, დიონისურ სანყისთან კავშირში მოიაზრებს.

ვინ იცის, ასეთადაც ესახებოდა მაშინ 23 წლის პოეტს საკუთარი შემოქმედებითი მომავალი.

ამ, გვიანდელი სათვალმჩენოდან კი მე ვიტყვოდი, რომ იქნებ ცხოვრებით გალაკტიონი კიდეც დაუახლოვდა დიონისურ კულტს, მის სტიქიურ სულს, მაგრამ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა შინაგანი თუ გარეგანი ორგანიზების ისეთ, თანამედროვეთაგან განსხვავებულ, რაციონალურად მაღალ საფეხურზეა, ამ თვალსაზრისით, აპოლონურ სანყისთან უფრო გამართლებული იქნებოდა დაკავშირება.

„მარმარილოს“ მიხედვით სითამამე (სხვაგან – „მგოსანთ სითამამე“), გა-


ლაკტიონს მიაჩნდა ერთ მთავარ თვისებად, რომელიც ყრმა დიონისესთან აკავშირებდა.

ახლა ვფიქრობ, რომ, ალბათ, არსებობს ასეთი რამეც – მკითხველთა, მკვლევართა, კრიტიკოსთა სითამამე, რომელსაც თუნდაც მე ვავლენ ამ წერილში და რომელსაც გალაკტიონი უთუოდ შეინყნარებდა, თუ იგრძნობდა, რომ მას საფუძვლად შეცნობის წრფელი სურვილი ედო.

დასასრულ, მინდა შევახსენო მკითხველს, რომ ეს წერილი არის გალაკტიონის „მარმარილოს“ ინტერპრეტირების ერთი და არა ერთადერთი გზა.

ერთადერთი გზა მის სიმბოლისტურ ლექსთა მთელი ნყების ინტერპრეტირებისა არც შეიძლება არსებობდეს. ამგვარი ცდით მის შემოქმედებით ინტენციას დაფუძირისპირდებით. გალაკტიონ ტაბიძეზე ფიქრი და მისი კვლევა კი მუდამ ასეა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის: ხანდახან, სულ ცოტა ხნით, თითქოს რაღაც სხვის მოიხელთებ, როგორც, მაგალითად, სარკით – მზის ათინათს და, რაკი ხელში გიბრწყინავს, გიხარია და გგონია, მზესაც მისწვდი.

გალაკტიონისეული პოეტური ალქიმის საიდუმლო კი კვლავაც და მარად შეუცნობელია.



ჯონ გრიშემი



მოხატული სახლი

„ოთახი“, „პელიკანის საქმე“, „კლიენტი“, „ფირმა“, „ანდერძი“, „სიკვდილის დრო“, „გაქცეული მსაჯული“, „ქუჩის ვეჟილი“, „პარტნიორი“... აი, არასრული სია იმ რომანებისა, რომელთა ავტორია სამოცდახუთი წლის ამერიკელი მწერალი ჯონ გრიშემი. მწერალს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი კრიმინალურ თემაზე შექმნილ ამ ბესტსელერთა ეკრანიზაციამ.

მისი ერთ-ერთი ბოლო ბესტსელერია „მოხატული სახლი“, რომლის პირველი თავის თარგმანსაც გთავაზობთ.

მთიელები და მექსიკელები ერთ დღეს ჩამოვიდნენ. ოთხშაბათი იყო, 1952 წლის სექტემბრის დასაწყისი. კარდინალები დოჯერებს¹ ხუთი თამაშით ჩამორჩებოდნენ. სეზონის დასასრულამდე სამი კვირაღა რჩებოდა, იმედი კი არსად ჩანდა. ბამბის ნათესები ამოიზარდა, მამაჩემს წელამდე სწვდებოდა, მე ამცდა კიდევ. ჰოდა, ვახშმის წინ ხშირად გაიგონებდით მამას და ბაბუას ჩურჩულს და ისეთ სიტყვებს, რომლებიც მანამდე იშვიათობას წარმოადგენდა, მაგალითად: „კარგი მოსავალი იქნება“.

ისინი ფერმერები იყვნენ, შრომისმოყვარე ადამიანები და პესიმიზმს მხოლოდ მაშინ უმეგობრებოდნენ, როდესაც ამინ-

დასა და მოსავალზე მსჯელობდნენ.

მზე მცხუნვარე იყო, საკმაოდ ბევრსაც ნვიმდა, დაბლობების დატბორვასა თუ თესლსა და სასუქზე ფასების აწევასთან ერთად, ბაზარზე გაურკვევლობის შიშიც ჩნდებოდა. ყველაზე იდეალურ დღეებში დედა წყნარად მეტყოდა ხოლმე: „შენ ნუ წუხარ. ხალხს სადარდებელს რა გამოუღევს“.

როდესაც მთიელების მოსაძებნად წავედით, ბაბუაჩემი პეპი იმ ფულზე დარდობდა, რომლითაც მუშახელი უნდა გაესტუმრებინა. ყოველ 100 ფუნტ მოკრეფილ ბამბაზე ფულს იხდიდა. წინა წელს, ბაბუაჩემის თქმით, 100 ფუნ-

¹ ბეისბოლის გუნდებია.

ტი¹ ბამბა 1.50 დოლარი დაჯდა. ბაბუ-
ას უკვე ხმებიც მოუვიდა, რომ ლეიქ
სითისთან ფერმერი 1.60 დოლარს იძ-
ლეოდა. ქალაქისაკენ რომ დავიძარით,
ბაბუას ეს ამბავიც აფიქრებდა. საჭეს-
თან მჯდომი არასოდეს ლაპარაკობდა,
იმიტომ რომ, როგორც დედა (თავად
ვერაფერი მძლოლი) ამბობდა, ავტოტ-
რანსპორტის ემინოდა. მისი საბარ-
გო 1939 წლის ფორდი იყო და, გარდა
ჩვენი ძველი ჯონ დირის ტრაქტორი-
სა, იგი ოჯახში გადაადგილების ერთა-
დერთ საშუალებას წარმოადგენდა.

განსაკუთრებული პრობლემა არ
გვექონია, გარდა იმისა, რომ ეკლესიაში
წასვლისას საზეიმოდ გამოწყობილ დე-
დას და ბებიას აძლებდნენ, წინ მოკა-
ლათებულებიყვნენ, როცა მე და მამა უკან
ვსხდებოდით და მტვერში ვიგანგლებო-
დით. თანამედროვე სედანი არკანზასის
სოფლებში იშვიათობას წარმოადგენდა.

პეპი საათში 37 მილს გადიოდა. მი-
სი თეორიის მიხედვით, ყოველ ავტო-
მობილს საკუთარი იდეალური სიჩქარე
ჰქონდა, უფრო ბუნდოვანი მეთოდით
კი ბაბუამ დაიანგარიშა, რომ ეს სა-
ბარგო ოცდაჩვიდმეტს განავითარებდა.
დედამ მითხრა, რომ მართლაც სასა-
ცილო იყო. ისიც მითხრა, რომ მან და
მამაჩემმა ერთხელ კინალამ დახოცეს
ერთმანეთი იმაზე, შეძლებდა თუ არა
საბარგო უფრო სწრაფად მოძრაობას.
მამაჩემი იშვიათად ჯდებოდა საჭესთან
და, თუ მეც თან ვახლდი, ოცდაჩვიდ-
მეტით მოძრაობდა, პეპის პატივისცე-
მის ნიშნად. დედა ამბობდა, რომ უფრო
ჩქარაც ატარებდა, როცა მარტო იყო.

135-ე შარაგზაზე გავუხვიეთ და,
როგორც ყოველთვის, ვაკვირდებოდი
პეპის, თუ როგორ შეცვალა ტემპი – ნე-
ლა აჭერდა მუხრუჭს, მშვიდად ცვლიდა
სიჩქარეებს, სანამ ავტომობილმა თავის
იდეალურ სიჩქარეს – ოცდაჩვიდმეტს

არ მიაღწია. მან გამიღიმა, გეგონებო-
დათ, ორივენი შევთანხმდით, რომ სა-
ბარგო ამ სიჩქარეს ეკუთვნოდა.

135-ე შარაგზა სწორი და გლუვი
იყო. იგი არკანზასის ფერმერულ სოფ-
ლებში გადიოდა. ორივე მხარეს, რამ-
დენადაც ვხედავდი, მინდვრები ბამ-
ბისგან გადათეთრებულიყო. მოსავლის
აღების დრო იდგა, შესანიშნავი დრო
ჩემთვის, რადგან სკოლებიდან ორი
თვით მინდვრებში გვერეკებოდნენ. ბა-
ბუაჩემისათვის კი უსასრულო დარდის
პერიოდი იწყებოდა.

მარჯვნივ, ჯორდანების მიწებ-
ზე, მექსიკელების ჯგუფი დავინახეთ,
რომლებიც გზასთან, მინდორში მუშა-
ობდნენ. წელში მოხრილებს ზურგზე
ტომრები ჩამოეკიდათ, ხელებს მარ-
ჯვედ ამოძრავებდნენ ბამბის ლეროებ-
ზე და ბურთებს აძრობდნენ. პეპი ბუზ-
ლუნებდა. მას არ უყვარდა ჯორდანე-
ბი, რადგან ისინი მეთოდისტები იყვნენ
და თანაც ქაბის² გულშემმატკივრები.
ახლა, როცა უკვე მუშახელი ჰყავდათ
მინდვრებში, ბაბუასთვის მათი სიძულ-
ვილის კიდევ ერთი მიზეზი ჩნდებოდა.

მანძილი ჩვენი ფერმიდან ქალაქამდე
რვა მილზე ნაკლები იყო, ხოლო ოც-
დაჩვიდმეტი კილომეტრის სიჩქარით
ოც წუთს ვუნდებოდით, მაშინაც კი,
როცა გზა გადატვირთული არ იყო. პე-
პის არ სჯეროდა, რომ ნელა მიმავალ
ტრანსპორტს გაასწრებდა. იგი ხომ ჩვე-
ულებრივზე ნელი იყო. ბლექ ოუქთან
ტრაილერს წამოვეწიეთ, რომელიც ახ-
ლად მოკრეფილი ბამბის თეთრი გრო-
ვით იყო გადავსებული. წინა ნახევარი
გადაფარებული იყო და ჩემი თანატოლი
მონთგომერის ტყუპები მხიარულად დახ-
ტოდნენ ბამბაზე. როცა ჩამოგვხედეს და
დაგვინახეს, შეჩერდნენ და ხელი დაგ-
ვიქნიეს, პასუხად მეც დავუქნიე. ბაბუამ
არა. საჭესთან ჯდომისას იგი ნაცნობებს

1. ფუნტი დაახლოებით 455 გრამია.

2. ბეისბოლის გუნდია.

ხელს არ უქნევდა იმიტომ, რომ, როგორც დედა ამბობდა, შიშისაგან საჭეს ხელს ვერ უშვებდა. იგი იმასაც მეუბნებოდა, რომ ხალხი მასზე ზურგს უკან ჭორაობდა, რომ იგი უხეში და დიდგულა იყო. პირადად მე, არა მგონია, ბაბუას დიდად ენალვლა, თუ რას ამბობდა მასზე ხალხი. ჩვენ გავყვევით მონთგომერის ტრაილერს, სანამ მან ბამბის სანმენდთან არ შეუხვია. მას ფრენკი მართავდა, მონთგომერების უფროსი ბიჭი, რომელიც მეხუთე კლასიდან გამოგდებული იყო და, როგორც ეკლესიაში შეკრებილები ამბობდნენ, ყველგან სერიოზულ პრობლემას ქმნიდა.

135-ე შარაგზა მთავარ ქუჩად გადაიქცა იმ მოკლე მონაკვეთის გამო, რომელიც ბლექ ოუქთან გვაკავშირებდა. აქ დავდიოდით მოსალაპარაკებლად. ისე, როგორც მანამაღე, ახლაც, გაუჩერებლად ჩავუარეთ ბლექ ოუქის ბაპტისტების ეკლესიას. სანყობი, მალაზია, ბიზნეს-ბიურო, ეკლესია, სკოლაც კი მთავარ ქუჩაზე იყო. შაბათობით კი ტრანსპორტი ზედიზედ მოედინებოდა, სოფლები ჩამოდიოდნენ ქალაქში ყოველკვირეული საყიდლებისათვის, მაგრამ ახლა ოთხშაბათი იყო. როდესაც ქალაქს მივალნიეთ, მთავარ ქუჩაზე სასურსათო მალაზიის ფოფ ენდ ფერლ უოთსონის წინ გავჩერდით.

ტროტუარზე შევეყონდი, სანამ ბაბუამ თავი არ დამიკრა და მალაზიისაკენ მიმითითა. ეს ნიშანი იყო, უნდა შევსულიყავი და ერთი ცალი ტკბილი ფუნთუშა ამელო ნისიად. იგი მხოლოდ ერთი პენი ღირდა, მაგრამ ქალაქში ყოველ ჩამოსვლაზე მისი ყიდვა თვითმინანი არ იყო. ზოგჯერ ბაბუა თავს არ მიქნევდა, მაგრამ მალაზიაში მაინც შევდიოდი და სალაროსთან უსაქმოდ ვტრიალებდი, ვიდრე ფერლი რამეს მომიძებნიდა, რომელსაც მკაცრი ინსტრუქციაც მოჰყვებოდა – ბაბუაჩემისათვის არ მეთქვა. ფერლს მისი ემინოდა. ბაბუაჩემი, ელი ჩენდლერი, ღარიბი კაცი იყო, მაგრამ – უკიდურესად ამაყი.

ერჩია, შიმშილით მომკვდარიყო, ვიდრე უფასო პროდუქტი აელო, რომლის სიაშიც ტკბილი ფუნთუშაც შედიოდა. იგი ჯოხით გამტყიპავდა, თუ გაიგებდა, რომ ერთი ცალი შოკოლადი ავიღე, ამიტომ ფერლი უოთსონს პრობლემა არ ჰქონდა დავეფიცებინე – საიდუმლო არ გამეთქვა, მაგრამ ამ ჯერზე ბაბუას თავის დაქნევა თანხმობას ნიშნავდა.

როგორც ყოველთვის, ფერლი ახლაც დახლს წმენდდა. მაგრად ჩავეხუტე. მერე სალაროსთან მდგარ ქილაში ხელი ჩავყავი და ტკბილი ფუნთუშა ჩავიბღუჯე. ხარჯების ფურცელს დიდის ამბით ხელი მოვანერე, ხოლო ფერლმა შეამონმა ჩემი კალიგრაფია.

– უკეთესად გამოგივიდა, ლუკ! – მითხრა მან.

– შვიდი წლის ადამიანისათვის ცუდი არ არის, – მივუგე მე. დედაჩემის გამო ჩემი სახელის დანერას გაკრული ხელით ორი წელი ვვარჯიშობდი. – სად არის პოპი? – ვიკითხე. ისინი იმ ზრდასრულ ადამიანებს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ, „სახელებით“ მიმემართა, მაგრამ მხოლოდ მალაზიაში, როდესაც სხვა არავინ გვისმენდა. თუკი კლიენტი შემოვიდოდა, ისინიც უცბად ბატონი და ქალბატონი უოთსონები ხდებოდნენ. ეს ამბავი მხოლოდ დედას გავანდე, მან კი მიპასუხა, რომ დარწმუნებული იყო, არც ერთი სხვა ბავშვი ასეთ პრივილეგიას არ ფლობდა.

– მალაზიის უკან საქონელს ალაგებს, – თქვა ფერლმა.

– ბაბუაშენი სად არის? – ფერლის მოწოდება ქალაქის მოსახლეობის გადაადგილების შემონმება იყო. ასე რომ, ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხი თავისთავად უკვე შეკითხვა გახლდათ.

– ჩაის მალაზიაში. მექსიკელებზე რალაც აინტერესებს. მეც წავალ, – გადავწყვიტე, ახალი შეკითხვის საშუალება აღარ მიმეცა.

– დარჩი, რა გინდა? თქვენც მთიელებს ასაქმებთ?

– თუ ვიშოვეთ, კი. ელი ამბობს, ისე ხშირად აღარ ჩამოდიანო. ასე ჰგონია, რომ ისინი ცოტა ვერ არიან.

– სად არის ჩემფი?

ჩემფი მაღაზიის უძველესი მეძებარი იყო, რომელიც ფოფს გვერდიდან არ შორდებოდა.

ფერლი ყოველთვის იკრიჭებოდა, როცა ბაბუას სახელით ვეძახდი. ის-ის იყო, ჩემთვის რალაც უნდა ეკითხა, როცა პატარა ზარმა დაინკარუნა კარების გაღებისა და დახურვისთანავე. შემოვიდა ნამდვილი მექსიკელი, მარტოხელა და მორცხვი. ერთი შეხედვით, ისინი ყველანი ასეთები ჩანდნენ. ფერლმა ახალ კლიენტს ზრდილობიანად დაუკრა თავი.

მე დავიყვირე: – **ბუნოს დიას, სენიორ!**

მექსიკელი გაიკრიჭა და მორცხვად მომიგო: – **ბუნოს დიას**, – სანამ მაღაზიის უკან თვალს მიეფარებოდა.

– კარგი ხალხია, – თქვა ფერლმა ხმადაბლა, თითქოს მექსიკელს ინგლისური სცოდნოდა და არ უნდოდა, თუნდაც რალაც კარგით, რაც თქვა, შეურაცხყოფა მიეყენებინა.

ტკბილი ფუნთუშა ჩავკბიჩე და ნელა დავლეჭე, თან მეორე ნახევარს ვახვევდი და ჯიბეში ვიდებდი.

– ელი დარდობს, რომ ძალზე ბევრს უხდის მათ, – ვთქვი მე.

მაღაზიაში კლიენტი შემოვიდა და ფერლი ისევ დაიძაბა, წმენნდა და ასწორებდა ყველაფერს, ოღონდ მხოლოდ სალაროსთან.

– ელი ყველაფერზე დარდობს, – თქვა მან. – იგი ფერმერია.

– შენც ფერმერი გამოხვალ?

– არა, მემ. მე – ბეისბოლის მოთამაშე.

– კარდინალებში?

– აბა, რა.

ფერლმა ცოტა ხნით რალაც წაიღივინა, მე კი მექსიკელს ველოდებოდი. კიდევ დამრჩა რალაც სათქმელი ესპანურად და აღელვებული ვიცდიდი.

ძველი ხის თაროები ახალი სურსათით იყო სავსე. განსაკუთრებით მო-

სავლის კრეფისას მიყვარდა ეს მაღაზია, რადგან ფოფი მას იატაკიდან ჭერამდე ავსებდა. მოსავალს აბინავებდა და ხელი ხელს ბანდა.

პეპიმ კარი იმდენზე გაალო, რამდენზეც თავი შემოეტევეოდა. – ნავედით! – თქვა მან, მერე დაამატა: – კარგად, ფერლ.

– კარგად, ელი! – თქვა ფერლმა, თავზე ხელი გადამისვა და გამაცვილა.

– სად არიან მექსიკელები? – ვკითხე პეპის, გარეთ რომ გამოვედით.

– მოგვიანებით, შუადღეზე გამოჩნდებიან.

საბარგოსთან მივედით და მალე ქალაქი დავტოვეთ, ჯოუნსბოროსკენ გავემართეთ, სადაც ბაბუაჩემი ყოველთვის გადააწყდებოდა ხოლმე მთიელებს.

საბარგო შარაგზის გვერდით, ქვალორდიანი გზის განშტოებასთან გავაჩერეთ. პეპის აზრით, ეს ქვეყანაში საუკეთესო ადგილი იყო, მთიელების გამოსაჭერად. მე ასე დარწმუნებული არ ვიყავი. ერთი კვირა იყო, რაც ბაბუა მათ დაქირავებას ცდილობდა, მაგრამ – უშედეგოდ. ნახევარი საათი ორივენი ვისხედით მანქანის უკან, მცხუნვარე მზეში, სრულ სიჩუმეში, სანამ პირველი საბარგო გაჩერდებოდა. მანქანას ახალი, სუფთა საბურავები ეკეთა. თუ გაგვიმართლებდა და მთიელებს გადავეყრებოდით, ისინი ჩვენთან მომდევნო ორი თვე იცხოვრებდნენ. ჩვენ მონესრიგებული ხალხი გვჭირდებოდა და ფაქტი, რომ საბარგო პეპის მანქანაზე სუფთა ჩანდა, უკვე სასიკეთო ნიშანი იყო.

– გამარჯობა! – თქვა პეპიმ, როცა ძრავა გამოირთო.

– გაუმარჯოს! – თქვა მძღოლმა.

– საიდან ხართ? – იკითხა პეპიმ.

– მთიელები ვართ, ჰარდის ჩრდილოეთიდან.

გარშემო ტრანსპორტი არ ჩანდა, ბაბუაჩემი ტროტუარზე იდგა და ნასიამოვნები სახით სწავლობდა საბარგოსა და მის შემადგენლობას. მძღოლი და მისი ცოლი კაბინაში ისხდნენ, მათ შო-

რის პატარა გოგონა მოთავსებულიყო, სამი მოზრდილი ბიჭი კი უკან თვლებმდა. ყველანი ჯანმრთელები და კარგად ჩაცმულები ჩანდნენ. მივხვდი, რომ პეპის ეს ხალხი მოეწონა.

– ყველანი სამუშაოს ეძებთ? – ჰკითხა მან.

– დიახ. ლოიდ ქრენშოს ვეძებთ, სადღაც, ბლექ ოუქის დასავლეთითაა. ბაბუაჩემმა ჯერ აქეთ მიუთითა, მერე იქით და ისინიც წავიდნენ. ჩვენ ვუყურებდით, სანამ თვალს არ მიეფარნენ.

ბაბუას შეეძლო იმაზე მეტი გადაეხადა, ვიდრე ბატონი ქრენშო ჰპირდებოდა. მთიელები სახელგატეხილები იყვნენ, მათ სამუშაოს შუა გზაზე მიტოვება სჩვეოდათ. გასულ წელს ქალიქუ როქიდან ჩამოსული ფულბრაითები პირველი კრეფის შუა გზაზე გაუჩინარდნენ. ეს კვირა ღამეს მოხდა. ისინი სამუშაოდ იმ ფერმერთან გადავიდნენ, რომელიც ათი მილის დაშორებით ცხოვრობდა, მაგრამ პეპი უპატიოსნო არ იყო, არც სავაჭრო ომის დაწყება სურდა. ბამბის მიწვევის გაყოლებაზე მე

და ბაბუა ბეისბოლის ბურთს ვათამაშებდით, როგორც კი საბარგო მანქანა მოგვიახლოვდებოდა, ვჩერდებოდით.

ჩემი ხელთათმანი როულინგის წარმოებისა იყო. იგი გასულ შობას თოვლის ბაბუამ მაჩუქა. ღამით ამ ხელთათმანთან ერთად ვიძინებდი და ყოველ კვირა ვზეთავდი. ასეთი ძვირფასი არაფერი მქონია.

ბაბუაჩემმა მასწავლა ბურთის გადაგდება, დაჭერა და დარტყმა. მას ხელთათმანი არ სჭირდებოდა. მისი დიდი, დაკოჟრილი ხელები ჩემს გასროლებს ოდნავი ხინჯის გარეშე ნთქავდა. მართალია, ელი ჩენდლერი წყნარი კაცი იყო და ტრაბახი

არ უყვარდა, მაგრამ იგი ლეგენდარულ ბეისბოლისტად ითვლებოდა. ჩვიდმეტი წლის ასაკში მან ხელი მოაწერა კონტრაქტს კარდინალებთან პროფესიული ბეისბოლის სათამაშოდ, მაგრამ პირველ მსოფლიო ომში გაინვიეს და სახლში დაბრუნდა თუ არა, მამა გარდაეცვალა. პეპის სხვა გზა არ ჰქონდა და ფერმერი გახდა.

ფოფ უოთსონს უყვარდა ამბების მოყოლა, თუ როგორი დიდებული იყო ელი ჩენდლერი, როგორ შორს ისროდა ბურთს, როგორი ძლიერი დარტყმა ჰქონდა.

– არკანზასში, ალბათ, ყველაზე ძლიერი, – ასეთი იყო ფოფის მტკიცება.

– დიზი დინზე უკეთესი? – ვიკითხავდი ხოლმე.

– ახლოც ვერ მივა, – იტყოდა ფოფი ამოოხვრით.

როცა დედას ამ ამბებს ვანდობდი, იგი ყოველთვის იღიმებოდა და ამბობდა: – ფრთხილად იყავი. ფოფი კარგი მეზღაპრეა.

პეპი ბეისბოლის ბურთს თავისი მა-



მონტივით ვეება ხელში ხეხავდა, მაგრამ ავტომობილის ხმა გაიგო და თავი წამოყო. დასავლეთიდან საბარგო მანქანა მოდიოდა, უკან ტრაილერი ჰქონდა გამობმული. მეოთხედი მილის დაშორებით

გავარჩიეთ, რომ მთიელები იყვნენ. გზას გაყვევით და დაველოდეთ. მძლოლმა, სინქარეების ქრიალით და ქრაჭუნით, სვლა შეანელა და საბარგოც გაჩერდა.

შვიდი კაცის თავი დავთვალე: ხუთის – საბარგოში, ორის – ტრაილერში.

– გამარჯობათ! – თქვა მძლოლმა ნელა, თან ბაბუაჩემი თვალით აზომა, ჩვენც სწრაფად შევისწავლეთ ისინი.

– შუადღე მშვიდობისა! – თქვა პეპიმ, როდესაც ნაბიჯი გადადგა, მაგრამ დისტანციას მაინც იჭერდა.

მძლოლს თამბაქოს წვეისაგან ქვედა ტუჩი დაღაროდა. ეს ავბედითი ნიშანი იყო. მამაჩემს მიაჩნდა, რომ მთიელების უმეტესობა არაჰიგიენურობისა და ცუდი ჩვევებისაგან იყო მიდრეკილი. თამბაქო და ალკოჰოლი ჩვენს სახლში აკრძალული იყო. ჩვენ ბაპტისტები ვიყავით.

– ელი ჩენდლერი! სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. ყველანი სამუშაოს ეძებთ?

– ჰო.

– საიდან ხართ?

– ეურეკა სფრინგსიდან.

მათი საბარგო თითქმის ისეთივე ძველი იყო, როგორც პეპისი. კარგად მოჩანდა გაცრეცილი საბურავები, გაბზარული საქარე მინა, დაჟანგული ფრთები და ის, რასაც მტვრის ფენის ქვეშ გახუნებული ცისფერი საღებავი ენოდება. საწოლის თავზე თარო იყო მოწყობილი. იგი მუყაოს კოლოფებითა და მარაგით სავსე ჯვალს ჩანთებით გაეტენათ. ლოგინი ძირს დაეგოთ, ლეიბი კაბინის გვერდით იდო. ორი დიდი ბიჭი მასზე იდგა, ორივენი გამტერებულები მომჩერებოდნენ, საბარგოს უკანა ნაწილზე კი ფეხშიშველი და უპერანგო მძიმე აღნაგობის მამაკაცი იჯდა, მასიური მხრებითა და ჯირკვივით სქელი კისრით. მან თამბაქოს წვენი გადააფურთხა საბარგოსა და ტრაილერს შორის. მეც კარგად დავინახე და პეპიმაც. მან ნელა ჩამოუშვა ფეხები, შემდეგ ისევ გადააპურჭყა, ისე, რომ ასფალ-

ტისათვის თვალი არ მოუშორებია.

– მინდორში მომუშავეებს ვეძებ, – უთხრა პეპიმ.

– რამდენს იხდი? – იკითხა ბატონმა სპრუილმა.

– ერთს და სამოცს ას გრამში, – თქვა პეპიმ.

ბატონი სპრუილი მოიღუშა და გვედით მჯდომ ქალს შეხედა. მათ რალაც ჩაილულლულეს.

რიტუალის ის მომენტი დადგა, როდესაც სწრაფი გადანყვეტილებები უნდა მიიღონ. ჩვენ უნდა გვეთქვა, გვსურდა თუ არა, ამ ხალხს ჩვენთან რომ ეცხოვრა, ხოლო ისინი ან უნდა დაგვთანხმებოდნენ, ან უარი ეთქვათ ჩვენს ფასზე.

– როგორი ბამბაა? – იკითხა ბატონმა სპრუილმა.

– სტოუნვილი, – უთხრა ბაბუამ. – ბურთები მზადაა. ადვილი მოსაკრეფია. მან მიმოიხედა და აფეთქებული ბამბის ბურთები დაინახა. მზემ, ნიადაგმა და წვიმებმა თავისი საქმე გააკეთეს. პეპის, რასაკვირველია, აღიზიანებდა „ფერმერის ალმანახში“ გამოცხადებული წვიმების პროგნოზები.

– ერთი და სამოცი შარშან ავიღეთ, – თქვა ბატონმა სპრუილმა.

არ მაინტერესებდა ფულზე საუბარი, ავდექი და ცენტრალური ხაზისკენ გავისეირნე. ტრაილერის დათვალიერება მინდოდა. მისი საბურავები კიდევ უფრო გაცვეთილიყო, ვიდრე საბარგოსი. სიმძიმისაგან ერთი ნახევრად ჩაფუშულიყო. ტრაილერის ერთ კუთხეში ძალიან ლამაზი გოგო წამოწეულიყო. იგი იდაყვებით კიდევს დაყრდნობიდა. უკან გადაწეული, შეკრული შავი თმა და დიდი ნაბლისფერი თვალები ჰქონდა. იგი დედაჩემზე ახალგაზრდა, მაგრამ, რასაკვირველია, ჩემზე ბევრად დიდი იყო, მაგრამ თვალს ვერ ვაშორებდი.

– რა გქვია? – მკითხა მან.

– ლუკი, – ვთქვი მე და ქვას ფეხი ვკარი. მაშინვე ლოყები გამიხურდა. – შენ?

– თელი. რამდენი წლის ხარ?

– შვიდის. შენ რამდენის ხარ?
 – ჩვიდმეტის.
 – რამდენი ხანია, რაც მაგ ტრაი-
 ლერში ზიხარ?

– დღე-ნახევარია.

იგი ფეხშიშველი იყო. ჭუჭყიანი კაბა მუხლებამდე შემოტმასნოდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა გოგონას მართლა ვათვალიერებდი. იგი გამგებიათი ღიმილით მიყურებდა. მის გვერდით, შესაფუთ ყუთზე, ბიჭი იჯდა – ჩემკენ ზურგით. იგი ნელა შემოტრიალდა და ისე შემომხედა, თითქოს იქ არ ვყოფილიყავი. მას მწვანე თვალები და ფართე შუბლი ჰქონდა, რომელიც შავი, წებოვანი თმით იყო დაფარული. როგორც შევამჩნიე, მარცხენა ხელი გაფუჭებული ჰქონდა.

– ეს თროთია, – თქვა მან. – ვერ არის კარგად.

– სასიამოვნოა შენი გაცნობა, თროთ, – ვთქვი მე, მაგრამ მან სხვაგან გაიხედა. იგი ისე იქცეოდა, გეგონებოდათ, ჩემი არ ესმისო.

– რამდენი წლისაა? – ვიკითხე მე.

– თორმეტის. იგი ხეიბარია.

თროთი ანაზღეულად შეტრიალდა კუთხისაკენ, მისი გაფუჭებული ხელი კი უსიცოცხლოდ მოძრაობდა. ჩემმა მეგობარმა დევანმა თქვა, რომ მთიელები თავიანთ ბიძაშვილებზე ქორწინდებოდნენ და სწორედ ამიტომ იყო ამდენი ინვალიდი და დეფექტი მათ ოჯახებში.

თელი კი უნაკლო იყო. იგი დაჟინებით მისჩერებოდა ბამბის მინდვრებს და მე კიდევ ერთხელ მოვიხიბლე მისი კაბით.

მივხვდი, ბაბუაჩემი და ბატონი სპრუილი შეთანხმდნენ, რადგან ამ უკანასკნელმა საბარგო დაძრა. მე ჩავუარე ტრაილერს, ჩავუარე ახლად გამოღვიძებულ კაცს, საბარგოს უკნიდან რომ ჩამოვიდა და ისევე ასფალტს დასჩერებოდა. ახლა პეპის გვერდით იდგა.

– ცხრა მილი ამ მიმართულებით, მარცხნივ მოუხვიე დამწვარ ფარდულთან, მერე კიდევ ექვსი მილი წმინდა ფრენსისის მდინარისაკენ უნდა გაიარო. ჩვენი

ფერმა პირველია მარცხნივ, მდინარეს რომ გადახვალთ, – აუხსნა ბაბუამ.

– ჭალაში? – იკითხა ბატონმა სპრუილმა. გეგონებოდათ, ჭაობებზე აგზავნიდნენ.

– ჭალაცაა, მაგრამ მინა კარგია.

ბატონმა სპრუილმა კვლავ თავის ცოლს გადახედა, მერე ისევ ჩვენ შემოგვხედა.

– სად ვიცხოვრებთ?

– უკან ჩრდილიან ადგილს დაინახავთ, სილოსის ორმოს გვერდით. საუკეთესო ადგილია.

ვუყურებდით, როგორ დაძრეს მანქანა. ძრავა ხმაურობდა, სიჩქარეების კოლოფი ჭრიალებდა, საბურავები ყანყალებდა, ყუთები და ქოთნები ადგილზე ხტუნაობდნენ.

– არ მოგეწონა, არა? – ვკითხე მე.

– კარგი ხალხია. უბრალოდ – ცოტა განსხვავებულები.

– ბედი გვქონია, მათ რომ გადავეყარეთ, არა?


– ჰო, აბა რა.

მინდორში ბევრი მუშახელის არსებობა ჩემთვის ნაკლები ბამბის კრეფას ნიშნავდა. მომავალ თვეში ნათესებში მზის ამოსვლისას ნავიდოდი, ცხრა ფუტის სიგრძის ბამბის ტომარას მხარზე გავიგდებდი და ერთი წუთით ბამბის უსასრულო რიგსა და ჩემზე მაღალ ღეროებს მივამტერებოდი. შემდეგ ჩავიძირებოდი მათში, დავიკარგებოდი ისე შორს, რომ ვერავინ მიპოვიდა და მოვკრეფდი ბამბას, ყუნწებიდან დინჯად მოვგლეჯდი ფუმფუშა ბურთებს, ჩავტენიდი ძიმე ტომრებში; ქვევით დახედვის შემეშინებოდა, რომ არ დამენახა ის, რაც გამახსენებდა, თუ რა უსასრული იყო ეს რიგი. თითებიდან სისხლი წამომივიდოდა, კისერი ამენწებოდა, ზურგი მეტკინებოდა.

დიახ, დიდი დახმარება მჭირდებოდა მინდვრებში. ბევრი მთიელი, ბევრი მექსიკელი მჭირდებოდა.

ინგლისურიდან თარგმნა

ნინო თოხაძე.



ფრენკ ოკონორი

ზოგის დილა

ფრენკ ო'კონორი – ირლანდიელი ნოველისტი. დაიბადა ქალაქ კორკში, სწავლობდა კათოლიკურ სკოლაში, იბრძოდა ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის, რა დროსაც დააპატიმრეს. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ სცადა ირლანდიური ენის მასწავლებლობა, თეატრის რეჟისორობა და ბიბლიოთეკარობა. იყო მთარგმნელი ირლანდიურიდან ინგლისურ ენაზე. მისთვის ხშირად უწოდებიათ „ირლანდიელი ჩეხოვი“. 1950 წელს მიიღო შეთავაზება ამერიკული უნივერსიტეტისგან – გარკვეული პერიოდით ამერიკაში გადასულიყო საცხოვრებლად და კალიფორნიაში, სტენფორდის უნივერსიტეტში ესწავლებინა. ამ პერიოდში დაიწყო მოთხრობების ყურნალ „ნიუ ორკერში“ გამოქვეყნება და ამავე დროს მიაღწია დიდ წარმატებას. არის ირლანდიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი. ათი წლის განმავლობაში, 2005 წლიდან 2015 წლამდე, გაიცემოდა ფრენკ ო'კონორის სახელობის ჯილდო მოთხრობების კრებულისათვის.

ჩემი ძმა სანი დიდად არასდროს მიყვარდა. ჯერ კიდევ სულ პატარაობიდანვე „დედიკოს ბიჭი“ იყო და ყოველთვის თან დასდევდა, რათა მისთვის მოეხსენებინა, როგორ ვცელქობდი. ისე კი, მართლაც ხშირად ვჩადიოდი სხვადასხვაგვარ სიავეს. ვიდრე ცხრა-ათი წლის შევსრულდებოდი, სკოლაში ბევრს არაფერს ვსწავლობდი, ის კი, ჩემი ძმა, წიგნიდან თავს არ იღებდა, რასაც, დარწმუნებული ვარ, ჩემს ჯინაზე აკეთებდა. თითქოს ინსტინქტურად გრძნობდა, დედას მთელი გულით, ყველაზე მეტად, სწორედ ეს სურდა.

სიტყვების გამონერა ბრწყინვალედ გამოსდიოდა და ამით დედასაც ძალიან ახარებდა.

„დედა!“ – იტყოდა ხოლმე, – „დავუძახო ლარის ჩ-ა-ი-ს დასალევად რომ მოვიდეს?“; „დედიკო, ჩ-ა-ი-დ-ა-ნ-ი დულს!“

ხოლო როცა შეცდომას უშვებდა, დედა მაშინათვე უსწორებდა, შემდეგში კი გამორიცხული იყო, იგივე შეცდომა დაეშვა, რაც კიდევ უფრო მაღიზიანებდა.

„დედიკო, სიტყვებს ხომ ძალიან კარგად ვწერ?“

ღმერთო, სიტყვების ასე გამონერა

ნებისმიერს გამოუვიდოდა, თუ მასავით მოიქცეოდა, თუმცა უჭკუო მაინც არ მეთქმოდა. ამისაგან ძალიან შორსაც კი ვიდექი. უბრალოდ, ძალიან მოუსვენარი ვიყავი და ერთ კონკრეტულ საგანზე ყურადღების შეჩერება არ გამომდიოდა. უმარტივესად შემეძლო უკვე ჩავლილი ანდაც მომავალი წლის გაკვეთილების მეცადინეობა, მაგრამ აი, ის გაკვეთილები, ახლა რომ უნდა გვესწავლა, საშინლად მიმწარებდა სიცოცხლეს. საღამოობით დოჰერტის ბანდასთან ერთად ვთამაშობდი, იმიტომ კი არა, რომ უზრდელი ბავშვი ვიყავი, ეს მღელვარებას მანიჭებდა და ამ მომენტებში ვერაფრით ვხვდებოდი, რა იყო ისეთი ამ სწავლასა და მეცადინეობაში, დედას ასე ძალიან რომ მოსწონდა.

„ნუთუ არ შეგიძლია, ჯერ იმეცადინო და შემდეგ ითამაშო?“ – მეტყოდა ხოლმე გულისწყრომით სახეგათეთრებული.

„სასირცხვილოდა გაქვს საქმე, შენს უმცროს ძმას რომ შენზე უკეთ გამოსდის წერა.“

როგორც ჩანს, ვერ ხვდებოდა, რომ წერა-კითხვაში განსაკუთრებით საქებას ვერაფერს ვხედავდი. მეტიც, ეს ისეთი აზიზი ბავშვის საქმიანობად უფრო მიმაჩნდა, როგორც ჩემი ძმა იყო.

„ღმერთმა იცის, ასე რას გადაეყრები. აი, წიგნებსა და სწავლას რომ მიჰყოლოდი, შეიძლება რაღაც კლერკის ან ინჟინრის მზგავსი გამოსულუყავი.“

„კლერკი მე გამოვალ!“ – ამაყად იტყოდა სანი.

„ვის რად უნდა მოხუცი კლერკობა? მე ჯარისკაცი უნდა გამოვიდე!“ – ვიტყოდი მე, მხოლოდ, იმიტომ რომ ჩემი ძამიკო გამებრაზებინა.

„ღმერთმა იცის, ამაზე უკეთესს, მგონი, მართლა ვერაფერს მიაღწევ.“

ასეთ დროს ვფიქრობდი, რა სისულელეს ამბობს-მეთქი ეს დედაჩემი. განა შეიძლება, ბიჭმა რაიმე უფრო უმაღლესს მიაღწიოს, ვიდრე ჯარისკაცობაა?

შობა ახლოვდებოდა. დღის კლებას-

თან ერთად, მალაზიებში ხალხის რაოდენობა მატულობდა. მე კიდევ ვიჯექი და ვფიქრობდი, სანტა კლაუსი რას მომიტანდა. დოჰერტის კლანში მეუბნებოდნენ, სანტა არ არსებობსო, მაგრამ იქ ისეთი ბავშვები იყრიდნენ თავს, სანტა მათთან მაინც არ მივიდოდა. ამ იდუმალ მოხუცზე ინფორმაციას ვაგროვებდი, არც უმნიშვნელო ფაქტებზე ვამბობდი უარს, თუმცა ბევრს ვერავინ მამცნობდა. წერა მაინცდამაინც არ მეხერხებოდა, მაგრამ, თუ დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ ეს რაიმეს მარგებდა, მზად ვიყავი, მისთვის წერილის მიწერაც კი გამებედა.

„ვინ იცის, წელს იქნებ საერთოდაც არ მოვიდეს სანტა კლაუსი“, – თქვა სახეშეფიქრიანებულმა დედამ, – „ისედაც იმდენ ბეჯით ბიჭთანაა მისასვლელი, თავის გაკვეთილებს რომ ამზადებენ და სხვა რაღაც-რაღაცებზე არ კარგავენ დროს“.

„სანტა მარტო იმ ბიჭებთან მიდის, ვინც ლამაზად წერს, ხომ ასეა, დედიკო?“

„ყველასთან მიდის, ვინც გაკვეთილებს ამზადებს და თავის საქმეს აკეთებს. ლამაზად წერა არ არის მთავარი“.

ჩემს საქმეს ნამდვილად ვაკეთებდი. ღმერთია მოწმე, ასეა! აბა, რა ჩემი ბრალი იყო, არდადეგებამდე ოთხი დღით ადრე ფლოგერ დოულიმ ისეთი დავალებები რომ მოგვცა, რომლის გამკეთებლებიც ჩვენ არ ვიყავით, თანაც პიტერ დოჰერტისთან ერთად შემუშავებული სკოლის გაცდენის გეგმის სისრულეში მოყვანასაც ამ დროს მოუწია?! თავად შატალოს რაც შეეხება, დიდი ვერაფერი გამოვიდა, რადგან (დამიჯერეთ, საკუთარ კანზე მაქვს გამოცდილი) დეკემბერი ვერაა საუკეთესო თვე ამ საქმიანობისთვის. თითქმის მთელი დროის გატარება ნავსადგურთან ახლოს მყოფ საწყობში მოგვიწია, ძალიან წვიმდა და წვიმას ვეფარებოდით. ჩვენი ერთადერთი შეცდომა ის იყო, რომ გვეგონა, არდადეგების დაწყებამდე იქ

დავრჩებოდით, ჩვენ არყოფნას კი ვერავინ შეამჩნევდა. ალბათ, დამეთანხმებით, აშკარად დიდი წინდაუხედაობა გამოვიჩინეთ.

რა თქმა უნდა, ფლოგერ დოულიმ სახლში მიკითხა, რათა გაეგო, რა მაფერხებდა. არასდროს დამავიწყდება, თუ როგორ შემომხედა დედამ, როცა მესამე დღეს სახლში დავბრუნდი.

„სადილი მზადაა“ – თქვა მან.

რალაც არ ჩანდა ლაპარაკის ხასიათზე. როცა ვცადე, ამეხსნა სიტუაცია, რომელიც ფლოგერ დოულის დავალებებს გამოენვია, დედამ ხელი ჩაიქნია და მითხრა: არა, შენი სიტყვაც კი არ დაიჯერებო. მიხვდი, რომ ჩემი ტყუილები უფრო ანუხებდა, ვიდრე სკოლის გაცდენა, თუმცა აი, იმას კი ვერაფრით ვხვდებოდი, სკოლა ტყუილის გარეშე როგორ უნდა გამეცდინა. რამდენიმე დღემ ისე განვლო, დედას ხმაც კი არ გაუცია ჩემთვის, მე კი მაინც ვერაფრით ვახერხებდი იმის მიხვედრას, თუ რას ხედავდა ასეთ განსაკუთრებულს სწავლა-განათლებაში და რატომ არ მაცდინდა, ჩვეულებრივად, ყველა სხვა ბავშვივით გავზრდილიყავი.

ჩემი ძმა კი უფრო და უფრო იბღინძებოდა. თითქოს უნდოდა, ეთქვა – მე რომ არ ვიყო ამ სახლში, ნეტავ ამ საწყლებს რა ეშველებოდათო. ჯიბეებში ხელებჩანყობილი, დადგებოდა კარებთან, რითაც მამას აჯავრებდა, თან ისე გასძახებდა ხოლმე ქუჩაში, იქ მყოფ თითოეულ ბავშვს რომ გაეგონა:

„ლარის სახლიდან არ უშვებენ! ლარი პიტერ დოჰერტისთან ერთად შატალოზე წავიდა და დედა არ ელაპარაკება!“

საწოლშიც იმავეს აგრძელებდა.

„სანტა კლაუსი წელს არაფერს არ მოგიტანს!“

„მომიტანს, მომიტანს!“

„საიდან იცი?“

„და, რატომ არ უნდა მომიტანოს?“

„ნიმიტომ რომ დოჰერტისთან ერთად იყავი შატალოზე. მე ბიჭებთან არ ვთა-

მამობ ხოლმე.

„შენ მაინც არ გათამაშებდნენ“.

„არც მე მინდა მაგათთან თამაში. ცუდი ბიჭები არიან, მაგათ სახლში პოლიციელები იყვნენ მისული“.

„და სანტა საიდან გაიგებს, შატალოზე რომ ვიყავი პიტერ დოჰერტისთან ერთად?“

აქ ცოტა არ იყოს დავიღრინე კიდეც, რადგან ეს პატარა მაიმუნი მოთმინებას მაკარგვინებდა.

„ძალიან კარგადაც გაიგებს. დედა ეტყვის“.

„და დედა რანაირად ეტყვის, როცა სანტა ჩრდილოეთ პოლუსზე ცხოვრობს? არაფერი შენ არ გესმის, ჯერ ისევ თოთო ბავშვი ხარ!“

„არაფერი თოთო ბავშვი არა ვარ! შენზე უკეთესად ვნერ ასობეს! იცოდე, სანტა არაფერსაც არ მოგიტანს!“

„აგერ ნახავ, როგორ არ მომიტანს!“ – ვთქვი მე და დავასრულე, თანაც ცოტა მამასავით შეეუტიე, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, თავს ვიტყუებდი და მეტი არაფერი იყო ეს ყოველივე. იმის წარმოდგენაც კი რთულია, ჩემი ძმისნაირი ბავშვები რა მანქანებით ახერხებენ ჩემნაირების გამოჭერას. ახლა კი, დამატებით, სკოლის გაცდენაც მანვა სინდისზე და ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო, რადგან დედა ასეთი არასოდეს მენახა.

აი, სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ ერთადერთი კეთილგონიერი რამ, რაც კი შემეძლო, გამეკეთებინა, იყო ის, მე თვითონ მომეძებნა სანტა და მისთვის პირადად ამეხსნა ჩემი განსაცდელის არსი. როგორც კაცს, წესით, უნდა გაეგო ჩემი გაჭირვება. იმ დროს საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის ბიჭუნა ვიყავი და, როცა მომესურვებოდა, უფროსებთანაც კარგად ვახერხებდი საქმის წარმოებას. საჭირო იყო, მოხუცი ჯენლტმენისთვის საამურად გამეღიმა, ერთი პენსი გარანტირებული მქონდა. ვფიქრობდი, ერთი ეს სანტა ჩამაგდე-

ბინა ხელში და მასთანაც გავიმეორებ ამ ხრიკს-მეთქი, შემდეგ კი ვინ იცის, რაიმე ღირებულსაც გამოვრჩენოდი. სათამაშო მატარებელი მინდოდა თავისი დასაგები რკინიგზით, ლოტო და მსგავსი სამაგიდო თამაშები უკვე ყელში მქონდა ამოსული.

ნელ-ნელა ღამის გათენებაზეც დავინწყე ვარჯიში. ჯერ ხუთასამდე, მერე კი ათასამდე ვითვლიდი, რის შემდეგაც შენდონიდან მესმოდა ზარის რეკვის ხმა, რომელიც ჯერ თერთმეტ, შემდეგ კი თორმეტ საათს იუნწყებოდა. დარწმუნებული ვიყავი, თორმეტისკენ უკვე სანტაც გამოჩნებოდა და, რადგან ჩრდილოეთიდან მოდიოდა, ჯერ ჩემთან მოუნევდა მოსვლა, რის შემდეგაც უკვე დანარჩენ სამხრეთს მოუვლიდა. ზოგჯერ საკმაოდ ყოჩაღი და ბრძენი ბავშვი ვიყავი, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი სიყოჩაღეცა და სიბრძნეც არასწორი საქმეებისკენ იყო მიმართული.

იმდენად გართული ვიყავი ჩემი გამოთვლებითა და სხვადასხვა საკითხთა ანონ-დანონვით, რომ დედის პრობლემებს ყურადღებას ველარ ვაქცევდი. საყიდლებზე დავყვებოდი ხოლმე, ხოლო, როცა იგი სათამაშოების მაღაზიაში შედიოდა, ჩვენ გარეთ ვრჩებოდით და იმაზე ვკამათობდით, რა აჯობებდა საშობაო საჩუქრად.

შობის წინა ღამეს, როცა მამა სამსახურიდან დაბრუნდა, დედას ოჯახის საქმეებისთვის ფული მისცა. დედა იდგა და დაეჭვებული უყურებდა ფულს, თანაც სახე უთეთრდებოდა.

„რა იყო, რა არ მოგნონს?“ – გაბრაზებით წამოიძახა მამამ.

„რა უნდა მომწონდეს? შობისთვისაა ეს?“ – ჩაიბუტბუტა დედამ.

„რა, რადგან შობაა, გგონია მეტს მომცემენ?“ – გესლიანად მიუგო მამამ, თანაც ხელები ჯიბეში ეწყო, თითქოს რაც დარჩენია, იმას უფროთხილდებო.

„ესე იგი არც ნამცხვარი უნდა გვქონდეს, არც სანთლები, საერთოდ

არაფერი?!“ – ბრაზობდა დედა და ერთობ შეცბუნებული ჩანდა.

„კარგი, კარგი, სანთელს რამდენი უნდა?“

„ღვთის გულისათვის, აღარ აპირებ საქმის გარჩევა დაასრულო? მაძლევ თუ არა მაგ ფულს, ბოლოს და ბოლოს? გგონია ბავშვებს წლის მთავარ დღეს უყველაფროდ დავტოვებ?“

„წელს ვერ დაგიდგებათ იღბლიანი წელი!“ – დაიღრიალა მამამ.

„წლიდან წლამდე მონასავით ვმუშაობ, თქვენ კიდევ სათამაშოებში მაყრევინებთ ფულს! აჰა, ეს ორი მონეტა აილე. იცოდე, მეტს ვერ მიიღებ. ამიტომაც, ეცადე, არ გაფლანგო!“

„ჰო, დანარჩენს მიკიტნები ჩაიჯიბავენ“.

მოგვიანებით დედა ქალაქში წავიდა საყიდლებზე, მაგრამ ჩვენ არ წავიყვანა; უკან უამრავი პარკით დაბრუნდა. სადღაც საშობაო სანთელიც იღო. მამას ველოდებოდით, რათა მოსულიყო და ყველას ერთად დაგველია ჩაი, ნამცხვართან ერთად, თუმცა მამა არ ჩანდა, ამიტომ ჩვენ ჩვენი წილი დავლიეთ და მივირთვით. მერე დედამ სანი სკამზე შესვა და ხელში ნაკურთხი წყლით სავსე ჯამი მიაწოდა, რომელიც სანთელს ასხურა. დედამ სანთელი ანთო და თქვა: „სამოთხის ნათელი გვინათებდეს სულელებს“. ვხედავდი, ნუხდა, მამა რომ სახლში არ იყო, რადგან ეს რიტუალი ოჯახის უფროსი და უმცროსი წევრების მიერ სრულდება. როცა ძილის წინ წინდები ჩამოვკიდეთ და დავწექით, მამა ჯერ კიდევ არ იყო მოსული.

ჩემი ცხოვრების ყველაზე რთული ორი საათი იწყებოდა. საშინლად მეძინებოდა, მაგრამ მატარებელს ვერ ველოდი, თვალს არ ვხუჭავდი, ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა სანტასთვის, როცა ის ბოლოს და ბოლოს ჩემს ზღურბლზეც დაადგამდა ფეხს. ხან დაუდევრად ველაპარაკებოდი, ხანაც – სერიოზულად, რადგან ზოგ უფროსს

სწორი მეტყველების მქონე ბავშვები მოსწონს, ზოგი კი ხალისსა და სულისკვეთებას არჩევს. როცა ყველა შესაძლო ვარიანტი დავამუშავე, ვცადე, სანი გამელვიძებინა, რათა მარტო არ დავრჩენილიყავი სანტას წინაშე, მაგრამ მას მკვდარივით ეძინა.

გარედან ხმა შემომესმა. ზარი თერთმეტ საათს იუნყებოდა. მალე კარის გაღების ხმაც გავიგე, მაგრამ ეს მხოლოდ მამა იყო.

„აბა, როგორ ბრძანდებით, ქალბატონო? ასე გვიანობამდე რამ შეგაყოვნნათ?“ – ხითხითებდა მამა. თან თითქოს გაიკვირვა, დედა მის მოსვლას რომ ელოდებოდა.

„ვახშამს ინებებთ?“ – მკვახედ მიუგო დედამ.

„არა, არა, იყოს! დანიენტან (ჩემი ბიძა) შევიარე და ცოტა ღორის ხორცი მივირთვი. რაც კაია კაია, მიყვარს ეს ღორის ხორცი და მომკალი, თუ გინდა! თან როგორ დაგვიანებულა. რომ მცოდნოდა, რა დრო იყო, ტაძარში შევივლიდი, მესას დავესწრებოდი!“ – ისე წამოიახა, ვითომ არ იცოდა და განცვიფრებული იყო იმით, რომ უკვე გვიანი იყო. დიდი სიამოვნებით მოვისმენდი ახლა „ადესტეს“. ჩემი საყვარელი საგალობელია, ყველაზე ემოციური საგალობელი“.

და შემდეგ ფალცეტის ლილინი დაიწყო:
deste fideles

Solus domus dagus.

მამას ძალიან უყვარდა ლათინური საგალობლები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთი-ორი ჭიქა ჰქონდა გადაკრული; რადგან წარმოდგენა არა ჰქონდა, სიტყვები რას ნიშნავდა, უცბად, ლილინის დროს იგონებდა ხოლმე, რაც დედას საშინლად აღიზიანებდა.

„ოჰ, როგორ მაზიზღებ თავს!“ – თქვა დედამ და საძინებლისკენ წავიდა.

მამამ გაიცინა. იფიქრებდით, ხუმრობად მიიჩნია დედის ნათქვამიო. ასანთს ხელი გაჰკრა და ჩიბუხი აანთო.

იჯდა და ხმაურიანად ექაჩებოდა ჩიბუხს. კარს მიღმა შუქმა კლება იწყოდა და საბოლოოდ ჩაქრა, თუმცა მამა აგრძელებდა:

ixie medearo

Tutum tonnm tantum

Vonite adoremus.

ერთი სიტყვაც კი ვერ დაამთხვია ტექსტს, თუმცა ჩემთვის მაინც საკმარისი იყო მისი მოსმენა, რომ ჩამძინებოდა. წარმოუდგენელი იყო, მზგავსი გარემოებებით გარშემორტყმულს, სიფხიზლე შემენარჩუნებინა.

ჯერ კიდევ გათენებამდე საშინელი შეგრძნებით გამელვიძა, თითქოს რაღაც შემადრწუნებელი მომხდარიყო. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ხოლო ჩემი საძინებელი, რომელიც ეზოს გადაჰყურებდა, უკუნეთ ბნელს მოეცვა. ფანჯრიდან დაინახავდით, ცა უკვე მენამულ ფერს იკიდებდა. საწოლიდან წამოვხტი და ჩემს წინდას მივვარდი, თან უკვე ვხვდებოდი, ყველაზე უარესი რამ მომხდარიყო. სანტა ისე მოსულიყო და წასულიყო, საერთოდ ვერ მიმხვდარიყო, ვინ ვიყავი და რას წარმოვადგენდი, რადგან მხოლოდ რაღაც წიგნი, სასაჩუქრედ შეხვეული, კალამი, ფანქარი და ორპენსიანი ტკბილეულის შეკვრა დაეტოვებინა. აი, ეს და სხვა არაფერი, ლოტო და მაგიდის თამაშებიც კი არა! იმდენად თავზარდაცემული დავრჩი, რომ ფიქრიც ვერ შევძელი. კაცი, რომელიც სახურავებზე დაფრინავს და საკვამურში ისე ძვრება, რომ არ იჭედება, ნუთუ ასეთ კაცს მეტი არ მოეთხოვება?

ახლა უკვე იმაზე დავინყე ფიქრი, ნეტა ამ ქვეშევეშამ რა მიიღო-მეთქი. მისი საწოლისკენ გავინიე და წინდაში ჩავიხედე. როგორც აღმოჩნდა, ვერც მის ლამაზ კალიგრაფიას მოეტანა რაიმე სიკეთე, რადგან, გარდა ზუსტად ჩემნაირი ტკბილეულის შეკვრისა, ერთადერთი, რაც მან მიიღო, იყო სათამაშო თოფი, რომელსაც ნებისმიერ მალაზიაში იშოვიდით, ექვს პენსს თუ გადაიხდიდით.

მიუხედავად ყველაფრისა, მას მაინც თოფი მიეღო, თოფი კი წიგნს ყოველთვის ჯობს. დოჰერტებს ხომ ბანდა ჰყავდათ, რომელიც ზოგჯერ მალაქუჩელებს ეომებოდა, რათა მათ ჩვენს ქუჩაზე ფეხბურთი არ ეთამაშათ. თოფი ძალიან ნამადგებოდა, სანის კი არაფერში დასჭირ-

რადგან არც მას ენახა სანტა, ვერც ის დარჩებოდა დიდად გულნატკენი. არავის არაფერი დაუშავებოდა; ხოლო, ოდესმე თუ გაიგებდა, რამხელა სიკეთე გამეკეთებინა მისთვის, პირიქით, სამადლობლად ექნებოდა საქმე. ყოველთვის ძალიან მიტაცებდა ეს – ხალხისთვის სიკეთის



დებოდა, რადგან მას ბანდაში თამაშის უფლებას მაინც არავინ მისცემდა, სულაც ძალიან რომ სდომოდა.

და აი, სწორედ მაშინ იყო, შთაგონება რომ მენვია, თანაც თითქოს პირდაპირ სასუფეველიდან. რა მოხდებოდა, თოფი მე რომ ამეღო, წიგნი კი სანისთვის დამეთმო? ის ბანდაში მაინც არაფრად ივარგებდა, აი, ჩემი წიგნიდან კი მისნაირი მსწავლელი ბავშვი რამდენი სიტყვის სწავლასა და გამონერას შეძლებდა? და,

კეთება. ვინ იცის, იქნებ სანტასაც ასე უნდოდა, მაგრამ, ჩვენს ოთახში შემოპარულს, ჩვენ ორი ავერიეთ. მზგავსი რამ ყველას შეიძლება დამართნოდა. ჰოდა, ავიღე ეს ჩემი წიგნი, კალამი და ფანქარი და მის წინდაში მოვათავსე, სათამაშო თოფი კი ჩემთან გადმოვანაცვლე, რის შემდეგაც ისევ სანოლში ჩავნექი და ძილი განვაგრძე. აკი უკვე მოგახსენეთ, ყოჩალი ბავშვი ვიყავი-მეთქი.

დილით სანიმ ჯანჯლარით გამალ-

ვიდა და მომახსენა – ნახე, სანტამ იარალი მოგიტანაო. თავი მოვიკატუნე, თითქოს გამიკვირდა, თანაც თითქოს გულიც მწყდებოდა, რათა მისი ყურადღება სხვა რამისაკენ მიმემართა, თავისი წიგნი ვაჩვენებინე და დიდად მოვუწონე კიდეც საჩუქარი.

ჩემი ძმა მზად იყო, ნებისმიერი რამ დაეჯერებინა. მაშინვე ადგა და მშობლების საძინებლისკენ გავარდა, საჩუქრები რომ ერჩვენებინა. აი, ეს უკვე რთული მომენტი იყო. სკოლის გაცდენის ამბის შემდეგ დედა ისე იქცეოდა, ცოტა არ იყოს, კი ვეჭვობდი რაღაცას, მაგრამ თან იმით ვიმშვიდებდი თავს, რომ ერთადერთი მოწმე, ვისაც კი შეეძლებოდა, ჩემ წინააღმდეგ დამდგარიყო, ახლა სადღაც ჩრდილოეთ პოლუსზე იმყოფებოდა. ამის გააზრებამ გამბედაობა შემმატა. ავდექით და შევცვივდით საძინებელში, თან ვყვიროდით – ნახეთ, რა საჩუქრები მივიღეთო.

დედამ და მამამ გაიღვიძეს. დედამ თითქოს გაიღიმასავით, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით. როგორც კი შემომხედა, მაშინვე შეეცვალა სახე. ეს გამოხედვა აქამდეც მენახა და უკვე კარგადაც ვიცნობდი. ზუსტად იგივე იყო, როგორც იმ დღეს, სკოლა რომ გავაცდინე და დედამ სახლში მოსულს მითხრა – შენი სიტყვაც კი არ დაიჯერებო.

„ლარი, ეგ თოფი საიდან გაქვს?“

„სანტამ დამიტოვა ჩემს წინდაში, დედიკო, მართლა!“ – თითქოს შეურაცხყოფილი სახე მივიღე, თანაც დავიბენი, ვფიქრობდი, ნეტა საიდან ხვდება დედა, ასე რომ არ იყო-მეთქი.

„შენს საწყალ ძამიკოს მოპარე, სანამ მას ეძინა! ლარი, არ შეიძლება ასეთი უნამუსობა!“ – ამბობდა დედა და გულისწყრობით ხმა უკანკალებდა.

„კარგით, კარგით, დღეს ხომ შობაა“, – დაიჩვილა მამამ.

„რა თქმა უნდა, შენთვის ხომ ყველა-

ფერი სულ ერთია. რა, გგონია, მინდა, შვილი მატყუარა და ქურდი გამეზარდოს?“ – მკაცრად წარმოთქვა დედამ.

„რა ქურდი, ქალო, რის ქურდი, ხომ არ გაგიჟებულხარ?“ – ბრაზდებოდა მამა.

როცა კარგ ხასიათზე იყო და ვინმე ლაპარაკს აწყვეტინებდა, დაახლოებით ისევე ღიზიანდებოდა, როგორც მაშინ, როცა უკვე ისედაც გაბრაზებული იყო. მის ახლანდელ მდგომარეობას კი მისი წინა საღამოს ჩადენილი საქციელის გაცნობიერებაც ამწვავებდა.

„ლარი, აჰა, მაგიდაზე ექვსპენსიანი შენთვის და ერთპენსიანი სანისთვის. იცოდეთ, სადმე არ დაკარგოთ!“

მე კი ამ დროს დედას ვუყურებდი. ვხედავდი, რა ხდებოდა მის თვალებში. სათამაშო თოფი ძირს დავაგდე, სახლიდან გავვარდი და ავქვითინდი. ჯერ კიდეც ყველას ეძინა მთელ ქუჩაზე. სახლის უკან, ხეივანში, სველ ბალახზე დავემხე.

სწორედ იმ მომენტში ყველაფერს ფარდა აეხადა. ძალიან მტივინეული იყო იმის გააზრება, რომ დოჰერტი მართალი იყო: არანაირი სანტა კლაუსი არ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ დედა, რომელიც იმ ფულისგან, ოჯახის საქმეებისთვის რომ იყო გადადებული, ჩვენი საჩუქრებისთვის ძლივძლივობით რამდენიმე პენსს აკონინებდა; რომ მამაჩემი უნამუსო, გამოუსწორებელი ლოთი იყო, დედა კი მხოლოდ იმას ნატრობდა, ჩემი სწავლითა და მონდომებით ერთ დღეს ის ამ მშთანთქმელი გაჭირვებიდან დამეხსნა. ხოლო აი, ის გამოხედვა, მის თვალებში რომ დავინახე, შიშით იყო აღსავსე, იმის შიშით, რომ მეც მამაჩემივით უნამუსო, გამოუსწორებელი ლოთი გამოვიდოდი.

ინგლისურიდან თარგმნა

როსტომ ნერეთელმა